

როინ მატრეველი

ისტორიკი  
ქართული მწერლების  
შემოქმედებაში





როინ მატრეველი

ისტორიები  
ქართული მწერლების  
შემოქმედებაში



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1999

ამ პატარა წიგნში შესულია ნარკვევები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შეხედულებების შესახებ ისტორიაზე. მათი დამოკიდებულება წარსულთან, ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიზმს ამ დიდი მწერლების შემოქმედებაში. აქვე დაბეჭდილია რამდენიმე ადრე გამოქვეყნებული სტატია, რომლებიც შევსებული სახითა და ახალი რედაქციითაა წარმოდგენილი.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ბოზი სალიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999

050.3000000  
მ                       
608(06)-99



ილია ჭავჭავაძე და ისტორია

„რა არის ისტორია? იგი მოხრობელია მისი თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რათ შე-საძლრა ვიყენეთ კვლავდაც. ისტორია თავის გულის ფიქარზე იჭლეეს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭლევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგ-ზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერები-სათვის“.

ილია ჭავჭავაძე

ისტორია თავისი არსით არის მეცნიერება, რომელიც შეისწავ-ლის ადამიანთა საზოგადოების წარსულს მთელი მისი კონკრეტუ-ლობითა და მრავალსახეობით, რისი შემეცნებაც საჭიროა კაცობ-რიობის აწმყო გაგებისა და მომავლის პერსპექტივის განსაზღვრი-სათვის. ისტორია ადამიანთა საზოგადოების განვითარებას განიხი-ლავს როგორც ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი თავისი მრავალმხრიობითა და წინააღმდეგობრიობით. თავის მხრივ, წარსული ადამიანთა გვერდითაა, ადამიანებშიც. მატერიალური კულტურის ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, ლეგენდა-თქმულებები, ხალხური ჩვევები, ტრადიციები, ენა წარსულის ღრმა ანაბეჭდს ატარებს. ადამიანი დაბადებიდანვე უკავშირდება სამშობლო-ქვეყნის ისტო-რიულ ბედს, ურთიერთობა უხდება საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ ისტორიის გავლენას განიცდის. ადამიანი ნებსით თუ უნებლიეთ თვითონ ხდება ისტორიის შემოქმედი. მის თვალსაწიერ-ში ექცევა ქვეყნის ისტორიული განვითარების საკითხი, ჩნდება სა-კუთარი დამოკიდებულება წარსულის შემკვიდრეობასთან, პროგრე-სული ტრადიციები ირჩევა რეაქციულისაგან. თავისთავად ისტო-რიას აქვს წარსული, აწმყო და მომავალი. იგი, როგორც საზოგა-დოებრივი განვითარების პროცესი, ყველა ადამიანის ბედს ეხება მეტ-ნაკლებად და ამდენად სწრაფვა მისი შემეცნებისადმი განუ-საზღვრელია.

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის, განსაკუთრებით პუბლიცისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის, ყურადღებას. მსოფლიოს სხვადასხვა დროის ლიტერატურა იცნობს არაერთ ქმნილებას, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ლიტერატურულიც. ყველა ეპოქის ჭეშმარიტ მწერალს ნათლად ესმოდა ისტორიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ალექსანდრე პუშკინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ "Уважение к мишущему — вот черта, отличающая образованность от дикости..." პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტიუტჩევი, ლესკოვი, ნეკრასოვი, ტოლსტოი, ბლოკი... წარმოუდგენელია ამ დიდ მწერალთა შემოქმედება ისტორიის გარეშე. ისტორია, ერთი მხრივ იყო ის ცხოველი სული, რომელიც კეთილად ანაყოფიერებდა მათ შემოქმედებას და უყალიბებდა მსოფლმხედველობას; მეორე მხრივ, თვით დიდი მწერლები გვევლინებიან ჭეშმარიტ ისტორიკოსებად, რომლებმაც ხელოვნების ენაზე აამეტყველეს ადამიანთა ისტორიის ცალკეული ფურცლები. ბუნებრივია, ისტორიის პრობლემებისადმი გულგრილნი არც ქართული ლიტერატურის კლასიკოსები დარჩენილან. სწარფვა საქართველოს წარსულის შესწავლისადმი, ამასთან ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ფერებში გადმოცემა, ყოველთვის იყო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ერთი ძირითადი თემა.

გვინდა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ორი ასპექტი: ა) ისტორიული შეხედულებები და ბ) ისტორიული შემოქმედება. დაყოფა სრულიად პირობითია, რადგან დიდი მწერლის შემოქმედებაში ეს ორი მხარე ერთმანეთს ავსებს, მაგრამ თუკი ჩვენ ამ საკითხს ვაცალკევებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ერთგვარი მიჯნა დაუდოთ ილიას პუბლიცისტიკას და მხატვრულ შემოქმედებას, საზოგადოებრივსა და სამწერლო მოღვაწეობას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ჩვენთვის საინტერესო სფეროს თავის დროზე შეეხო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც 1937 წელს მწერლის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ენიმქი-ს საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (შემდგომში ცალკე წიგნად გამოიცა). ცალკე უნდა დავასახელოთ პავლე ინგოროვყას, გიორგი ჯიბლაძისა და პროკოფი რატიანის მონოგრაფიები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა გლობალურადაა შესწავლილი და, ბუნებრივია, ისტორიის საკითხებიცაა გამოკვლეული. აღნიშნული საკითხი სხვადასხვა პრობლემასთან დაკავ-

შირებით მიმოსილულია რიგი ავტორების წიგნებსა და სტატიებში, მაგრამ მათი დასახელებისაგან ამჯერად შეგნებულად ვიკავებთ თავს.

ეპოქა, რომელშიც მოუხდა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძეს, მეტად მნიშვნელოვანი იყო ისტორიული მოვლენებით.

ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა (საქართველოში ბატონყმობის გადავარდნა და კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრება და აქედან გამომდინარე სხვა მოვლენები თუ პროცესები) ახალი, თავისი ბაზისისათვის შესაფერი იდეები მოიტანა, იდეები, რომლებშიც წითელ ზოლად წარმონაჩნდა ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის მოტივები.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა რუსეთის გამოჩენილი მოაზროვნეების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეებს. სწორედ ამ იდეებმა, დიდმა განათლებამ და ნიჭიერებამ, ამასთან, ქვეყანაში შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო ილიას მოღვაწეობის ფართოდ გაშლას. იგი არ ყოფილა მარტო ბრწყინვალე პოეტი და მწერალი, განმანათლებლური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი, იმდროინდელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესულ მიმართულებათა კარგი მცოდნე, ილია ჭავჭავაძე იყო ფართო ფილოსოფიური განათლების მქონე ღრმად მოაზროვნე პიროვნება. ამასთან, იგი იყო პროფესიული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვილი ისტორიკოსიც, რომლის მრავალი შრომა ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში შევიდა.

ილია ჭავჭავაძე პროგრესულად უდგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნას. სწორედ ამიტომ მის მიერ გამოთქმულ ღრმა მეცნიერულ აზრებს საზოგადოების განვითარების პროცესზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქონდა. მთავარი ის არის, რომ ილიას შეხედულებას ისტორიის შესახებ, მის ისტორიულ კონცეფციას საფუძვლად უდევს ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის აღიარება ზოგადისტორიული განვითარების პროცესში.

ილია ჭავჭავაძე ერთ წერილში ხმამაღლა ქადაგებდა ისტორიის დიდი მნიშვნელობის შესახებ: „ყოველი ერი თავის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძუ, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თვისის სულის ბეგრას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას“. მეორე წერილში — „დავით აღმაშენებელი“ — ილია ამბობს: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგა-

ნა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიღამ მოდის და სად მიდის, ესეც ურად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწერომა და თავის ისტორია არ ახსოვს“. საოცარი მსგავსებაა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე პუშკინისა (“Уважение к мигу жизни, вот черта отличающая образцовость от дикости...”) და ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს შორის ისტორიის შესახებ. როგორც ერთს, ისე მეორეს, კარგად ესმით წარსულის შესწავლის აუცილებლობა. თვითონ იძლეოდნენ ამის მაგალითს: თუ პუშკინი გატაცებული იყო ანტიკურობით, დასავლეთი ევროპის შუა საუკუნეებით, აღორძინების ეპოქითა და საფრანგეთის დიდი რევოლუციით, ილია ჭავჭავაძეც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხთან ერთად, ევროპის ისტორიასაც გარკვეულ ყურადღებას უთმობდა და მეტად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამდა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის (საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და სხვ.) შესახებ.

კრიტიკულად მიუდგა „ქართლის ცხოვრებას“ და ხმაძალა განაცხადა, რომ „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“. 1872 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე დავით ერისთავისადმი („სამშობლოს“ ავტორი) გაგზავნილ წერილში წერდა: „მე არაფერსა ვწერ, ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდექ და ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავს დავანებებ-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი... მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს“. ილია ჭავჭავაძეს არსებითად სწორად ესმოდა ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები და პრაქტიკულადაც – საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობაშიც ამ მრწამსის ერთგული რჩებოდა. მთელ მის შემოქმედებას მშრომელი მასებისადმი დიდი პატივისცემის დალი აზის, ხალხის შემოქმედებითი ძალების რწმენითაა გაჟღერებული.

აი ერთი ადგილი ი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან:

„ილია იტყოდა ხოლმე:

ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც – ორივე ფეხებზე ჰკიდიათ! ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდა...

მაშინ ვინღა დაგვრჩა? ის, ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებაჲ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს“.

სამართლიანად მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი, რომ ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასაწერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთენელი შეფასება. აინტერესებდა.<sup>2</sup> მეტად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის პასუხი ივანე ჯავახიშვილის 1889 წელს ჟურნალ „Северный вестник“-ში გამოქვეყნებული წერილების („Письма о Грузии“) გამო. ამ წერილში ავტორი (როგორც თვით აცხადებს) საქართველოს ისტორიას განიხილავდა ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ივ. ჯავახიშვილი პრეტენზია ჰქონდა, რომ ამ მეთოდებით შეიარაღებულმა სწორად შეაფასა საქართველოს წარსული. ილია ჭავჭავაძემ სააშკარაოზე გამოიტანა ივ. ჯავახიშვილის პრეტენზიის უსაფუძვლობა, რადგან მის „Письма о Грузии“-ში საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის ნაცვლად, ავტორის მოუზმადებლობა და ზერელობა უფრო ჩანდა. ილიამ მკითხველს გააცნო ივ. ჯავახიშვილის ძირითადი დასკვნა, სადაც ეს უკანასკნელი წერს:

“Без ясного знакомства с этими доисторическими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно-ли грузинский народ стар (!) и износил свои силы (!), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою”<sup>3</sup>

<sup>1</sup> ი. მანსეცაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 76-78.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 4.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, თხზ., ტ. IV, თბ., 1955, გვ. 18.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ჩვეულებრივ მკითხველზე, რომელმაც საისტორიო წყაროები და ლიტერატურა არ იცის, ივ. ჯაბადარის კატეგორიულ დასკვნებს შეიძლებოდა დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამასთან, მის ნიჰილისტურ მსოფლმხედველობას ვნების მოტანაც შეეძლო. ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ დატოვება კიდევ უფრო დააზარალებდა მკითხველს და სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძემ ვრცლად განიხილა "Письма о Грузии" თავის წერილებში, რომელთაც საერთო სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. აქ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მწყობრი ისტორიული კონცეფცია, მისი დიდი ცოდნა, როგორც ისტორიის ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხებისა.

შემდგომში ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა, რომ „ივ. ჯაბადარის... ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამამჟღავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გავრცელებულ აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძე მტკიცედ შეებრძოლა ივ. ჯაბადარის მცდარ და უცნაურ დებულებებს. თანაც მიუთითა, რომ დრეპერის აზრი დიდი ხნის წინ იყო უარყოფილი მოწინავე მეცნიერების მიერ („ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეცილვოს, ასე თუ ისე დრეპერის აზრი“).<sup>2</sup> მას განსაკუთრებით აშფოთებდა ივ. ჯაბადარის შემდეგი ფრაზები: "Износил свои силы (ქართველ ერზეა ლაპარაკი — რ. მ.), или же он до сих пор не начинал еще жить полною и интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего". აბა, ერთი გვითხარით, ეს ("сберег свои силы для будущего") რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხიაო" — კითხულობს ილია და ააშკარაებს სრულ ულოგიკობას ზემომოტანილ ჯაბადარისეულ დებულებებში. ამ დებულებებით კი გამოდის, რომ ბედნიერი ერი ის ყოფილა, ვინც არ აჰყვია „ინტენსიური ცხოვრების“ მაცდურობას და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ილია ირონიულად შენიშნავდა: „ ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც მათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ, და, მაშასადამე, ადამიანზე მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვისო“. ილია ჭავჭავაძის დასკვნა ასეთი იყო: „ინტენსიური

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, გვ. 20.

ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგაც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მსწობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ“. პოეტი დაცივნით ამბობდა — კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოსო. ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ჯაბადარისეულ ცრუმეცნიერულ და ზერელე დებულებათა წინააღმდეგ სრულიად მართებული იყო. ილია ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი იყო და ამ კონკრეტულ ვითარებაში ისტორიკოსის მოვალეობის შესრულებაც მოუხდა. ილიასთვის ისტორია მხოლოდ ფაქტებისაგან შეკოწიწებული ამბავი არ იყო. იგი ეძებდა ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ბერკეტსა და საფუძველს, თანაც თითოეული მოვლენის სწორად შეფასებას მოითხოვდა. სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ ილია მთავარ ყურადღებას საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ პრობლემებს უთმობდა.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა საქართველოს ისტორიის განხილვა მოითხოვა ეკონომიკური თვალსაზრისით. „ჩვენი ხალხი, — აღნიშნავდა ილია, — თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის წარსულის ეკონომიკური საფუძვლის გამოკვლევა საერთოდ ისტორიის შესწავლის აუცილებელ პირობად აღიარა. ილიას დროინდელი (ისე როგორც ადრინდელი) ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო საკითხის ამგვარი დაყენება.

საერთოდ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეხედულებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმე“, „ირლანდია და ინგლისი“ (საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი), „ეგრძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“ და სხვ.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თხზ., ტ. IV, გვ. 176.

ივ. ჯავახიშვილმა მიმოიხილა ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შესწავლებები და აღნიშნა, რომ ყველაზე საყურადღებო ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძისაგან ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიკური საფუძვლის ცოდნის აღიარება იყო.

1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომმა დღის წესრიგში დააყენა ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ძველი მიწების საკითხი. ამ პრობლემას ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს უძღვნა წერილი „ოსმალის საქართველო“, სადაც წინა პლანზე დააყენა ისტორიის ერთობის ფაქტორი ერის ცხოვრებაში და წარმოაჩინა ის განუყრელი კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და მტრისგან მიტაცებულ ოსმალის საქართველოს შორის. ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიული მხარეების – მესხეთისა და ლაზეთის – საქართველოსთან გაერთიანებას და, საერთოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

მეტად საგულისხმოა ცალკეულ ისტორიულ მოღვაწეთა ილიასული შეფასება, როცა იგი ამა თუ იმ პიროვნებას განიხილავდა არა ცალმხრივად, არამედ მის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას კომპლექსურად აფასებდა. განსაკუთრებულად გამოყოფდა ილია ისტორიული მოღვაწისაგან სხვა ერთა უფლებებისა და ღირსებათა პატივისცემის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი „დავით აღმაშენებელი“, სადაც იგი მიიჩნევს, რომ „უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერისა ზომ სხვა არა არიან-რა, თუ არა ერის გულისნადების და წყურვილის გამოუმეტყველნი და გამახორციელებელნი“.<sup>1</sup> როცა თავის პოზიციას ნათლად აყალიბებს, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მთლიანობაში შეფასების მიზნით იგი მეტად საგულისხმო მხარეს წარმოაჩენს: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველდღე მძიმე მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცს შესაჭმელადაც არ ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის შემორბეტი საუკუნის კაცისაგან!“

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თბზ., ტ. IV, გვ. 171.



როცა ილია ჭავჭავაძე ასე განსაკუთრებულად აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის სხვა ერისა და რჯულის ხალხთა შემწყნარებლობას (ტოლერანტობას), ბუნებრივია, იგი კარგად იცნობდა ისტორიას და იცოდა კიდევ, რომ არსად, არც დასავლეთის (ქრისტიანულ) და არც აღმოსავლეთის (მუსლიმანურ) ქვეყნებში ამგვარი რამ არ არსებობდა. მართლაც, XII საუკუნის დასავლეთ ევროპაში უცხოელის ბედს ის მეფე ან ფეოდალი წყვეტდა, რომლის სამფლობელოშიც სავაჭროდ, ან სხვა საქმიანობისათვის უცხო პირი აღმოჩნდებოდა. ევროპის ქვეყნებში, როგორც ჩანს, საკმაოდ მძიმე ადამ-წესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ; ამ უკანასკნელთა პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას სძირად დაცვის სიგელიც კი ვერ უზრუნველყოფდა. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნიდან ჩამოსული, სხვა სარწმუნოების მიმდევარნი; რჯულთშეუწყნარებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც სიმკაცრეს იჩენდა არა მხოლოდ ებრაელებისა და მაჰმადიანების, არამედ მართლმადიდებლების მიმართაც, დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. უფრო მეტიც, ისლამმა იმთავითვე მკვეთრად გაავლო ზღვარი მუსლიმანებსა და არამუსლიმანებს შორის. იგი უარყოფდა ეროვნებას და ერთადერთ კრიტერიუმად მუსლიმანობის აღიარებას თვლიდა. ამდენად მუსლიმანურ აღმოსავლეთში ტერმინ „უცხოელში“ ძირითადად სარწმუნოებრივი შინაარსი იდო. ყურანი ხშირად აცხადებდა: „ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება“.

უნდა აღინიშნოს, რომ XI-XII საუკუნეებში უცხოელებს რუსეთშიც პოტენციურ მტრად სახავდნენ და ამიტომ მათ მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში ანიჭებდნენ გარკვეულ უფლებებს. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი ი. ანდრეევსკი მიმოიხილავს რჯულთშემწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს რუსეთში და ასკვნის, რომ „Иноверье, как общественное явление... не дозволялось в России до Петра“.<sup>1</sup> ამგვარად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და რუსეთში უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა მდგომარეობა როული იყო,

<sup>1</sup> И. Андреевский, О правах иностранцев в России до вступления Иоанна III Васильевича на престол великого княжества Московского, СПб., 1854 г., стр. 34.

რადგან უფლებრივად ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით დაბლა იდგნენ.

სწორედ ამიტომ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე საქართველოს განსხვავებულ მდგომარეობას სხვადასხვა ერისა და რჯულის აღმსარებელთა მიმართ. მართლაც, საქართველოში დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველ მეფეთა საეკლესიო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იმდაგვარად წარიმართა, რომ რამდენადმე დაშვებულ იქნა გამონაკლისი საქართველოს იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთაგან საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებულ საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, იმატა უცხოელთა რიცხვმა. უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა შედარებით თავისუფლების — რჯულთშემწყნარებლობის პრინციპებს, რაც იმ პერიოდისათვის, როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს და ზემოთაც დავინახეთ, უჩვეულო იყო. თითქმის ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც კი დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს შეეხო, არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფეთა ტოლერანტობისადმი და საგანგებო მინიშნებებით აღწერეს იგი. როგორც არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი გვამცნობს, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა (1122), მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმანთა ხელშეუხებლობის შესახებ, თანაც „ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან (დავით აღმაშენებელმა — რ. მ.) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა, აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტნისათვის და არა მათთვის (დავით აღმაშენებლისათვის — რ. მ.). იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს“.<sup>1</sup> მუსლიმანი მოსახლეობისადმი ამგვარი დამოკიდებულების

<sup>1</sup> Ибн-Ал-Азрак Ал-Фарик, История Майя(ф)арикина, Труды Института истории АН Аз. ССР, XII, 1957, стр. 223.

შესახებ ცნობები სხვა ისტორიკოსებთანაც დასტურდება (იბნ ალ-ჯაუზი, მუჰამედ ალ-ჰამავი, დეფრემერი).

დავით აღმაშენებელი ყოველ მხრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. აი, რას წერს სომეხი ისტორიკოსი – მათე ურჰაელი დავით აღმაშენებლის სომხებთან დამოკიდებულების შესახებ: „ის (დავით აღმაშენებელი – რ. მ.) აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა... მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“<sup>1</sup>.

დავით აღმაშენებელმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი მუსლიმანებისაგან შევიწროებული სომხური ეკლესიის აღორძინების საქმეს. უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყენენ გათანაბრებული ებრაელებიც.

ამგვარი რჯულთშემწყნარებლობითი პრინციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის ღრვიდან დაინერგა, დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. სწორედ ამიტომ აცხადებდა ხმამაღლა საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე ილია ჭავჭავაძე: „ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის XII საუკუნის კაცი-საგან“.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოგიდგინოთ ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებისა, კვლავ დავუბრუნდეთ პოეტის კამათს "Письма о Грузии"-ს ავტორთან. ივ. ჯაბაძარმა არასწორად გააშუქა ისტორიული პროცესი, თამარის ეპოქა მოიხსენია, როგორც საუკუნე "нравственного разслабления" და საბუთად მოიტანა ის მოსაზრება, რომ თითქოს თამარმა ყარსზე ილაშქრა „მარტო იმისთვისა, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილ-უბრალოდო“. ილია ჭავ-

<sup>1</sup> იხ. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 147-248.

<sup>2</sup> შ. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში, საქართველოს ებრაელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1945, გვ. 268-280.

ჭავჭავაძე ამ საკითხს ზოგადისტორიული პროცესის მიმდინარეობის შუქზე იხილავს, თანაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ზემომოტანილი მოსაზრების ავტორს. „გაგონილა, — ამბობს ილია, — ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებლობისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომ-და უკრიტიკოდ!“ ილია ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ ყარსზე გალაშქრება იყო თამარის დროის საქართველოს პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ქვეყნის მშვიდობით ყოფნასა და საერთოდ არსებობას.

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე შენიშნა, რომ ილია ჭავჭავაძემ პირველმა დააყენა და განიხილა თამარის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის საკითხი (ამ პრობლემების მკვლევარ იოს. გედევანიშვილზე 26 წლით ადრე), ილია მიუთითებდა იმ ანბანური ცოდნის აუცილებლობაზე, რომ „მას შემდეგ რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად, ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ არც ერთი მუყე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარ შემოებედნა-რა საქართველოსათვის“.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად თვლიდა, რომ შედარებითი მეთოდის სახელი, რომლის გამოყენებაზეც პრეტენზიას აცხადებდა „Письма Грузии“-ს ავტორი, სრულიადაც არ შეეფერებოდა საკითხის ჯაბადარისეულ კვლევას. პოეტი მიუთითებდა, რომ „შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქეთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა“. ამგვარი ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით მიუდგა ილია ჭავჭავაძე როგორც საერთოდ ისტორიის საკითხების გაგებას, ისე კონკრეტულად ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგიის საკითხებსაც. მისი მოსაზრებები გარკვეულ ეტაპს ქმნიან ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა ზოგადისტორიული საკითხებისა და მისი დიდი ალლო ჩანს ევროპის სახელმწიფოების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას. ილიამ ფრიად საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესსა და ბურჟუაზიასა და მუშებს შორის არსე-

ბულ ბრძოლაზე.<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე ღრმად იცნობდა ევროპის სა-  
სულმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მისი შემოქმედე-  
ბა მიგვანიშნებს, რომ პოეტი აშკარად გამოდიოდა მშრომელი ხალ-  
ხის მხარეზე. მან დიდი წუხილით აღნიშნა „კომუნის დაცემის  
დღე“ და სმამალა განაცხადა:

ტვირთმძიძუთ და მაშერალთ მხსნელი  
დიდი ღროშა დაიშალა...

პოეტმა პარიზის კომუნის დამარცხება ისტორიის შეფერხებად  
მიიჩნია:

კვლავ შეყვრხდა ისტორია,  
განახლების შესდგენენ ძაღნი...

ცალკე უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ის-  
ტორიული მხატვრული ლიტერატურისადმი. პოეტი მოითხოვს ის-  
ტორიუმის პრინციპების მტკიცედ დაცვას ლიტერატურის ყველა  
ჟანრში. 1890 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „ახალი დრამების  
გამო“, სადაც მწვავედაა გაკრიტიკებული ორი ახალი დადგმა  
(„მტარული“ და „ქართულის დედა“), რომელთაც ისტორიულობის  
პრეტენზია ჰქონდათ. ილიას მიაჩნდა, რომ თუ დრამის ავტორს  
სურს, „ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას,  
უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ  
ამბავში ჩანასკვოს, ჩაქსახოს და დრამის სვლაში  
გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძობლად და  
დასანახავად“ (ხაზგასმა ჩვენია — რ. მ.). პოეტი მოითხოვს,  
რომ ისტორიული დრამის დაწერას წინ უნდა უძღოდეს დიდი  
ცოდნა ისტორიისა, დიდი გონებაგახსნილობა, განათლება და ნიჭიე-  
რება. საკუთარი თავისადმი ბევრის მომთხოვნი ილია დიდი შრომის  
გარეშე შეუძლებლად მიიჩნევდა რაიმე ღირებულების შექმნას.  
„ჩვენის ფიქრით, — ამბობდა პოეტი, — ამოდ ირჯებიან ისინი,  
ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუშადებლად და, მაშასადამე,  
კადნიერად ეტანებიან“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> დაწერილებით ეს საკითხი განიხილა პ. რატიანმა, იხ. მისი ილია ჭავჭავაძე,  
თბ., 1965, გვ. 281-286.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ახალი დრამების გამო, თხზ., ტ. 3, თბ., 1953, გვ. 186.

მეტად დიდი ნათესაობა ილია ჭავჭავაძესა და რუს კლასიკოსებს შორის მათ მიერ ისტორიული ნაწარმოების შექმნის სირთულის შეფასებაში. ა. პუშკინი, ვიდრე ისტორიული ნაწარმოების წერას შეუდგებოდა, ჯერ საგანგებოდ იკვლევდა მას, ყოველთვის სათუთად ეპყრობოდა ისტორიულ ფაქტებს. როცა ჩაიფიქრა პეტრე I-ის ეპოქაზე ნაწარმოების შექმნა, აი რას სწერდა იგი გამოჩენილ რუს ისტორიკოსსა და მწერალს მ. პოგოდინს: "К Петру приступая со страхом и трепетом, как вы к исторической кафедре".<sup>1</sup> პუშკინი არაერთგზის იმეორებდა, რომ ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა შეიძლება მხოლოდ დიდი შრომით. "В наше время — წერდა პოეტი — главный недостаток, отрывающийся во всех почти ученых произведениях, есть отсутствие труда. Редко случается в критике указывать на плоды долгих изысканий и терпеливых разысканий".<sup>2</sup>

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც ა. პუშკინი, ამასვე უკიჟინებდა გარეგნულად ეფექტური, მაგრამ არსებითად ფუჟე, ყალბ ისტორიულ საბურველში გახვეული ნაწარმოებების შექმნელებს და თავად ისტორიული ნაწარმოებების შექმნისას ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომის ნათელ მაგალითებს იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე მწვავედ აყენებდა ძველი ქართული ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების აღწერის აუცილებლობის საკითხს. იგი მიაზნებდა, რომ მონასტრებსა და ძველ ეკლესიებში ბევრი საისტორიო განძის მოპოვება შეიძლებოდა, თუკი, რასაკვირველია, სათანადო დაინტერესება იქნებოდა. „ჩვენი ისტორია, — წერდა ილია, — ჯერ კრიტიკის ცეცხლში არგატარებული და არგადასალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილის შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ ამჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა“. პოეტი მოუწოდებდა ბერ-მონაზვნებს და სამღვდლო პირთ, „რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა“, რომ შეედგინათ სათანადო კატალოგები მათდამი რწმუნებულ მონასტრებში არსებული სხვადასხვა სახის ნივთებისა თუ წიგნებისა. ილია თვლიდა, რომ ამგვარი ნამოღვაწარის გამო-

<sup>1</sup> А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. XV, стр. 124.

А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. V, стр. 341.

ი. ჭავჭავაძე, საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი, თხზ., ტ. IV, გვ.

ქვეყნება გაზეთებში მეტად სასურველი იქნებოდა. იგი არანაკლებ საიქებად და სადიდებლად მიიჩნედა იმ ერისკაცებს, რომელნიც არ დაიზარებდნენ და გამოაქვეყნებდნენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები. პოეტი მოითხოვდა, რომ, ვინც კი ამგვარი საქმის გასაკეთებლად თავს გადადებდა, უნდა გამოეკვლია, თუ რა წიგნია, რა გუჯარი, რა სიგელი, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მოცემული; რა დროს ეკუთვნის, რა მინაწერები აქვს და გამოირჩევა თუ არა რაიმეთი გარეგნულად. „ჩვენი გაზეთი, — აღნიშნავდა ილია, — ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე“.

ილია ჭავჭავაძე სიხარულით აღნიშნავდა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალ-გაზეთებში ფართოდ დაიწყო ახლად შეკრებილი ხალხური ლექსების ბეჭდვა. ილია აქვე შენიშნავდა, რომ ეს არ იყო საკმარისი. მხოლოდ ხალხურ პოეზიაში არ იყო ჩამარხული ხალხის ესთეტიკური გემოვნება და აზროვნება. საჭირო იყო ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლა. ილია აღნიშნავდა, რომ „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს... მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება, და ათასი ამგვარი მოვლენა, სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება“.<sup>1</sup>

ილია ხალხის ჩვეულებებში ჩაკირული საუნჯის ღრმა შესწავლას მოითხოვს, რადგან სწორედ ამგვარი შესწავლით შეიძლება ხალხის წარსულისა და აწმყოს, ავისა და კარგის ყოველმხრივ შეგნება. პოეტი წარსულში ხალხის ცხოვრების კომპლექსურად, ჰარმონიულად შესწავლას მოითხოვს. ილია თვლის, რომ ხალხის ცხოვრების ეკონომიკური და იურიდიული სფეროების შესწავლა შედარებით ადვილია, რადგან უფრო მეტად ბეჯითობასა და დაკვირვებას მოითხოვს, ვიდრე სპეციალურ ცოდნა-მომზადებას (როცა ილია ჭავჭავაძე ამგვარად აყენებდა საკითხს — მხედველობაში, რასაკვირველია, თავისი დროის მეცნიერების მდგომარეობა ჰქონდა).

ილიას არ მოსწონდა, რომ გამორჩევით („ამოჩემებით“, როგორც თვით ამბობდა) ქართველი ინტელიგენცია სახალხო პოეზიას სწავლობდა და ხალხის ზნე-ჩვეულებების სხვა მხარეები მივიწყებული იყო. პოეტი ფართო მასშტაბის ამოცანას აყენებს: „საჭიროა, რომ

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზ. IV გვ. 191-192.

2. რ. მებრეველი

ჩვენმა ნასწაველმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის“. ეს მართლაც საკითხის დროული და საპროგრამო დაყენება იყო.

როცა საკითხი ჭეშმარიტების დადგენას ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ყველასა და ყოველგვარი ავტორიტეტების მიმართ. იგი მიიჩნევდა, რომ „კრიტიკას თავისუფალი გზა და მსუვლელობა აქვს“. ილია სიხარულით შეეგება 1887 წელს აკაკი წერეთლის მიერ „ეფესხისტყაოსნის“ შესახებ საჯაროდ ლექციების რუსულად კითხვას. ამასთან, მისი წარმოდგენით „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოდგენს ერთს იმ დედააზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია – ქართლელია, აეთანდილი, წინდახედულია და ცბიერი – იმერელია, და ფრიდონი კი – არ გვასსოვს რა მიზეზით და რის გამო – ზღვისპირა ქართველია“.<sup>2</sup> ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს მოსაზრებები. მართალია, მას ტაქტი და თავაზიანობა არც კრიტიკულ წერილებში დაუკარგავს, მაგრამ იგი ბოლომდე პირუთენელი და პირდაპირი დარჩა თავისი ძვირფასი მეგობრის მიმართ. ღრმა ისტორიზმი ყოველთვის იყო ილიას შემოქმედების მუდმივი თანამგზავრი.

ჩვენ საგანგებოდ არ შეეჩერდებით ილია ჭავჭავაძის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებულ წერილზე – „ქვათა ღალადი“,<sup>3</sup> რომელშიც დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ღრმა მეცნიერული და სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან მედგრად გაილაშქრა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. აღნიშნულ ნაშრომში ნათლად გამოჩნდა ისტორიის დიდი ცოდნით განმსჭვალული ღრმა ფილოსოფიური აზროვნება მოღვაწისა, რომელსაც თავის დროსაზე ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა და სამსახური ეწერა.

ღრმა ისტორიზმი ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოების განუყოფელი საფენელია. პოეტი ზშირად მოიხმობს ხოლმე ისტორიულ პირებს. საგულისხმოა მისი ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1878 წ.). საქართველოს მეფის, თავდადებულად

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ეფესხისტყაოსანი“, თხზ., ტ. 3, გვ. 166-178.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 167.

<sup>3</sup> იხ. ი. ჭავჭავაძე, ქვათა ღალადი, თხზ., ტ. 8, გვ. 95-194.



წოდებული დემეტრე II-ის (1270-1289 წწ.) სახე და XII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს კონკრეტული ისტორიული ვითარება ღრმად შეიჭრა ილია ჭავჭავაძის ინტერესთა თვალსაწიერში. დემეტრე თავდადებული პოემა „აჩრდილშიც“ არის მოხსენიებული, სადაც პოეტი ამბობს:

...თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა  
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.  
განა დიმიტრი თავდადებული  
იქნება როსმე დავიწყებული?!

ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში აღწერა არღუნ ყაენის მიერ საქართველოს მეფის დემეტრე II-ის დასჯა. როცა არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამჟღავნდა, ყაენმა თავისი მთავარი მრჩეველი ბულა დასაჯა. ბულას ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი და ამიტომ ეჭვი დემეტრე მეორეზეც მიიტანეს. იგი ყაენთან გაიწვიეს და ამ უკანასკნელმა, საქართველოს მეფეზე განაწყენებული ხუტლუ ბულას ჩაგონებით, 1289 წლის 12 მარტს დემეტრეს თავი მოჰკვეთა.

ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, რომ ურდოში წასვლის წინ დემეტრე მეორემ დარბაზს მიმართა: „თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშვიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებული არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვის, თუ არა წარვიდე ურდოსა“<sup>1</sup>. მეფეს ჰქონდა სხვა გამოსავალიც — შეეძლო მთიულეთისთვის შეეფარებინა თავი „სიმაგრეთა შინა“, მაგრამ მან განჭვრიტა, რომ „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემოვს მრავალი სული მოკუდეს და მე ტურო-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს“. როგორც ცნობილია, დემეტრე II შთამომავლობამ თავდადებულის ეპითეტით შეამკო და ასეა იგი ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძემაც დემეტრე თავის პოემაში გამოიყვანა, როგორც ხალხისათვის თავდადებული გმირი. მისთვის ძირითადი წყარო ჟამთააღმწერლის თხზულება იყო.

<sup>1</sup> ჟამთააღმწერელი, შესაძოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიანი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, გვ. 287.

ილიას მიხედვითაც, როცა მეფეს მიმართეს:

... რა მიღიხარ,  
ნუთუ, მეფევე, ხსნა არ არის!..  
ქულზედ კაცი დაუძახე,  
შოაგროვე სპა და ჯარი.

საქართველოს მეფემ კატეგორიული უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი დიდებულის მეფისადმი მიმართულ სიტყვებში ნათლად ჩანს თვით პოეტის პოზიციაც, მისი მებრძოლი სული:

სირცხვილია ერისათვის,  
თავის მეფე მისცეს მტერსა...  
მეფევე, სირცხვილს ნუ შეაჭმევ  
ერსა შენსა შემნატერულსა.

მეფე კი დარწმუნებულია, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ყაენი ააოხრებს ქართლის მიწა-წყალს და ქართველთა თავდადებაც ამაო იქნება; ამასთან დემეტრესაც თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს:

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ  
მაგდენს ჩემთვის – ერთისათვის,  
მაშ, რად მიშლით თავდადებას  
მე ერთს – მთელის ერისათვის!

დემეტრეს ფიქრით:

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს  
და ხალხს შესწიროს ღღენია,  
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ  
სახელი არ დარჩენია.

თავისთავად დამპყრობლისადმი ქედის მოხრა და უბრძოლველად დანებება არ ყოფილა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი. ჟამთააღმწერელმა ხმამაღლა განაცხადა: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბ-

მელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“<sup>1</sup>. მაგრამ დემეტრე, რომელმაც აქტიური ბრძოლის ნაცვლად თავის განწირვა არჩია, ისტორიამ არა თუ გააიციხა, თავდადებულად გამოაცხადა. ეს იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მტრის ჭარბ ძალებთან შებმას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ უნაყოფო მსხვერპლი მოჰყვებოდა და ამდენად მეფის თავდადება გმირობას უდრიდა. ილია ჭავჭავაძესაც ამგვარად ესმოდა დემეტრეს თავდადების მნიშვნელობა და სწორ შეფასებას აძლევდა მას.

ჭეშმარიტი ისტორიზმი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის პოემებს: „ანრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მის მრავალ ლექსს. ასევე საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნითაა დაწერილი „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქერივი“. ისტორიულ თემაზეა შექმნილი მინიატიურა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

ილია ჭავჭავაძე ფართო მასშტაბის დიდი მოღვაწე იყო. მისი სიდიდე დღითი დღე ნათელი ხდება. პოეტის შემოქმედებამ საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიას ღვაწლი ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ისტორიზმი პოეტის ფილოსოფიური აზროვნებისა, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების ორგანული ნაწილი იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა, წარსულის შესწავლისას გამოეძებნა პოლიტიკური ბრძოლის, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობისა და ეროვნული თვითშეგნებისათვის ბრძოლის მაგალითები და გაკვეთილად მიეწოდებინა ხალხისათვის. როგორც ისტორიკოსი-მკვლევარი, ილია ჭავჭავაძე თავისი ეპოქის მსოფლიო ისტორიოგრაფიის დონეზე იდგა. მისი კონცეფცია ისტორიული პროცესის, ხალხთა მასების როლის შეფასებასა და სხვა არსებით საკითხებში თავისი დროისათვის პროგრესული იყო.

ისტორია სისხლხორცეული იყო ილია ჭავჭავაძისათვის, რადგან იგი აძლევდა საფუძველს პოეტს, გაერკვია, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.

<sup>1</sup> ჟამთააღმწერელი, მესამეცდარე მეფენი დავით, ძე მეფის ლაშა გიორგისა, და დავით, ძე მეფის რუსუდანისა, ბაგრატიანნი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 262.

# აკაკი წერეთელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში, ჩვენი წარსულის ძეგლების შესწავლა-გადარჩენასა და საერთოდ მე-20 საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით. აღნიშნულ საზოგადოებაში გაერთიანდა იმ დროის ყველა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე საქართველოს ყველა კუთხიდან. თუ ზერელედ გადავავლებთ თვალს საზოგადოების წევრთა სიას 1909 წლის I იანვრისათვის (სრული სია დაბეჭდილია საზოგადოების მიერ გამოცემული კრებულის „ძველი საქართველოს“ I ტომში), თვალნათლივ დავინახავთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს მხარში უდგანან: ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, კიჭა აბაშიძე, იუსტ. აბულაძე, სერგო გორგაძე, კალისტრატე ცინცაძე, პოლივექტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ოცხელი, ზაქარია ფალიაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, თედო ჟორდანიასა და მრავალი სხვა (სულ 456 კაცი).

საზოგადოების მუშაობაში იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები: ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, ვეატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლომოური და სხვ.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავის პირველ საპატიო წევრად (ასეთი შემდგომში სულ სამი იყო) 1908 წლის 5 დეკემბერს აირჩია აკაკი წერეთელი. ეს აკაკის საყოველთაო იუბილის დღეებში მოხდა. ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმი გაუმართა სასიქადულო პოეტს. ეს საყოველ-

---

<sup>1</sup> იხ. არაჩეულაძის საზოგადო კრების ოქმი №18, ძველი საქართველო, I, თბ., 1909, გვ. 45. მანამდე ა. წერეთელი საზოგადოების ნამდვილი წევრი იყო (1907 წ. 8 ნოემბრიდან).

თაო ეროვნული ზეიმი იყო. საქართველო ამ ზეიმში თავისი პოტენციური ძალის დემონსტრირებას ახდენდა, ილიას მოკელისთვისაც ასწორებდა ანგარიშს. ქართველი ხალხი აჩვენებდა, რომ მიუხედავად პოლიტიკური და ეკონომიკური სიდუხჭირისა, მინც მზად იყო ებრძოლა ეროვნული მწერლობის, ენისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

მოელმა საქართველომ იზეიმა აკაკის იუბილე. ქართველი ხალხის სიხარული გაიზიარეს ჩაგრული მოძმე ერების პროგრესულმა წარმომადგენლებმა. ამიტომ სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი მგოსანი თავის საპატიო წევრად აირჩია. საზოგადოება ხომ სწორედ იმ საქმეს ემსახურებოდა, რასაც აკაკიმ მთელი სიცოცხლე ანაცვალა. აი, როგორი ადრესით მიმართა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ აკაკი წერეთელს:

### დიდებულო მგოსანო!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წრფელის გულით გილოცავს შენი ბრწყინვალე მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის შესრულებას.

ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეთნოგრაფიას, ჩვენს ენას დიდი ამაგი დასდო შენმა ზეგარდმოცხებულმა ნიჭმა;

შენის მაღლიანი კალმის მეოხებით ჩვენი ენა დღეს წმინდაა და მსუბუქი, ტკბილია და მომხიბლავი;

შენის ძლიერის პოეტური ნიჭით შენ შეიგენი, თუ რა უღვეელი ზღვაა პოეზიისა ხალხური სიტყვიერება, და შეუდექი მისი მარგალიტების გამოქვეყნებას;

შენის საისტორიო პოემებით და ღრამებით შეაყვარა ქართველ ერს მისი მივიწყებული წარსული;

ამ წარსულის სიყვარულმა მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა თვით ჩვენი ნორჩი „საზოგადოება“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდად აფასებს ამ თვალსაჩინო ღვაწლს, — და, ნიშნად მაღლობისა და პატივისცემისა, ერთხმად აგირჩია თავის საპატიო წევრად.

გისურვებთ, მგოსანო, ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ შენმა მაღლიანმა ჩანგმა კიდევ დიდხანს იჟღეროს სამშობლო პოეზიის დიდე-

ბულ ტაძარში უწინდების აღტაცებით და მომხიბლავის მშვენიერებით!

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო  
საზოგადოების თავმჯდომარე - ექვთიმე თაყაიშვილი  
საბჭოს წევრები - დავით კარიჭაშვილი  
მოსე ჯანაშვილი  
ალექსანდრე სარაჯიშვილი  
იუსტინე აბულაძე  
მღივანი - სერგო გორგაძე.

აკაკი წერეთელი უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებოდა და დიდად აფასებდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდით აყენებდა მას. ეს ნათლად გამოჩნდა მისი დანაბარებითაც, როცა მგოსანმა თავისი ქონება ამ ორ საზოგადოებას უანდერძა, იმავე ანდერძით ლიტერატურული მემკვიდრეობა (ნაწარმოებთა გამოცემის უფლება) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა (უნდა შექმნილიყო ხალხური სიტყვიერების ფონდი და მოგვარებულიყო გამოცემა). აი, ერთი ადგილი აკაკი წერეთლის მიერ 1912 წლის 7 ნოემბერს გაცემული (ქუთაისის ნოტარიუსის დამოწმებული) ანდერძიდან: „მე თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუასა და მტკიცე მენსიერებაზე, საჭიროდ ვთელი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი... სამოსახლო ადგილს შენობებით და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ აქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა; ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ქართული ზღაპრებისა, არაკებისა და საერთოდ ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად. უფლება ჩემი ნაწერების გამოცემისა უნდა მიეცეს ზემოხსენებულ საეთნოგრაფიო საზოგადოებას აღნიშნულ მიზნისათვის...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ძველი საქართველო, I, გვ. 45-46. ადრესის პირველი (შავი) დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ყ. 347, საქ. 18').

<sup>2</sup> აკაკის ანდერძი, ა. წერეთელი, თხზულებათა ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 589.

აკაკი წერეთელი ერთი პერიოდი უაღრესად ხელმოკლედ ცხოვრობდა. იგი ხშირად იძულებული იყო, მამულიც კი დაევირავეზინა. იყო პერიოდი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა ცოლშვილი უსახსრობას შესწიოდა პეტროგრადიდან და დახმარებას სთხოვდა, თვითონ კი საშუალება არ ჰქონდა, ფული ეშოვნა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად.

მოაზრობამ ძალზე გაურთულა პენსიის საქმეც. ამ მხრივ მეტად საინტერესოა აკაკის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ქუთაისში ბანკის კრებაზე. მოთმინებიდან გამოსული პოეტი ჰყვება: „... 1889-ში ერთს ბანკის დირექტორთაგანს ირჩევდნენ; კრება ერთხმად ჩემზე შეჩერდა. მაგრამ მე მივიღე ეს არჩევანი და არ დავთანხმდი. „ბატონებო, — მოვახსენე მაშინ კრებას, — თქვენი სურვილისა და ბრძანების ურჩი არა ვარ, მაგრამ მაქვს მიზეზი, რისთვისაც ვერ ვკიდებ ხელს მაგ თანამდებობას. რომ ვსთქვა, რომ ვერ ავასრულებ-მეთქი, ეს ტყუილი იქნება და არც თქვენ დამიჯერებთ. არ მინდა, რომ ორი ნესვი ერთ ხელში დავიჭირო. მე უკვე მაქვს საქმე, რომლითაც გემსახურებით და, ახლა რომ სხვა საქმე ვიკისრო, უნდა იმ ჩემ საქმეს ხელი ავიღო. მართალია, მატერიალურს ჩემი საქმე არას მძღვეს და ბანკის დირექტორობა კი უზრუნველყოფს ჩემს გაჭირვებას, მაგრამ მე კი მაინც ვერ გაესცვლი პირველს მეორეში და როგორც დღემდი, ორმოცი წლის განმავლობაში, უსასყიდლოდ მიმსახურნია თქვენთვის, აწიც ისე გემსახურებით!“ ერთ მონაწილეს დავით მიქელაძეს კრებისათვის მიუძართავს: „ნუ შევეუშლით ხელს!.. გვემსახუროს ისე, როგორც დღემდი უმსახურნია, მაგრამ ჩვენც მაგისი სალიტერატურო შრომა დავაფასოთ და ამიერიდან მაინც უზრუნველვყოთ, რომ გაჭირვება ხელს არ უშლიდეს. დირექტორის ჯამაგირი, 1500 მ. დავუნიშნოთ მთელს მის სიცოცხლეში პენსიადო!“ ეს რჩევა კრებამ ერთხმად მიიღო და აკაკისათვის პენსია დაუნიშნავთ. მთელი ხალხი ალტაცებით შეგებებია ამ განაჩენს — კეთილად მოუხსენებია არა მხოლოდ ადგილობრივ გაზეთებს, არამედ სატახტო გაზეთებსაც კი (ამ ფაქტს „ნოვოე ვრემიამაც“ აღფრთოვანებული წერილი მიუძღვნა). მაშინდელი ბანკის გამგეობა სამინისტროს შეეკითხა: კანონიერია ეს პენსია თუ არაო. სამინისტრომ დადებითად უპასუხა. აკაკი ასე აგრძელებს სიტყვას: „თვე რომ გავიდა, მივედი და მოვთხოვე ჩემი წილხვედრი

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 496-497. ამ მხრივ ნიშანდობლივია ა. წერეთლის კერძო წერილები, რომლებიც თხზულებათა XV ტომში დაიბეჭდა 1963 წ. გ. აბზიანის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

პენსია. მაგრამ გამგეობამ მიპასუხა: ვერ მოგცემთ. ამიტომ, რომ პენსია წლიურად დაგენიშნა და არა თვიურად – წლამდი მოიცადე! მოვიცადე. რაღა გზა მქონდა? წლის ბოლოს რომ მივედი, მიტხრეს, რომ შენი პენსია შენმა მოვალემ წაიღო. ესეც ავიტანე. ვიფიქრე, მეტი მოვალე აღარავინ მყავს და შემდეგ იყოს, რა გაეწყობა-მოქი, მაგრამ მეორე წელიწადს რომ მივედი, იგივე მიტხრეს: მოვალემ წაიღო. მაშინ კი სამსჯავრომდი მივიდა საქმე-მსაჯულმა განიხილა საქმე. უკანონოდ სცნო და მიუბრუნდა მმართველობის წარმომადგენელს: ეს დიდი უკანონობა ჩავიდენიათ, რომ კილაც ყალბი ვექსილის მქონისათვის მიგიციათ ფულიო. კანონით არა თუ ყალბს, ნამდვილ მოვალესაც არ მიეცემოდანო!“ აკაკი უამბობს კრებას, რომ ამის მერე საერთოდ მომისპეს პენსია და 13 წელიწადი აღარ მოუციათო. „სწორედ რომ დავიტანჯე, – ჰყვება აკაკი, – და ის პენსია ხაფანგათ გადამექცა. – მაშინ მივმაროე მთავრობისაგან დანიშნულ თავმჯდომარეს:

– რა მიზეზია, რომ პენსიას, ერთხელვე დაკანონებულს და სამინისტროსგანაც ნებადართულს, ამდენი ხანია არ მაძლევთ?

– ფულები არ არის!

– სხვებს რომ ყველას აძლევთ?!

– ეგ ჩვენი საქმეა...

– მაშ, მე რა ვქნა?!.

– იჩივლეთ სამსჯავროში!

– სამსჯავროში ჩივილს არც ჩემსა თავსა ვკადრებ და არც კრებას.

– მაშ, ბრძანდებოდეთ მანგრე და იცადეთ!

– ერთი საქმე მაინც მიყავით: თქვენი მიზეზით მე მაგ ბანკში დაგირავებული მაქვს მამული და იმის სარგებელი მაინც შეიტანეთ ხოლმე.

– ეგ წესდებაში არ გვიწერიან და ცივად გამშორდა“.

მართლაც, აკაკის დაგირავებულ მამულს იმდენი გადასახადი დაადევს, რომ მგოსანს მისი გასტუმრების საშუალება არ ჰქონდა და კიდევაც „დანიშნეს გასასყიდათ“.

„მაშინ მივხვდი, თუ რად არ უნდოდანო სიცოცხლეში პენსიის მიცემა, როგორც მოხუცებულისას, მოელოდნენ ჩემს სიკვდილსა და იტყოდნენ: ჩვენ მზად ვიყავით, რომ ერთად მოგვეცა, მაგრამ მოკვდა. და აღარ გვაცალაო!.. ბრალს პირ-აქეთ დამდებდენ. აი ესეები რომ გავითვალისწინე და მეტი გზა აღარ დამჩნა რა, კრებაზე შევიტანე თხოვნა: არ მინდა თქვენი პენსია, რომელსაც მაინც არ მაძლევთ და ჩემს მამულს მაინც ნუ მიყიდით-თქო! მაშინ მე მძიმე



ავად ვიყავ, კრებას არ დავისწრებივარ. არ ვიცი, როგორ გადასცა გამგეობამ კრებას ჩემი თხოვნა... მაგრამ 'შედეგი ის მოჰყვა, რომ მამული დამიბრუნეს, მაგრამ იმ დღიდან კი პენსია მომიხსნეს და წინამძღვლიც, რაც მერგებოდა, აღარ მომცეს... არავითარი საჩუქარი ან მოწყალება თქვენგან არ მითხოვია და არცა გთხოვთ! მე მხოლოდ გთხოვთ იმას, რომ ის, რაც 1889 წელში კრებამ მომანიჭა და სამინისტრომაც ნება დართო, ის მოიყვანოთ სისრულეში და რაც მერგება მომცეთ. ან თუ გეძნელებათ, ის მაინც გამოაშკარავდეს. რომ ჩემი პენსია ყოფილა „ენუქას ანდერძი“, ესე იგი ცარიული სიტყვა და არა საქმე“.

ეს დოკუმენტი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ხაზი გავუსვათ აკაკი წერეთლის მატერიალურ მდგომარეობას და ყურადღება გავამახვილოთ მისი „საზოგადოებისადმი“ ნაანდერძების რეალურ მნიშვნელობაზე. საზოგადოდ აკაკის ანდერძი ფრიად დიდი მოვლენა იყო და ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს დიდი პოეტის დამოკიდებულებაზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი. როცა აკაკის წაუკითხავს „ძველი საქართველოს“ პირველ და მეორე ტომებში დაბეჭდილი ხალხური ლექსები და ზღაპრები, აღფრთოვანებულია, უსაზღვროდ გახარებულია. სიკვდილის წინა დღეებში დიდი მგოსნისათვის ე. თაყაიშვილს მესამე ტომიც მიუწოდებია. აქ ხალხური სიტყვიერების დიდძალი მასალაა მოთავსებული. მომაკვდავ პოეტს ლექსების წაკითხვა მოუთხოვია. შემდეგ კი უთქვამს: „ქართველი ერი არ გაქრება, თუ მისი სახალხო პოეზია არ დაიკარგაო“. რეალურად კი ნაანდერძების ერთი ნაწილი ტვირთად დააწვა საზოგადოებას. სულ მალე აკაკის გარდაცვალებიდან, 1915 წლის 6 ივლისს, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 'შეკითხვით მიმართავეს ნაფიც ვეჟილს ილია ზურაბაშვილს საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ ნაანდერძებისადმი:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად გთხოვს, მიიღოს შრომა, მოიწვიოს რამოდენიმე იურისტი და გვიბოძოს, რამდენადაც კი შესაძლო იქნება მოკლე დროში, წერილობითი დასკვნა შემდეგი საკითხის შესახებ: ჩვენმა საზოგადოებამ რომ ახლავე ჩაიბაროს აკაკი წერეთლის მიერ

<sup>1</sup> ეს სიტყვა, აკაკის ხელით დაწერილი (ბოლოში ხელმოწერილი „აკაკი“). დაცულია ქუთაისის ისტორიულ არქივში. მცირე შესწორებით დაბეჭდილია ა. წერეთლის თხზულებათა პეოლოგისებურ ტომში (თბ., 1961, გვ. 470-473); აკაკიმ იმდროინდელი ბანკების ბიუროკრატიული და უგულვო ხელმძღვანელები შკაცრად გაამართანა თავის წერილში - „მე და ჩემი პენცია“.

ნაანდერძევი ადგილ-მამული (რასაკვირველია, უკეთუ მისი ცოლ-შვილი ნაანდერძე უფლებაზე უარს განაცხადებს) და შემდეგ აღმოჩნდეს, რომ აკაკის ვალები აღემატება ამ ადგილ-მამულის ღირებულებას, ასეთს შემთხვევაში „საზოგადოება“ მევალების წინაშე პასუხს აგებს მარტო ნაანდერძევით (მამულითა და ნაწერების შემოსავლით), თუ თავისი საკუთარის თანხებითაც, როგორც მემკვიდრე განსვენებულის მგოსნისა?

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი  
ქლივანი ს. გორგაძე<sup>1</sup>.

პასუხმაც არ დააყოვნა. 8 ივლისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეს მიუვიდა ასეთი პასუხი:

„პატივი გვაქვს მოგახსენოთ პასუხად თქვენს შეკითხვაზე, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივ მემკვიდრედ და ამიტომ პასუხისმგებელი იქნება ყველა ვალებისა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს.

რა თქმა უნდა, ასეთი პასუხისმგებლობა გაუჩნდება საზოგადოებას იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობას მიიღებს.

ვექილები: ივანე ზურაბაშვილი  
გრ. რცხილაძე  
ირ. გუნცაძე“.

მართლაც, განსვენებული მგოსნის მამულების ნაწილი და ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოცემის უფლებით) საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ერგო. აკაკის ანდერძის იურიდიულ დასაბუთებას იმთავითვე ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა, კავშირი დაამყარა მგოსნის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებთან: კოტე აბდუშელიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ივანე ელიაშვილთან და გრიგოლ დიასამიძესთან. მისივე დავალებით და საზოგადოებისაგან მატერიალური ხელისგამართვით (სათანადო თანხა იქნა გაღებული) კოტე აბდუშელიშვილმა მოლაპარაკება გამართა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესთან სოლო-

<sup>1</sup> საქ. სახ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

მონ მიქელაძესთან აკაკის ანდერძის საბოლოოდ დასამტკიცებლად. ამის შემდეგ კი 1915 წლის 19 ივნისს საგანგებო თხოვნით მიმართა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. აი, ეს დოკუმენტიც:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას განსვენებულის მგოსნის თ-დ აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის აღმასრულებელის კონსტანტინე იოსების ძის აბდუშელიშვილის

### თ ხ ო ვ ნ ა

ამასთან ერთად წარმოგიდგენთ დამტკიცებულ ანდერძის პირს. უმორჩილესად გთხოვთ კეთილინებოთ და დანიშნოთ ერთი თქვენი საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც უნდა მობრძანდეს დაბა საჩხერეში განსვენებული მგოსნის აკაკის დანატოვარ ოჯახში და დაწვრილებით გამოარკვიოს ყოველივე, თუ რა უანდერძა თქვენ საზოგადოებას განსვენებულმა მგოსანმა, რა არის შემოსავალი ნაანდერძევი ქონების და რა იქნება საჭირო ხარჯი მის მოვლა-შენახვისათვის, აგრეთვე უმორჩილესათ გთხოვთ, კეთილ ინებოდ და მიბოძოთ ის ხარჯი, რაც მე ნაღდ ფულით დამეხაჯა მისვლა-მოსვლაში (მხოლოდ ანდერძის დამტკიცების დროს) საბუთების გამოტანაში და ღერბის ხარჯში.

კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილი“<sup>1</sup>

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ არ გაითვალისწინა კ. აბდუშელიშვილის თხოვნა თანხის გაღების თაობაზე, რადგან საბოლოოდ აკაკი წერეთლის უძრავი ქონების მემკვიდრედ საზოგადოება იურიდიულად ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. რო-

<sup>1</sup> საქ. სახ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

გორც ჩანს, ეს ცოტა გვიან მოხდა.<sup>1</sup> 1915 წლის 20 სექტემბერს საზოგადოების კრებამ (იხ. ოქმი №105) საგანგებოდ განიხილა აკაკის ანდერძის საკითხი. ე. თაყაიშვილმა კრებას აცნობა, რომ ანდერძი დამტკიცდა. ამასთან, მამულს ბანკის ვალი დარჩა 700 მანეთი, გადასახდელი იყო ანდერძის დამტკიცების ხარჯები, მამულის სხვადასხვა გადასახადი და კერძო ვალები, სულ 4000 მანეთამდე. მანვე გააცნო კრებას საბჭოს 7 სექტემბერის გადაწყვეტილება (ოქმი №121, მუხლი №4): „მემკვიდრეობა მიღებულ იქნას და მფლობელობაში შევიდეთ, როცა დროებითი მემკვიდრენი უარს იტყვიან თავის მემკვიდრეობაზე. ამ თავით გაწეული იქნას ხარჯები აკაკის ფონდიდან, სახელდობრ, აკაკის მსახურის ვალის (200 მან.) გადასახდელად, სახელმწიფო გადასახადები და ანდერძის დამტკიცების ხარჯები“. კრებამ დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. თანაც საბჭოს დაავალა შემუშავება ფორმისა, რომლის მიხედვითაც წერა-კითხვის გამარცხებელ საზოგადოებასთან ერთად საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მფლობელობაში შესვლას განსაზღვრავდა. ნაანდარძეის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაწეულიყო აკაკის ფონდიდან სესხის სახით. აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებლებიც შეუდგნენ საქმის სათანადოდ მოწესრიგებას, რადგან რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო. სულ მალე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო წერილი, სადაც ანდერძთან დაკავშირებული და აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხები იყო მოცემული:

„1915 წლის 4 მკათათვეს შევიკრიბენით მგოსან აკაკი წერეთლის უკანასკნელი ნების აღმსრულებელნი გ. დიასამიძე, ი. ფანცხავა, კ. აბღუშელიშვილი და ი. ელიაშვილი და დავადგინეთ შემდეგი: 1. აკაკის ანდერძი უკვე დამტკიცებულია ქუთაისის საოლქო სასამართლოსაგან და ანდერძის პირი ჩაბარებული აქვთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობებს. 2. ეთხოვოს აკაკის პირდაპირ მემკვიდრეთ კნ. ნატალია პეტრეს ასულს და თ-დ. ალექსი აკაკის ძე წერეთლებს დაუთმონ თავისი უფლება სიცოცხლეში სარგებლობისა აკაკისაგან ნაანდერძე უძრავ ქონებათა ზემოსხენებულ საზოგადოებათ, რათა წ. კ. საზოგადოება ამ თავითვე შეუდგეს შკოლის დაარსების ზრუნვას. 3. წერა-კითხვის საზოგადოებასთან ნაანდერძე სახლსა და ეზოსთან ერთს მოლიანს

<sup>1</sup> იხ. ე. თაყაიშვილი, აკაკის ანდერძის გამო, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 205-207.

შეადგენს ზედ-მობმული ვენახი და სახნავი მიწა. ეს უკანასკნელი ნაკვეთი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მომავალ შკოლისათვის. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უსასყიდლოდ დაუთმოს ეს ნაკვეთი წ. კ. საზოგადოებას. 4. აკაკის უკვე გამოქვეყნებულს კერძო ანდერძში აღნუსხულია მისი მოვალეების სია და ვალის რაოდენობა და მასთან სურვილი გარდაცვალებულისა, ეს ვალი გადახდილ იქმნას მემკვიდრეთაგან. ამ ხანად აკაკის მამულის შემოსავალი ფრიად მცირეა. ამ შემოსავლით ვალების გასტუმრება შეუძლებელია. ამიტომ ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, იკისროს ამ ვალების დაუყოვნებლივ გადახდა. ვალის რაოდენობა უდრის 2.180 მანეთს. 5. აკაკის გარდაცვალების შემდეგ თბილისის სახაზინო ბანკში აღმოჩნდა ასი თუმნის ვექსილი კოტე აბდუშელიშვილის, რომლის ბადალიც აკაკის მიერ ხელმოწერილი, აღმოჩნდა კოტე აბდუშელიშვილთან. ეს ვალიც დაუყოვნებლივ გადასახდელია. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ამ ვალის გასტუმრება. 6. დროებითი მემკვიდრენი, აკაკის ცოლშვილი, არც უვლიან და არც სარგებლობენ მამულით. ხოლო მამულის მოვლა-პატრონობა ჩვენს მიერ დავალებული აქვს კოტე აბდუშელიშვილს, რომელიც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა ეწვეა მიმდინარე ხარჯებს. ეთხოვოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, გაუძღვეს ამ ხარჯებსაც დღიდან აკაკის გარდაცვალებისა, ვიდრე ნაანდერძევის განაწილებამდე საეთნოგრაფიო და საისტ. საზოგადოებისა და წ. კ. საზოგადოების შორის, თუ კი დროებითი მემკვიდრენი უარს განაცხადებენ თავის უფლებაზე. 7. მიენდოს ივანე ელიაშვილს, აცნობოს დროებით მემკვიდრეებს ეს დადგენილებანი, მით უმეტეს, რომ ეს დადგენილებანი დამყარებულია კნ. ნატალია და თ-დ. ალექსი წერეთლების მიერ გამოთქმულ სურვილზე თავისი უფლების უარყოფის შესახებ. 8. ყველა აქ მოხსენებული დადგენილებანი გამომდინარეობენ აუცილებლობისაგან და მათი სისრულეში მოყვანა ვვალება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, როგორაც აკაკის მოვლ ნაანდერძევე ღირებულებათა ნამდვილ მემკვიდრეს. ხოლო თუ ეს დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩებიან, იმ შემთხვევაში ჩვენ, ნების აღმსრულებელნი, ყოველივე პასუხის მგებლობაზე ხელს ვიღებთ იმ მხრივ, თუ საიდანმე სახიფათო რამ გამოუჩნდა ნაანდერძევე ღირებულებას. 9. ამ დადგენილებათა პირის გაგზავნა წერა-კითხვისა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობათადმი მიენდოს ივანე ელიაშვილს. 10. ეთხოვოს ზემოხსენებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზემოაღნიშ-

ნულ მუხლების პასუხის ნების აღმსრულებელთ, აცნობოს ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილის სახელზე არა უგვიანეს ერთის თვისა ამ ოქმის პირის მიღებიდან.

ნების აღმსრულებენი:  
კოტე აბდუშელიშვილი  
იაკობ ფანცხავა  
ივანე ელიაშვილი  
გრიგოლ დიასამიძე<sup>1</sup>.

კოტე აბდუშელიშვილი შემდგომშიც აგრძელებდა ზრუნვას აკაკი წერეთლის მიერ ნაანდერძევი უძრავი ქონების საზოგადოებისათვის გადაცემისათვის. საქმე ისაა, რომ განსვენებული მგოსნისაგან ნაანდერძევი ტყიანი ადგილი, სახელდობრ „საფალავანდიშვილო“ აკაკის სიცოცხლეში იჯარით ჰქონდა მიცემული საზღვარგარეთულ კომპანიას (დ. დიტირისს). ნოტარიალური პირობა ხის მოჭრას ითვალისწინებდა მხოლოდ. ხელშეკრულების ვადა 1918 წლის 11 თებერვალს გავიდა. ამ პირობით მოიჯარადრეს უფლება ჰქონდა, ვადის გასვლიდან 3 თვის განმავლობაში დაემთავრებინა ყოველგვარი საქმიანობა (გაეტანა დამზადებული მასალა, დაეშალა შენობები, გაეყვანა მანქანები და სხვ.). სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ კ. აბდუშელიშვილი ადგილობრივ კომისართან ერთად ეწვია მამულს („საფალავანდიშვილოს“) და მოიჯარადრის წარმომადგენელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულება მოსთხოვა. უკანასკნელმა მსოფლიო ომისგან გამოწვეული დაბრკოლებები მოიმიზეზა და ითხოვა ვადის გაგრძელება რამდენიმე თვით. აკაკის ნების აღმსრულებელმა არ მისცა თანხმობა ამ მოთხოვნაზე და კეთილსაიმედო პირთა თანდასწრებით შეუდგა ქონების აღწერას და სრული სურათი აცნობა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას 1918 წლის 29 მაისს (წერილი დაცულია საქ. ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 251, საქ. 24).

ვიდრე აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემაზე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების უფლებებსა და მოღვაწეობას შევეხებოდეთ, გვინდა შევჩერდეთ ერთ მომენტზე – იმ დიდ მწუხარებაზე, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად საზოგადოების წევრებმაც გამოხატეს დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო. 1915 წლის 27 იანვარს შეიკრიბა საისტორიო და საეთნოგ-

<sup>1</sup> ხელ. მუზეუმის ფონდი, ყ. 251, საქ. 24.

რაფიო საზოგადოების საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი; დაესწრნენ: დ. კარიჭაშვილი, დ. კილოსანიძე, ი. აბულაძე, შ. ქარუმიძე, კ. კეკელიძე, ი. სონლულაშვილი და ს. გორგაძე (მიდივანი). თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების საპატიო წევრი, დიდებული პოეტი, თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი და საჭიროა ჯეროვანი პატივი ვცეო მის ხსოვნასო. საბჭომ დაადგინა, რომ სანამ საგანგებო კრება ჩატარდებოდა იმის თაობაზე, თუ როგორ აღინიშნოს განსვენებულის დაუფასებელი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ჯერჯერობით: ა) 28 იანვარს გადახდით იქნეს პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენიებლად და მოკლი საბჭო დაესწროს მის დასაფლავებას; ბ) იმ კომისიაში, რომელიც შეიმუშავებს და დაიცავს დასაფლავების წესრიგს, საზოგადოების წარმომადგენლობა დაევალოს საზოგადოების საბჭოს წევრს შალვა ქარუმიძეს; გ) გადაიდოს ოცდაათი თუბანი ფული იმ ფონდისათვის, რომელიც შეიქმნება ჩვენს საზოგადოებასთან სახალხო სიტყვიერების გამოსაცემად, როგორც აწ განსვენებულის სურვილი იყო, გვირგვინის სამაგიეროდ გაღებული თანხიდან; დ) ეთხოვოს საზოგადოების დამფუძნებელ წევრს გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძეს და საბჭოს წევრს იუსტინე აბულაძეს, დაესწრონ საზოგადოების სახელით განსვენებულის გვამის გადმოსვენებას საჩხერიდან (იხ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს სხდომის ოქმი №106, 1915 წ. 27 იანვარი).

მეტად საგულისხმოა დიდი მგოსნის დანაბარები, მისთვის განკუთვნილი გვირგვინების თანხა ხალხური სიტყვიერების გამოცემას მოხმარებოდა. „გთხოვთ დამსაფლავოთ უბრალოდ უგვირგვინოდ. გვირგვინის მსურველს ვთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს... საეთნოგრაფიო საზოგადოებას!“<sup>1</sup> ანდერძი აღსრულებულ იქნა. მოელმა საქართველომ მუსლმოყრით გააცილა აკაკი თავის უკანასკნელ გზაზე. დაკრძალვას ასი ათასზე მეტი კაცი დაესწრო. მსგავსი პროცესია არ ენახა საქართველოს დედაქალაქს. დიდი მგოსნის კუბოს წინ მიუძღოდა ერთადერთი, სადა და უბრალო გვირგვინი, რომელსაც საქართველოს სულიერი მეუფის საკადრისი წარწერა აქონდა: „აკაკის — საქართველო“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამოკიდებულება უკვდავი მგოსნისადმი კარგად გადმოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავ პანაშვიდზე:

<sup>1</sup> აკაკის ანდერძი, წერეთელი, თხზ., ტ. XIV, გვ. 590.  
3. რ. ქართველი

„ საქართველო გლოვობს თავის საუკეთესო შვილს. ყველას სურს სიტყვით თუ კალმით გამოხატოს მისი ღვაწლი სამშობლო-სადმი, გაგვიტყვალისწინოს მისი სამსახური, საესებით დაგვიხატოს მისი სურათი. მაგრამ ამოდ! ყველა გრძნობს, რომ ვერ უთქვამს ის, რისი თქმაც უნდოდა; ოდნავადაც ვერ დაუხატავს ის, რისიც დახატვა სურდა. ხოლო, როდესაც ჩვენი მგოსნის სახელს ვახსენებთ ხოლმე, მის სპექტაკ სახელთან ერთად თვალწინ გვემლება დიდებული სურათი... ამ სურათში ჩაქოვილია მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის ისტორია, მისი თვითშეგნების განვითარება, ერთობის ქადაგება, მამულის სიყვარული, საუცხოო პოეზია და დიდებული ენა. საუცხოოა ეს სურათი, რომელსაც ყველა გრძნობს, ყველას თვალწინ უძევს, მაგრამ არავის ძალუძს სიტყვით გადმოგვცეს, კალმით დაგვიხატოს. ასეთია საიდუმლოება ხალხის სულმნათისა, ხოლო ორი რამ თვალსაჩინოდ სჭარბობს ამ სურათში: სიმშვენიერე პოეზიისა და სიკეკლუცე ენისა...

აკაკის სწორედ ჯავრად ჩაჰყვა სამარეში, ვაი თუ ქართული ზეპირსიტყვიერება დაიკარგოსო. რომ ეს არ მოხდეს, ამიტომ ჩვენს საზოგადოებას ანდერძით დაგვიტოვა ამის შესახებ ზრუნვა და თავის ავლადიდება ამ საქმის განსახორციელებლად გვიანდერძა, როგორც ჩვენს საზოგადოებას, ისე მთელ ქართველ ერს ვალად აქვს პირნათლად შეასრულოს ეს ანდერძი“.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი აკაკის ანდერძის შესრულებას. 1915 წლის 25 თებერვალს საგანგებო სხდომა მიეძღვნა ადნინშულ საკითხს. ექვთიმე თაყაიშვილი ვრცლად შეეხო აკაკი წერეთლის უკანასკნელ სურვილს ხალხური სიტყვიერების მასალების შესაკრებად, შესასწავლად და დასაბეჭდად განსაკუთრებული თანხის დაარსებისა და თვით მისი თხზულებების გამოცემის შესახებ. კრებამ დაადგინა, რომ ყველა ღონე იხმაროს ქართული ხალხური სიტყვიერების ფონდის გასაძლიერებლად და გამოცემის უზრუნველსაყოფად. ეს თანხა იმდენად უნდა გაზრდილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყოველგვარი ხარჯის დაფარვა იმ დიდი შრომის გასაწევად, რომელიც ხალხური სიტყვიერების მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის იყო საჭირო. საზოგადოების კრებამ დიდი ყურადღება დაუთმო აკაკი წერეთლის თხზულებათა ჯეროვანი გამოცემის საქმეს. მიიჩნიეს, რომ აკაკის თხზულებათა გამოცემას ორი უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონდეს: მგოსნის შემოქმედების პოპულარიზაცია, მისი ნაწარმოებების ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიწოდება და გარკვეული შემოსავლის მიღება,



რომლითაც გაძლიერდებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ფონდი. გამოცემა ორგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი — ხალხისათვის მისაწვდომი, იაფფასიანი; მეორე — სამეცნიერო. დაადგინეს, რომ მიმართონ ხალხს, ვისაც რაიმე ხელნაწერი მოეპოვებოდა, საზოგადოებისათვის მოეწოდებინათ, ამასთან აკაკისთან ახლომყოფებს სოხოვდნენ, მოეცათ მოგონებანი მგოსანზე, თუ რა ვითარებაში იწერებოდა და ვისდამი იყო მიძღვნილი ცალკეული ლექსები.

აი, ამგვარი თხოვნით მიმართა ქართველ საზოგადოებას საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ გაზეთ „სახალხო ფურცლის“ საშუალებით:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო უმორჩილესად სთხოვს განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ნათესავ-ნაცნობებსა და მისი ხსოვნის პატივისცემელთ მოაწოდონ „საზოგადოებას“ მუზეუმში დასაცველად განსვენებულის მგოსნის ყოველგვარი მიწერ-მოწერა, მისი ნაქონი ნივთი, კერძო ალბომებში მოთავსებული მისი ლექსები ან კერძო პირთათვის შედგენილი ეპიტაფიები (საფლავის ქვაზე წასაწერი), აგრეთვე ყოველგვარი ცნობა, რომელიც მგოსნის ბიოგრაფიის (ცხოვრების აღწერის) შესადგენად გამოდგება, და დასასრულ ვისაც მოეპოვება ცნობები იმის შესახებ თუ მგოსნის რომელი ნაწარმოებები როდის და რა შემთხვევის გამო (ან რომელი პირის შესახებ) არის დაწერილი და სად არის დაბეჭდილი. ამ მასალას საბჭო დაიცავს საზოგადოების მუზეუმში აკაკის სახელობის მომავალი დარბაზისათვის, ხოლო მის ნაწილს გამოიყენებს ახლავე განსვენებულის მგოსნის თხზულებათა გამოცემისათვის.

ესთხოვით სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ეს წერილი გადაბეჭდონ თავის გამოცემებში“.

ამას გარდა საზოგადოების კრებამ შეარჩია რამდენიმე ქართველი მოღვაწე, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკისთან (კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე, დავით ბაქრაძე, სერგო ბახტაძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ლომოური, იოანე მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ორბელიანი, ტასო მაჩაბელი, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ დიასამიძე, ვახტანგ ლამბაშიძე, ივანე ელიაშვილი, კონსტანტინე აბდუშელიშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვ.), და პირადად სთხოვა ყველას მგოსნის შესახებ მათ ხელთ არსებული მასალების მოწოდება.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდში (2468-ხ) დაცულია საზოგადოების მიმართვა (დათარიღებულია

1915 წლის 30 აპრილით) იოსებ (სოსიკო) მერკვილაძისადმი (ანალოგიური ბარათები დაეგზავნათ სხვა პირებსაც):

„ბ-ნს იოსებ მერკვილაძეს

მოწყალეო ხელმწიფეო!

საქართველოს სიამაყის, განსვენებულის მგოსნის აკაკი როსტომის ძის წერეთლის ანდერძის თანახმად, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აგროვებს ყოველგვარ ნივთს, რომელიც აკაკის საკუთრებას შეადგენდა, აკაკის წერილებს ნაცნობ-ნათესავთადმი და მეგობრებისადმი და ამათს წერილებს აკაკისადმი, მგოსნის თხზულებათა ავტოგრაფებს და ყოველგვარ ცნობას. რომელიც მგოსნის ბიოგრაფიისათვის გამოდგება. თხზულებათა გამოცემისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება ცნობათ თუ როდის, რა შემთხვევის გამო, დაუწერია მგოსანს ესა თუ ის ლექსი ან სტატია, მოთხრობა ან პოემა, ან კიდევ რომელი თანამედროვე პირი ჰყავს ავტორს ნაგულისხმები ამა თუ იმ ნაწარმოებში.

გაუწყებთ რა ამას, საზოგადოების საბჭო მოგმართავსო თქვენ, როგორც განსვენებულის მგოსნის გულითადს მეგობარს და დაახლოებულს პირს, და გთხოვსო მოგვაწოდოთ თქვენი მოგონებანი განსვენებულის შესახებ, აგრეთვე თუ რამ მისი ნაწერი ან კერძო წერილი და ნაქონი ნივთი მოგეპოვებათ. თქვენც დაგვეთანხმებით, რომ უკეთუ ასეთი მასალები ამ მოკლე დროში არ იქნა შეკრებილი, რაც დრო გავა, თანდათან გაიფანტება, დავიწყებას მიეცემა და სამუდამოდ დაიკარგება. ყოველი ნივთი, წერილი ან ავტოგრაფი, რომელთაც „საზოგადოებას“ მოაწვდით, დაცულ იქნება საზოგადოების მეზუემში აკაკის სახელობის მომავალის დარბაზისათვის.

საზოგადოების თავმჯდომარე — ე. თაყაიშვილი  
მდივანი — ს. გორგაძე.“

საგულისხმოა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმავე 1915 წლის 25 თებერვლის კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება „აკაკი წერეთელი და ჩვენი ხალხური პოეზია“. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას დიდი მგოსნის აზრი ხალხური პოეზიის შესახებ; ნათლად აჩვენა, რომ ა. წერეთელი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ შეუდგა ხალხური

სიტყვიერების შეკრებას, ხოლო ოციოდე წლის წინ კიდევ დაიწყო მისი ბეჭდვა თავის „კრებულში“. მომხსენებელმა წარმოადგინა პოეტის მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და ცხადყო, რომ ქართული ხალხური პოეზია ფორმის სიმშვენიერით და გრძნობის სიძლიერე-სიფაქიზით, ენის მუსიკალობით ისე განვითარებულა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პირველხარისხოვანი პოეტების ქმნილებებსაც კი უსწრებს წინ. ამიტომ სრულიად არ იყო გასაკვირი, რომ აკაკი წერეთელმა ესოდენ დიდი ყურადღება მიაქცია ხალხურ შემოქმედებას. იგი ხმამაღლა აცხადებს, რომ „უმაღლეს წერტილამდე იყო აყვნილი ჩვენი სახალხო პოეზიაო“, იგი „უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საძირკველიაო“ („კრებული“, 1897, №1, გვ. 72).

აკაკი წერეთლის გარდაცვალების წლისთავზე ექვთიმე თაყაიშვილმა დამსწრეთ გააცნო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გაწეული დიდი მუშაობა განსვენებული მგოსნის ანდერძის აღსრულებისათვის: „გვირგვინების ნაცვლად, თანახმად განსვენებულის სურვილისა, დაარსდა სახალხო პოეზიის ფონდი, რომლისთვისაც დღემდის შეგროვდა ხუთმეტი ათას მანეთზე ცოტა მეტი... დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა... ყველა ის ლექსები, იგავ-არაკები, სიმღერები, სიტყვის მასალანი, რომელიც ჩვენი საზოგადოების გამოცემაში იბეჭდებოდა, ცალკე გამოვა აგრეთვე იქვე დაბეჭდილი ხალხური ზღაპრები“... ექვთიმემ აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ არჩეული კომისია შეუდგა აკაკის ნაწარმოებთა გამოცემას და „გამოსცემს ჯეროვნად, როდესაც დღევანდელი პირობები შეიცვლება, ე. ი. როდესაც შესაძლებელი იქნება ქალაქის შოვნა და ბეჭდვის მოწყობა“. ამასთან დაამატა, რომ ამ კერძო ანდერძის გარდა ქართველ ერს დიდმა მგოსანმა უფრო დიდი ანდერძი დაუტოვა. ესაა... თავგანწირული ზრუნვა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის, მისდამი სიყვარული, მისდამი თავგანწირვა, მისი კულტურის დაცვა, ტერიტორიის შერჩენა, ენის და ლიტერატურის განვითარება, ეროვნული თვითშეგნება, დემოკრატიული მისწარეება და თავისუფლების მოპოვება<sup>1</sup>. მართლაც, დიდი და მნიშვნელოვანი დანაბარებია. ეს აკაკისთან ერთად დიდი ილიას აზრიც იყო. ეს იყო სწრაფვა ნიკო ნიკოლაძისა, დიმიტრი ყიფიანის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა მამულიშვილებისა.

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილის პირადი არქივი, საქ. №1107. იხ. აგრეთვე ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 148-152.

როცა დადგა საკითხი განსვენებული აკაკი წერეთლის საფლავის შემაგრების, გამშვენებისა და მოვლა-პატრონობის შესახებ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. საზოგადოების კრებამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე 1916 წლის 20 თებერვალს. ე. თაყაიშვილმა სხდომას მოახსენა, რომ ა. წერეთლის საფლავი უხერხულ ალაგას იყო მოთავსებული, ისეთი კლდის ძირში, რომელსაც არავითარი სიმაგრე არა აქვს და ყოველი ნიაღვრის დროს იშლება. ამის გამო მგოსნის საფლავი მუდამ განსაცდელშია, გაწმენდა და ხშირი მოვლა სჭირდებოდა. ჯერ კიდევ 1916 წლის ზაფხულში საზოგადოების წევრმა იოსებ მერკვილაძემ საბჭოს სთხოვა, გაეღო ხარჯები კლდის გასამაგრებლად და საფლავის გასამშვენიერებლად. საბჭო დათანხმდა თანხის გაღებას, თანაც გამოყო კომისია ი. მერკვილაძის, ირ. სონღულაშვილისა და ნ. კალანდაძის შემადგენლობით. ამის შემდეგ ი. მერკვილაძემ ახალი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საბჭოს, სადაც ხარჯების სავარაუდო რაოდენობას 2400 მანეთით განსაზღვრავდა. საზოგადოების საბჭომ ასეთი დიდი თანხის გაღება კრების დაუკითხავად ვერ გაბედა. თანხა უნდა გაცემულიყო აკაკის ფონდიდან (სხვა თავისუფალი თანხა საზოგადოებას არ გააჩნდა), რომლის პირდაპირი დანიშნულება ხალხური სიტყვიერების შეკრება და გამოცემა იყო. ამას გარდა საბჭო არ იყო დარწმუნებული, ამ ხარჯის გაწვევის შემდეგ საბოლოოდ ეშველებოდა თუ არა საქმეს. ზოგიერთმა ის აზრიც კი გამოთქვა, რომ დიდი მგოსანი გადაესვენებინათ უფრო მტკიცე და ბუნების სტიქიისაგან დაცულ განსასვენებელ ადგილზე — იქვე მთაწმინდაზე ან დიდუბის „ქართულ პანთეონში“. ცხარე კამათის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აკაკის ცხედარი იქვე უნდა დარჩენილიყო და გაემაგრებინათ საფლავი. გამოიყო კომისია (კ. ცინცაძე, ნ. თალაკვაძე, გრ. დიასამიძე, ი. მერკვილაძე, ი. ზედგენიძე, შ. ქარუმიძე, სვ. კლდიაშვილი, ლ. დიასამიძე, ა. კალგინი, გ. ქურდიანი, ივ. ყიფშიძე), რომელსაც დაევალა საკითხის შესწავლა და წინადადების წარმოდგენა (იხ. საზოგადოების წლიური კრების ოქმი №118). ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საზოგადოებამ ქმედითი მონაწილეობა მიიღო მთაწმინდაზე ა. წერეთლის საფლავის გამაგრება-გამშვენიერებასა და მოვლა-პატრონობაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადების საქმეს. საზოგადოების საბჭომ 1915 წლის 9 მაისს (ოქმი №113) დაამტკიცა აკაკი წერეთლის თხზულებათა გა-

მოცემის დაწვრილებითი გეგმის შემუშავებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. გორგაძე, ი. ყიფშიძე, დ. კილასონიძე, ირ. სონლულაშვილი და გ. ქიქოძე. კომისიის საქმიანობა ექვთიმე თაყაიშვილის შეუწელებელი ყურადღებით იყო მოსილი. 1915 წლის 24 ივნისისათვის კომისიამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარუდგინა თავისი წინადადება სათანადო დასკვნით.

ეს გამოცემა უნდა ყოფილიყო პირველი სრული, ყველასათვის (როგორც ჩვეულებრივი მკითხველისათვის, ისე მკვლევართათვის) გამოსადეგი, ყველასათვის (როგორც მდიდართა, ისე ხელმოკლეთათვის) ხელმისაწვდომი და ამავე დროს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის ნივთიერად ხელსაყრელი გამოცემა. მის შემოსავალს, აკაკისავე ანდერძის თანახმად, უნდა გაეზარდა ხალხური სიტყვიერების ფონდი. ამიტომ ეს გამოცემა არ უნდა ყოფილიყო მდიდრული და მხატვრულ-სურათებიანი. ერთადერთი სამკაული, რომელიც ამ გამოცემის ყოველ ტომს დასჭირდებოდა, იქნებოდა გარეკანისა და პირველი გვერდის (ტექსტის დასაწყისში) ორნამენტი; ამას გარდა კომისიას სასურველად მიაჩნდა, პატარა ორნამენტი (საბოლოო) ყოველი ტომის ბოლოში, ტექსტის დასასრულს მოთავსებულიყო. სამკაული უნდა ყოფილიყო ქართული ხასიათისა. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გამოცემაში უნდა შეეტანათ როგორც ქართული, ისე რუსული (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული (მიწერ-მოწერითურთ) მასალა; ყოველი ნაწარმოები უნდა დაბეჭდილიყო მთლიანად. ნაწარმოების ტექსტიდან ცალკე ნაწყვეტის ამოღება და დაბეჭდვა არ უნდა მომხდარიყო. გამოცემაში აკაკის თხზულებათა ტექსტი უნდა დადგენილიყო და ორთოგრაფიულად შესწორებულიყო (უკიდურეს შემთხვევაში) უმეტესად თვით ავტორისავე უკანასკნელი დროის ავტოგრაფების მიხედვით. ყოველი ნაწარმოების შესახებ (როცა კი შესაძლოა) უნდა მოცემულიყო ცნობა, თუ სად და როდის არის დაწერილი ან დაბეჭდილი, ან რომელი პირისა და შემთხვევის გამოა შედგენილი ესა თუ ის ნაწარმოები (ეს ცნობები უნდა მოთავსებულიყო ტომის ბოლოში).

მთელი გამოსაცემი მასალა უნდა დალაგებულიყო შემდეგ ჯგუფებად: ა) ლექსები; ბ) იგავ-არაკები; გ) პოემები და გალექსილი ზღაპარ-ლეგენდები; დ) სცენები და დრამატული ნაწერები (როგორც გალექსილნი, ისე გაულექსავნი); ე) მოთხრობები და ზღაპრები; ვ) წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვეთები; ზ) პუბლიცისტური ხასიათის ნაწერები („ცხელ-ცხელი ამბები“, „ნადული“ და

მისთანანი); კრიტიკული წერილები და საბიბლიოგრაფიო შენიშვნანი; თ) სიტყვები; ი) კერძო წერილები და საზოგადოდ აკაკის მიწერ-მოწერა; კ) რუსული ნაწერები. ყოველი ჯგუფის ნაწერები ტომებში უნდა დაწყობილიყო ქრონოლოგიურ რიგზე (მათი დაწერისა და დაბეჭდვის თარიღის მიხედვით).

პირველ ტომში ლექსების წინ უნდა მოთავსებულიყო აკაკის „ჩემი თავგადასავალი“, შემდეგ კი ლექსები ქრონოლოგიური რიგით. ტომს უნდა დართოდა აკაკის, მისი მშობლების, დის, ცოლ-შვილისა და მამაპაპეული კარ-მიდამოს სურათები.

კომისიამ წარმოადგინა დეტალური წინადადება ქალაქის, შრიფტების, ფორმატის, ბეჭდვის წესისა და საბიბლიოგრაფიო ცნობების შესახებ. გამოცემას (პროექტით გათვალისწინებული ქალაქისა და შრიფტის მიხედვით 20 ტომამდე უნდა ყოფილიყო) ბოლოს ცალკე დამატებად უნდა დართოდა სრული ანბანური საძიებელი, მოცემული იყო სრული ხარჯთაღრიცხვა.<sup>1</sup>

ამგვარი სახით აკაკის თხზულებათა გამოცემა, რასაკვირველია, მისასალმებელი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ საქმის განხორციელება გაჭირდა. ამგვარი ვრცელი (სრული) გამოცემა იმდროისათვის ვითარების სირთულისა და უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა. 1917 წლის 12 იანვარს აკაკის თხზულებათა გამოცემის გეგმის შემუშავებელი კომისია კვლავ შეიკრიბა. სხდომას დაესწრნენ: ს. გორგაძე, გ. ქიქოძე და დ. ყიფშიძე. ამ კომისიას საბჭოსაგან დავალებული ჰქონდა აკაკის თხზულებათა გამოცემის ადრე შემუშავებული დაწერილებითი გეგმის გამარტივება. კომისიის შემადგენლობაში მყოფი პავლე ინგოროყვა მოუცლელობის გამო ვერ დაესწრო სხდომას, თავისი აზრი კი წერილობით წარმოადგინა. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ხელოვნების მუზეუმში დაცული (ყ. 876, საქ. 27) ეს წერილი.

„დიდად პატივცემლო ბ-ნო სერგო!<sup>2</sup>

სწორედ დღეს საღამოს დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების საგამომცემლო სექციის კრება, რომელზედაც უნდა განიხილონ ჩემ მიერ შედგენილი გეოგრაფიული ლექსიკონი. ამ კრებაზე ჩემი წაუსვლელობა ყოველად მოუხერხებელი იქნება და ძალიან ვწუხვარ

<sup>1</sup> კომისიის ანგარიში დაცულია ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 847, საქ. №1.

<sup>2</sup> მიმართავს ს. გორგაძეს.

— რომ თქვენი კომისიის სხდომას ვერ დავესწარი. მაინცა და მაინც შეხედულებას აკაკის გამოცემის შესახებ დათიკო<sup>1</sup> გაგაცნობო. მოკლედ — ჩემი აზრი ასეთია: გამოცემა უნდა იყოს სრული და უსათუოდ კრიტიკული. ჰონორარის გულისათვის საქმეს ნუ შევაფერხებთ.

თქვენი პავლე ინგოროყვა“.

კომისიამ გაითვალისწინა საზოგადოების საბჭოს მითითებები, ის საშუალებები, რაც აღნიშნული საქმის განხორციელებისათვის საბჭოს გააჩნდა და ასეთი დადგენილება მიიღო:

„1. ამჟამად გადაიდოს აკაკის თხზულებათა სრული გამოცემა და მის ნაცვლად გამოიცეს მხოლოდ რჩეული ნაწერები.

2. გამოცემა უსათუოდ უნდა იყოს კრიტიკული.

3. სპეციალისტ-მკვლევართათვის ამ გამოცემას ცალკე დამატებად დაერთოს აკაკის სრული ბიბლიოგრაფია“.

კომისია თვლიდა, რომ ასეთი გამოცემა შესამჩნევად შეამცირებდა გამომცემლობის ხარჯებს. ამჯერად შოთავაზებულ შემთხვევაში მთელი გამოცემა 5-6 ტომით განისაზღვრებოდა (ნაცვლად 20 ტომისა). ეს მკითხველისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, რადგან ამ ტომების ფასი 20 მანეთს არ აღემატებოდა, ნაცვლად წინანდელი 60 მანეთისა.

კომისიის სხდომის ოქმში ცალკეა შეტანილი (დაფიქსირებული) კერძო აზრი დ. ყიფშიძისა, რომელსაც სასურველად მიაჩნია, დაიბეჭდოს აკაკის ის ნაწერები, რომლებიც მანამდე გამოქვეყნებული იყო.

როცა ცალკეული თხზულებების გამოცემაზე მიდგა ჯერი, აღმოჩნდა, რომ აკაკი წერეთელს მთელ რიგ ნაწარმოებებზე გამოცემის უფლება გაყიდული ჰქონდა. ჩვენს ხელთ არის საგანგებოდ ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულების პირი, რომელიც გვაუწყებს, რომ ისტორიული რომანი „ბაში-აჩუკი“, ისტორიული პოემები: „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“ და „ბაგრატ ღიდი“, აკაკი წერეთელმა სამუდამოდ გამოცემის უფლებით მიჰყიდა იოსებ მერკვილაძეს: „... За продажу эту я князь Церетели выговорил себе одну тысячу пятьсот рублей, которые сполна и получила и за

<sup>1</sup> მხედველობაშია დავით ყიფშიძე.

<sup>2</sup> ხელ. მუხეუმის ფონდი, ყ. 876, საქ. 27.

სიმ კ ნემუ იოსიფუ მერკვიაძე ი პრეემნიკამ სიო პერეხოდით  
პრავო ივადანი ი პრადაჟი ოკაზანნიჟ პროივდენიჟ ნავსეგდა”.<sup>1</sup>

ეს ხელშეკრულება 1913 წლის აპრილშია გაფორმებული.  
ი. მერკვილაძე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევ-  
რი იყო და, როგორც ჩანს, აკაკის გარდაცვალების შემდეგ, მისი  
ანდერძის განხორციელებას (საზოგადოების მიერ ა. წერეთლის  
თხზულებათა გამოცემისა და ხალხური სიტყვიერების ფონდის  
შექმნის შესახებ) მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. მან თავისი  
მზადყოფნა, უსასყიდლოდ დაეთმო გამოსაცემად აკაკის თხზულებები  
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის გამოსაცემად,  
წერილობით გამოხატა. აი ი. მერკვილაძის განცხადება (დაცულია  
ხელ. მუზეუმის ფონდში, ყ. 876, საქ. №27) ე. თაყაიშვილისადმი:

„ქართული ეთნოგრაფიული საზოგადოების  
გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ექვთიმე სვიმონის ქე  
თაყაიშვილს

ამავე საზოგადოების მუდმივი წევრის იოსებ  
ნიკოლოზის ძის მერკვილაძის

### განცხადება

განსვენებული ჩენი სასიქადულო და უკედავი მეოსნის აკაკის  
ანდერძით მისი ნაწარმოების საავტორო უფლება გადადის ქართუ-  
ლი ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელში. ამის გამო და აგრეთვე  
ასაცილებლად ყოველგვარი გაუგებრობისა ან მიოქმა-მოთქმისა, მო-  
ვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გაცნობოთ თქვენ, როგორც ხსენებული  
საზოგადოების თავმჯდომარეს და წარმომადგენელს შემდეგი:

განსვენებული აკაკისგან ნოტარიუსთან დადებული ხელშეკრუ-  
ლობით შექენილი მაქვს სრულ და სამუდამო საკუთრებათ ოთხი  
მისი ნაწარმოები, სახელდობრ:

1. ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ისტორიული პოე-  
მები 2) „ნათელა“ 3) „იკიკოლას ნაამბობი“ და 4) „ბაგრატ დიდი“,  
გარდა ამისა მისგანვე შინაური ბარათით შექენილი მაქვს ერთი გა-  
მოცემის უფლება ისტორიული დრამის „პატარა კახი“. ეს ბარათი

<sup>1</sup> იქვე, ხელშეკრულების პირი დაცულია იგივე ფონდში.



გამოცემულია 1913 წ. 7 აპრილს. გაცნობებით რა ზემოხსენებულს, პატივი მაქვს გაგიცხადოთ, რომ მე ვისარგებლებ კანონიერი უფლებებით და გოხოვთ იქონიოთ ეს ჩემი განცხადება მსუდველობაში.

აქვე დავსძენ: როცა საზოგადოება შეუდგება აკაკის ნაწერების ტომებათ სრულს აკადემიურ გამოცემას, მე ჩემი მხრით სავალდებულო მივიჩნევ, არ შეეუშალო ხელი ასეთ სასარგებლო საქმეს აკაკის რომელიმე ნაწარმოების გამოკლებით და „საზოგადოებას“ უსასყიდლოდ ნებას დავრთამ მოათავსოს იმ გამოცემაში ჩემ მიერ შექმნილი თხზულებებიც სხვა მის ნაწერებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს თხზულებები არ იქნეს გამოცემული ცალკე ტომათ. ან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ამასთანავე წარმოგიდგენთ ზემოხსენებული საბუთების ასლებს.

1) ტფ. ნოტარიუსის მიტკევიჩის მიერ შემოწმებული ხელ-შეკრულებისა 1913 წლის 9 აპრილს (რუსულ ენაზე) და 2) ჩემ მიერ შემოწმებულს შინაური ბარათის ასლს (7 აპრილი 1913 წლისა).

ულრმესის პატივისცემით საზოგადოების  
მუდმივი წევრი  
იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იწყებს ზრუნვას აკაკი წერეთლის თხზულებათა შექმნისდაგვარად (ძირითადად გამარტივებული გეგმით) გამოცემისათვის. გამომცემლად შერჩეული იქნა „თ. მთავრიშვილის ამხანაგობა“. ამ ამხანაგობის წარმომადგენლის თომა აბრამის ძე მთავრიშვილის მიერ წამოყენებული პირობები აკმაყოფილებდა საზოგადოებას. 1919 წლის 2 აგვისტოს აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემის შესახებ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (საზოგადოების სახელით ხელს აწერდა მისი თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი) უთმობდა დიდი მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემის უფლებას „თ. მთავრიშვილის ამხანაგობას“ შემდეგი პირობებით: გამოცემა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით; გამომცემელს უნდა ეკისრა ყოველგვარი შრომა და (სარედაქციო, კორექტურა და სხვ.) ხარჯი; გამომცემელს უფლება ეძლეოდა, გამოეცა ცალკე წიგნებად (ბროშურებად) აკაკის ყოველი ნაწარმოები, რომელსაც თვითონ მოისურვებდა, გარდა იმ თხზულებებისა, რომელთა გამოცემის უფლება თვით საზოგადოებას არ ჰქონდა; გამომ-

ცემელს უფლება ეძლეოდა, განეხორციელებინა გამოცემა ხელშეკრულების დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში; საზოგადოებას უფლება არ ჰქონდა, „მთავრიშვილის ამხანაგობის“ მიერ გამოცემული აკაკის თხზულება, ორი წლის განმავლობაში დღიდან მისი დაბეჭდვისა, თვითონ გამოეცა, ან სხვისთვის გადაეცა გამოსაცემად; თითოეული წიგნის ტირაჟი უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 5000-ისა. გამოცემულ ცალთა რაოდენობა ყოველთვის გამომცემელს უნდა ეცნობებინა საზოგადოების საბჭოსათვის; საზოგადოებას უნდა მისცემოდა ყოველ დაბეჭდილ ცალზე ნომინალური ფასის 15%. ამასთან, გამომცემელს უფლება არ ჰქონდა, წიგნის ნომინალური ფასი გაედიდებინა (გამოცემის შემდეგ) საზოგადოების საბჭოსთან შეუთანხმებლად; გამომცემელს კუთვნილი თანხა უნდა ჩაებარებინა საზოგადოების საბჭოსათვის ერთი წლის განმავლობაში დღიდან წიგნის გასაყიდად გამოსვლისა; საზოგადოება იტოვებდა უფლებას, აკაკის თხზულებები გამოეცა ტომებად, როცა მოისურვებდა.

ასე დაიწყო დიდი საქმიანობა აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოსაცემად. 1919-20 წწ. ქართველმა მკითხველმა მიიღო ცალცალკე წიგნებად გამოცემული „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“, „თამარ-ცხიერი“ და „გამზრდელი“. აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ დიდ საქმეს. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ოცნებას — განხორციელებულიყო აკაკის თხზულებათა სრული და კრიტიკული გამოცემა, ფრთები შეესხა მოგვიანებით. საზოგადოების მიერ გაწეული დიდი საქმიანობა იყო საფუძველი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი მგოსნის თხზულებათა გამოცემის მეცნიერულ რელსებზე დაყენების საქმეში.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მგოსანი, აკაკი წერეთელი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან დააახლოვა ამ უკანასკნელის ფრიად მნიშვნელოვანმა, კონკრეტულმა და სასარგებლო ეროვნულმა საქმიანობამ და ისტორიისა და ხალხური შემოქმედების დიდმა სიყვარულმა. საზოგადოებაც ფართოდ უღებდა კარს საქართველოს გამოჩენილ მოღვაწეებს, რომელთა გვირგვინიც თვით მისი საპატიო წევრი — საქართველო უკვირგვინო მეფე, აკაკი წერეთელი იყო.

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის იაკობ გოგებაშვილი მრავალმხრივ გამორჩეულია. „დედა ენის“, „ბუნების კარის“, „რუსსკოე სლოვოს“ შემქმნელი, „აკიდოს“, „კონას“, „კუნწულას“, „კოკორის“, „ხომლის“ შემდგენელი ავტორი იყო მეტად საინტერესო ისტორიული მოთხრობებისა, მნიშვნელოვანი პედაგოგიკური და პუბლიცისტიკური ნარკვევებისა.

სრულიად განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ისტორიასთან; მის შემოქმედებას მთელს სივრცეზე გასდევს ჭეშმარიტი ისტორიზმი. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გარდა მისი შესანიშნავი მოთხრობებისა, რომლებშიც ისტორიული მოვლენებია გადმოცემული, საკმე გვაქვს უშუალოდ ისტორიის კონკრეტული საკითხების წარმოჩენასთან ცალკეულ წერილებსა თუ ნარკვევებში. ცალკე უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, დიდადაა დაინტერესებული იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიული განვითარებით და იგი ცალკეული საერთაშორისო პრობლემების საკმაოდ კვალიფიციურ მიმომსილველად გვევლინება.

ნიშანდობლივია, რომ იაკობ გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტიკური წერილი, რომელიც 1886 წლის 29 აპრილს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა, იყო „ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის (პოლიტიკური მიმოხილვა)“. ესაა მაღალპროფესიონალი ისტორიკოსის მიერ გადმოცემული ვითარება, რომელიც რეალურად შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ლინკოლნის მოკვლის შემდეგ. ი. გოგებაშვილი ხსნის ამერიკის შეერთებული შტატების შინაური ბრძოლის მიზეზებს. სრულიად მართებულად იგი ზანგების მძიმე მდგომარეობას მიიჩნევს ქვეყანაში შინაური შფოთვის გამომწვევად. ამასთან, მცირე ისტორიულ ექსკურსსაც აკეთებს. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზანგების სყიდვა აფრიკაში და შემდეგ ამერიკაში გადაყვანა ამერიკელებმა მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო. ზანგების მონურ მდგომარეობაში ჩაყენებას ი. გოგებაშვილი უდიდეს ბოროტებად მიიჩნევს; თანაც აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ სამხრეთის შტატებში ხდებოდა. მწერალი ახასიათებს შექმნილ ვითარებას და წერს, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ამერიკელებმა ვერ გააცნობიერეს, თუ რაოდენ უშლიდა ხელს მათ განვითარებას ზანგების მძიმე მდგომარეობა. ამ პერიოდი-

დან კი ჩრდილოეთ შტატებში შექმნილმა რესპუბლიკურმა პარტიამ ამხილა ზანგთა მონური მდგომარეობის უსამართლობა, ის ბოროტება და მიყენებლობა, რაც ყოველივე ამას ქვეყნისათვის მოჰქონდა. იაკობ გოგებაშვილი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ 1860 წელს პრეზიდენტად ლინკოლნი აირჩიეს, რომელიც იყო „მეტად კაცთმოყვარე... დაუძინებელი მტერი მონობისა და შეუპოვარი მებრძოლი ამ საზარელის ბოროტების წინააღმდეგ“. 1861 წელს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საშინელი ბრძოლა დაიწყო, როცა სხვა მხრივ ვერაფერს გახდნენ, სამხრეთელებმა ჯავარი პრეზიდენტზე იყარეს – ლინკოლნი მოკლეს. მოკლული პრეზიდენტის ადგილი დაიკავა ვიცე-პრეზიდენტმა სამხრეთელმა ჯონსონმა. უდიდესი წინააღმდეგობა დაიწყო ჯონსონისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს შორის. აი სწორედ ეს წინააღმდეგობა გადმოსცა შესაშური ოსტატობით იაკობ გოგებაშვილმა. სტატიაში ჩანს დეტალური, ღრმა ცოდნა იმ რთული და არაცალსახა დამოკიდებულებისა, რაც ჯონსონისა და კონგრესს შორის იყო. იაკობ გოგებაშვილს მოაქვს სახალხო კრების წინ 1865 წლის 22 თებერვალს (ვაშინგტონის დღეობისადმი მიძღვნილ სხდომაზე) წარმოთქმული სიტყვები პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონისა და კონგრესმენ სტივენსისა, სადაც აშკარად ჩანს დიდი ბზარი კონგრესისა და პრეზიდენტს შორის.

იაკობ გოგებაშვილი მეტად საინტერესოდ აღწერს ამერიკის შეერთებული შტატების იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას და „პოსტსკრიპტუმით“ ამცნობს მკითხველს, რომ პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი კონგრესმა იძულებული გახადა, გადამდგარიყო. მის ნაცვლად კონგრესმა პრეზიდენტად აირჩია გენერალი გრანტი, რომელიც სამხრეთელი იყო და თანაც ლინკოლნის პოლიტიკის მიმდევარი.

ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ იაკობ გოგებაშვილის ზემომოტანილი სტატია ნიმუშია ისტორიული ვითარების მაღალ მეცნიერულ და პოლიტიკურ დონეზე მიმოხილვის. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ავტორს ბევრი უშრომია წყაროების მოპოვება-შერჩევაზეც, რათა მასალა საინტერესო, მიმზიდველი და კითხვადი გაეხადა.

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ (№77 და №82) ორ მეთაურ წერილად გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის სტატია „ირლანდიას უთენდება“. „დღეს ქრისტეს აღდგომის გამო – წერს ი. გოგებაშვილი, – ყველა ქრისტიანს სიხარული მართებს; მაგრამ გული უარზედა დგას და სიხარული არა ხერხდება... ჯერ კიდევ გონებას მაჯლაჯუნასავით აწვეს საზარელი მკვლელობა გლეხთა განმათავი-

სუფლებელი ხელმწიფისა თავისი საშინელი შედეგებითა; თვალბში უნებლიედ გელანდება ზუთი თეორი სუდარა სიმონოვის მოვანზედ; რომელიც ჭყარავენ საშინელს სახეს ზუთი ინტელიგენტის სიკედლისასა. ჯერ კიდევ მოელს სახელმწიფოში სუფვეს სულის შემზუთავი და ტყვიასავით მძიმე ატმოსფერო... საიმედო, სწორი გასავალი ამ შემპარწუნებელი ჭაობიდან ჯერედ არსაიდან სჩანს. ნამდვილს იმედს, მტკიცე სასოებას ჩვენში ფეხი ვერ მოუკიდნია. დიას, რუსეოს ამაზე უარესი აღდგომა თავის დღეში არ გასთენებია“. ამ მრავლისმოქმელი შესავალის შემდეგ ი. გოგებაშვილი აგრძელებს საერთაშორისო მიმოხილვას, თან აღნიშნავს: „რუსეთი რომ ერთადერთი ქვეყანა იყოს დედამიწის ზურგზე, დღევანდელი დღესასწაული ვერ შეასუსტებდა ადამიანის გულში სასოწარკვეთილების ღრმა ნადველსა და სიცოცხლის სიძულვილსო. „სანუგემოდ, რუსეთი მხოლოდ ერთადერთი კუთხეა სმელეთისა, ისიც კულტურულს ცენტრს მოშორებული, მხოლოდ ერთი ნაწილია კაცობრიობისა, ისიც მეტად უკან ჩამორჩენილი“. საზოგადოება თავისი განვითარების გზით მიდის და ამ სვლაში ბევრ ერს ბედნიერი დღე უთენდება. მათ შორის არიან ირლანდიელები, რომელთაც ინგლისელების წყალობით სამასი წლის განმავლობაში ერთი სასიხარულო აღდგომა არ გასთენებიათ. ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ მხოლოდ ახლა ამოაშუქა მათთვის იმედის სხივმა. მწერალი ორ პერიოდად ყოფს ირლანდიის ისტორიას: დამოუკიდებლობისა და ქვეშევრდომობის პერიოდებად. ი. გოგებაშვილი იმოწმებს რეკლიუს სიტყვებს, რომ ინგლისისაგან ირლანდიის დამორჩილებას ისეთივე გავლენა ჰქონდა, როგორიც ბარბაროსების თავდასხმას ევროპაზე. მწერალი მკაცრად ილაშქრებს ინგლისელთა კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, რამაც შეაფერხა ხალხთა განვითარება. მისი აზრით, ეს ისტორიული ბოროტებაა, უსამართლობა და ბარბაროსობაა. ი. გოგებაშვილი დაუნდობლად აკრიტიკებს ინგლისის არსებულ წეს-წყობილებას, რადგან „გლეხობა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულია — დამონებულია მეფაბრიკებისა და მემამულეებისაგან“. მწერალი ქებით მოიხსენიებს ინგლისის პრეზიდენტს გლადსტონს და მის მიერ გატარებულ რეფორმებზე დიდ იმედს ამყარებს. ი. გოგებაშვილს ეჭვი არ ეპრება, რომ ირლანდიელები გაიმარჯვებენ. ამის თავდებად მას მიაჩნია ის გარემოება, რომ მთელი ერი, დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ყმაწვილი, ქალი თუ კაცი, ერთი აზრით არიან შეპყრობილნი, ერთ მიზანს ადგანან, ერთი ნატვრა აქვთ: გლეხების განთავისუფლება მონობისაგან. ეს ადრე ვერ ხერხდებოდა იმიტომ, რომ ირლანდიელებში ერთპირობა არ იყო. იაკობ გო-

გებაშვილი ასკვნის: „ინგლისს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას კარგად ესმის ის ბრძნული აზრი, რომელიც გამოიხატება ქართული ანდაზით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო. და ამიტომ იგი ირლანდიას ნებით ჩაკეცება, რომ ძალით არ იქნას ჩათრეული“.

საერთაშორისო ისტორიის საკითხებით იაკობ გოგებაშვილის დაინტერესება აშკარად ჩანს მის მიერ 1884 წ. „დროებაში“ (№149) გამოქვეყნებულ სტატიაში — „რესპუბლიკური პარტიის დაცემა ამერიკაში“. მწერლის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, თანდათან დაცემა იწყო. ი. გოგებაშვილის აზრით, მან სწორად ვერ წარმართა თავისი პოლიტიკა. ვიდრე ამ პარტიის დროშაზე ეწერა ზანგთა გათავისუფლება, და ამ დევიზს ერთგულად მსახურებდა იგი, ავტორიტეტიც მალლა ჰქონდა, მაგრამ დიდი ძალაუფლების პირებში თავი იჩინა მექრთამეობამ და სხვა უმსგავსობამ. უწინ ეს პარტია ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა, ახლა „თავის ჯიბეს“ მიხედა. დემოკრატიული პარტია კი წამოიწია, ავტორიტეტიც მოიპოვა. ი. გოგებაშვილის აზრით, ამ პარტიის სისალეს ამტკიცებს მათგან წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატი — კლეველანდი, რომლის წარსულში კაცი ლაქას ვერ იპოვის. ამასთან იგი არის მხნე, ნიჭიერი და საქმიანი კაცი. ეს თვისებები კლეველანდმა ნათლად გამოამჟღავნა ნიუ-იორკის გუბერნატორად მოღვაწეობისას.

იაკობ გოგებაშვილის პროგნოზი ასეთია: „ქვეყნის სასიკეთოდ ჩვენ უნდა მოველოდეთ კლეველანდის გამარჯვებას და ბლენის (რესპუბლიკის პარტიის კანდიდატი) დამარცხებას იმის გამო, რომ პირველის მხარე უჭირავს არა მარტო მთელს დემოკრატიულს პარტიასა, არამედ ერთს საუკეთესო ნაწილს რესპუბლიკის პარტიისასაც, რომელიც გაბოროტებულა და განრისხებულა თავის მომხრეებზედ იმის გამო, რომ მათ კანდიდატად პრეზიდენტის თანამდებობაზედ დაუსახელებიათ მექრთამე და ჩირქში გასვრილი კაცი. შემოდგომა მოგვიტანს ამბავს, რომ გაიმარჯვა ამერიკაში პატიოსნებამ, თუ გაიძვერობამ“. იაკობ გოგებაშვილი „საშინაო მიმოხილვებსაც“ მეტად საინტერესოდ აკეთებდა.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იაკობ გოგებაშვილი კარგად ფლობდა საერთაშორისო ვითარებას და ცალკეულ პრობლემებს ზოგადისტორიულ პროცესთან კავშირში განიხილავდა. ეს თავის მხრივ მწერლის მაღალ პროფესიონალიზმსა და ისტორიულ აღლოზე მეტყველებს.

იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ნათელ მომავალში დარწმუნებული პატრიოტია. 1881 წელს გაზეთმა „დროება“ (№31, 32, 33) გამოაქვეყნა ი. გოგებაშვილის ისტორიული ნაშრომი „რანი ვიყავით გუშინ?“ მწერალმა ამ ნარკვევს ეპიგრაფად წარუმძღვარა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, იგიუ მხნი, იგიუ ძღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

იაკობ გოგებაშვილი კონსტატირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართველობა შესუსტებული და გულგატეხილი იყო, საქართველო — ჩამორჩენილი. ამასთან ეთანხმება იმათ, ვინც „უკან წაწვეის, უკან წასვლის მიზეზს ეძებენ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იყო ჩავარდნილი საქართველო წარსული საუკუნის (ე. ი. XVIII ს-ის — რ. მ.) დამღვეს“. მწერლის აზრით, ამგვარმა შეცდომამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს ნამდვილი მიზეზების გამოკვლევას, მას ეს ჩამორჩენა — უკუსვლა საქართველოსი ახალ და დროებით მოვლენად მიაჩნია, მოსარჩენ სენად თვლის.

მწერალს ამგვარი შეცდომის წყაროდ მიაჩნია საქართველოს სამეფო სახლის, ბაგრატიონთა გვარის დაწვრილმანება, გაფუქსავატება და დაუძლურება. სამწუხაროდ, ეს რეალური ფაქტი ხალხს მთელს ერზე გადაჰქონდა, „კერძო წყლულს ჰრაცხავენ საზოგადო სენად“.

იაკობ გოგებაშვილი კრიტიკულად აფასებს 1790 წელს ერეკლე II-ის მიერ იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების საკითხის მოუგვარებლობას. ქართველ ერს XVIII ს-ის დამღვეს შეგნებული ჰქონდა საქართველოს ერთიანობის აუცილებლობა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ იმერეთიდან საგანგებო დესპანები ჩამოვიდნენ. ესენი იყვნენ: ექვთიმე გაენათელი, დოსითეოზ ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჩიჯავაძე, და ფიცის კაცნი — ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ასეთმა ფრიად წარჩინებულმა დელეგაციამ მოსთხოვა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს, შეეერთებინა იმერეთის სამეფო. თანაც დესპანები არწმუნებდნენ მეფეს, რომ იმერეთის სამეფოს მთელი მოსახლეობა, სამეგრელოსა და გურიის მთავრები, გლეხნი და თავადნი კმაყოფილებით ელოდნენ საქართველოს გაერთიანებას. იაკობ გოგებაშვილი,

ბუნებრივია, მიიჩნევს, რომ ერთმეფობა, ისე როგორც თამარის დროს, ამჟამადაც ხსნა იყო საქართველოსი.

მწერალი აღწერს ქართლ-კახეთის დიდებულთა განწყობილებასაც. იმერთა წინადადებას ამერებიც უჭერდნენ მხარს. განსაკუთრებით აქტიურობდა ჭაბუა ორბელიანი. მას მხარში ედგნენ: კათალიკოსი ანტონი, სარდალი დავით ყაფლანიშვილი, სოლომონ ლეონიძე, ზაქარია — ქიზიყის მოურავი, ანდრონიკაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. ერეკლე მეორე ამერთა და იმერთა მოწოდებას დუმილით ხვდებოდა. თავს იკავებდა და საკითხს არ წყვეტდა. შემდეგ კრებას მუხრანბატონმა ივანემ მოახსენა, რომ ჩვენ საკუთარი სამეფოსათვის ვერ მოგვივლია და იმერთოს როგორ მოუვლითო: „რად ვექმნათ ბატონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი ბატონი, შვილისშვილი მეფისა?“ მაშინ განრისხებულმა დავით ყაფლანიშვილმა მრისხანებით წარმოთქვა: „მართლად აღიარებს მუხრან-ბატონი, რომ ვერ მოუვლის დღეს ის ქვეყანას თავისის ხმლითა და ბაიარალითა. მოვა დრო და მოსცემს დმერთი სხვასა მუხრან-ბატონსა, რომლის ხმალი უფრო მჭრელი იქმნება“. ეს სიტყვა გახდა კრების დაშლის საბაბი. ასე ჩაიშალა საქართველოს გაერთიანების საქმე 1790 წელს. აქ თავისი დიდი როლი ითამაშა დედოფალმა დარეჯანმა, რომელიც გამჭრიახობასა და პატრიოტიზმს მოკლებული იყო, ცბიერებაში კი დახელოვნებული. მეფობის ბოლო ხანებში უდიდესი გავლენა ჰქონდა ერეკლეზე და სახელმწიფო საქმეებშიც ერეოდა. სწორედ „დედოფალი იტყოდა უარსა და ვერ გამოწირვასა იმერთისა გვირგვინისა შვილის-შვილის ხელთაგან“.

ი. გოგებაშვილი სწორად აფასებს ამ მოვლენას და მას სამეფო კარის მესვეურთაგან წვრილი ეგოიზმის გამოქმდელებად მიიჩნევს. მისი დასკვნით ერეკლე II „შემკული მრავლითა სამაგალითო სამხედრო თვისებითა და სახელგანთქმული ვაჟკაცური ხმლის მღელვარებითა, ჩვენდა საუბედუროდ, ნადირშაჰივით და მეთორმეტე კალოსავით, მოკლებული იყო პოლიტიკურ შორს გამჭვრეტელობასა და ამ მხრით, გაუზომლად დაბლა იდგა თავის პაპა ვახტანგ მეექვსეზედ... რომლმაც ერეკლესავით თავის სამარეში არ დამარხა ყველაფერი თავის ნამოქმედარი, არამედ დასტოვა ჩვენს ისტორიაში ცხოველი, ნაყოფიერი და უკვდავი კვალი“.

იაკობ გოგებაშვილი XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზს აკეთებს და დაასკვნის: „შემცდარი იქმნება ის, ვინც იფიქრებს, რომ სამეფო სახლის უკუღმართობით შეერთება საქართველოსი სამუდამოდ იყო ჩაფუშუ-



ლი, დაცარული. გულითადაც წადილს ერისას თვით მძლავრი მოაგრობაც ბევრ ხანს ვერ ეწინააღმდეგება და იძულებული შეიქმნება უთუოდ დააკმაყოფილოს იგი. შეერთება საქართველოს მხოლოდ გადადებული იყო სხვა დროისათვის“. იაკობ გოგებაშვილის თქმით, ქართლ-კახეთი და იმერეთი გაერთიანების გზას ადგენენ, ჭაბუა ორბელიანები, ქაიხოსრო წერეთლები და სოლომონ ლეონიძეები დღითიდღე მრავლდებოდნენ, „განათლების სხივები წინანდელზე უფრო ხშირად ეფინებოდა საქართველოს, მეთვრამეტე საუკუნის ქარიშხალი ნიავის ძალით მაინც აღწევდა ჩვენამდე და ჩვენი ქვეყანა მოძრაობაში მოჰყავდა, აფხიზლებდა“.

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია, რომ კულტურული ორიენტაცია ევროპაზე უნდა ყოფილიყო აღებული. „ძალიან სწყუროდა ჩვენს ერს ევროპის ნათელი და რაგვარი გაუმადრობით მოხდებოდა მისი დაწაფება დასავლეთის განათლებაზე და მეცნიერებაზე, — ცხადად გვიჩვენებს ის ყველა მეისტორიეთათვის გასაცვიფრებელი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც დაიბადა საქართველოში ვახტანგ მეექვსის დროს, რა წამს ცოტაოდენის ჯუჯუტანიდგან ჩვენში შემოაშუქა ევროპის ნათელმა, გამოიყვანა ლიტერატურულ ასპარეზზე იმგვარი მაღალნიჭიერნი მწერალნი, როგორც ვახუშტი და სულხან ორბელიანი და მოკლე ხნის განმავლობაში გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა, არაერთი მაღალ მნიშვნელობიანი და უკვდავი ქმნილებით“. აქ მეტად საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის კონცეფცია ვახუშტისა და სულხან ორბელიანის შემოქმედებაზე ევროპული გავლენის შესახებ. მართლაც, ერთიც და მეორეც, განსაკუთრებით კი ვახუშტი ბაგრატიონი, რომლითაც ფაქტობრივად იწყება ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფია, თავისი დონით მაღალი რანგის მეცნიერია.

იაკობ გოგებაშვილი სრულიად მართებულ შეფასებას აძლევს ქართველი ხალხის მიერ წარმოებულ სამართლიან ომებს, რომლებიც მხოლოდ თავისუფლების დაცვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული. მწერალი ხაზს უსვამს ქართველი ხალხის ტოლერანტულ ბუნებას — რჯულთშემწყყნარებლობასა და ერთშემწყყნარებლობას. იგი აღნიშნავს, რომ, „როდესაც განათლებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს ართმევდნენ კაცის ყოველს უფლებასა და ბარბაროსულად ჟლეტდნენ მათ კათოლიკები, როდესაც სახელოვანს ინგლისში კათოლიკები იღვენებოდნენ უწყალოდ და უღმობლად, იმ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებულნი ქართველებთან: ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება...“

ამგვარივე თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული თვით ურიებსა... იგინი... ყოველთვის სარგებლობდნენ ჩვენში სრული მყუდრო ცხოვრებით და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ქლეტა, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ და ხდებიან ახლაც ევროპაში“.

იაკობ გოგებაშვილი შეწუხებულია იმის გამო, რომ მოხუცებულია ერეკლე, დაუძლურებულმა გიორგიმ, სუსტმა მემკვიდრემ დაეითმა საქართველოს სამეფო სკიპტრა საერთოდ გააგდეს ხელიდან და საქართველოს ნაწილები ერთი ვალდებულების ქვეშ რუსიოს შეუერთდა.

მწერალი მეტად ორიგინალურად აფასებს საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ეს შეფასება უპირველესად იმ უარყოფით შედეგშია მოცემული, რაც შეერთებას მოჰყვა. ქვეყანა დაღატაკდა, დაჩანჩაკდა, საეკლესიო ავტოკეფალია მოიშალა, განათლებამ წინ ვერ წაიწია, სასულიერო ლიტერატურა მოისპო, ეროვნულად ქართველები დაეცნენ. აი განზოგადებული დასკვნა იაკობ გოგებაშვილისა: „უცხო ტომის გზაზედ დადგომა არამცთუ გადაასხვაფერებს, არამედ შინაარსს დაუჭიანებს, ორ წყალს შუა გააჩერებს, თავისას ყველაფერს მოაკლებს, სხვისას ჩეირიანად ვერაფერს ვერ შეათვისებს. გონებით დაამდაბლებს, ზნობით დასცემს, ენას გაულატაკებს, ლიტერატურას გაუფუჭებს, დოვლათს და დედულ-მამულს დააკარგვინებს, ბოგანოდ გადააქცევს და ბოლოს სრულიად აღგვის მას დედამიწის ზურგიდან“. ვფიქრობთ, საოცარი სინათლითაა ამ სიტყვებში წარმოჩენილი ის ჭეშმარიტება, რაც საქართველოს დაატყდა თავს რუსეთისგან მისი ანექსიით.

იაკობ გოგებაშვილი შესტრფის ალექსანდრე პირველის აზრს, რომელსაც საქართველოს განვითარებისათვის შინაური მმართველობის განმტკიცება მიაჩნდა საჭიროდ. მწერალი დასტირის გუბერნიებად დაყოფილ საქართველოს და ამბობს: „ჩვენი ოპტიმიზტების მოლოდინი ასრულდა, თუ გამართლდა მამულიშვილების პატრიოტული შიში, რომელიც ისე მშვენიერად გამოხატა ბარათაშვილმა თავის უკვდავ პოემაში სოლომონ მსაჯულისა და მის სოფიოს პირით? ერთი სიტყვით, მოკლე მოჭრით: რანი ვართ დღესა?“

1890 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა (გაზეთი „მწყემსი“ №12, 17, 19, 20) დედაენისადმი მიძღვნილი შრომა „ბურჯი ეროვნებისა“. შემდეგ ეს ნაშრომი რამდენიმეჯერ გამოვიდა ცალკე წიგნად. ამ მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა გვერდით ი. გოგებაშვილი ისტორიის საკითხებსაც ეხება, თანაც არა კონკრეტულად რომელიმე პრობლემებს, არამედ ზოგად თეორიულ საკითხებს. მწერალი აღნიშნავს, რომ ევროპელებმა კარგად შეიგნეს დედაენის

მნიშვნელობა; ყველა დიდი და პატარა სახელმწიფო ცდილობს დაამტკიცოს, რომ ღირსნი არიან, დაცულ იქნენ თავისი ენითა და ლიტერატურით. საუკეთესო ღონისძიებად ამ წადილის მისაღწევად მათ მიაჩნიათ თავიანთი წარსულის გამოკვლევა და სააშკარაოზე გამოტანა. ხშირად ამ გამოკვლევას აქვს ადვოკატური გამოსარჩლებითი ხასიათი; ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებანი მცირდებიან. რაკი ყოველივე ამას სარჩულად უდევს „უწმიდესი გრძობა — მამულის სიყვარული — და უზენაესი მიზანი — დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა“. იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებაც ამგვარი ქმედებისადმი დადებითია. აქ გვინდა მოვიტანოთ ივანე ჯავახიშვილის შეხედულება იმდროინდელ თავადაზნაურულ ინტელიგენციაში გავრცელებული მოსაზრების წინააღმდეგ, რომელიც მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობად (და საერთოდ ისტორიის ამოცანად) მიიჩნევდა, ერის ისტორიის „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ შეღავათით შექმნას. 1904 წელს ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ხოლო შემდეგ კი ცალკე წიგნად დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ფრიად საინტერესო ნაშრომი — „მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული განსვენებული მეცნიერის მრწამსი, შეხედულება ჭეშმარიტი მეცნიერის, კერძოდ ისტორიკოსის მაღალი მოვალეობის შესახებ. სწორედ აქ წერდა ივანე ჯავახიშვილი აღშფოთებით: „ეს მიმართულება ეროვნულ უფლებათა მოსაპოვებლად სრულიად გამოუსადეგარი გახლავთ, იგი ჩვენ საზოგადოებრივ და ნაციონალურ საქმისათვის... ფრიად მკენებლად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ-გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლება“. ივ. ჯავახიშვილი აკრიტიკებდა იმ მიმდინარეობას, რომელიც იწონებდა „ადვოკატურ“ მეცნიერებას, „როცა ღირსებანი დიდდებიან, ნაკლულევანებები მცირდებიან“; მეცნიერს ამგვარი რამ ერის თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში საზიანოდ, საკუთარი თავისა და საზოგადოების მოტყუებად მიაჩნდა: „ამგვარი მოქმედება... ხალხს ბაქიობას... უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვენებს“ — წუხდა მეცნიერი.

ივანე ჯავახიშვილმა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საკითხი წარსულის პირუთენელი ასახვის აუცილებლობის შესახებ. გაზეთადებული, „ადვოკატური“ ისტორიის წერა იმ მეცნიერს ხელეწიფება, ვინც ვერ გრძობს თავის ზნეობრივ მოვალეობას და მაღალ პა-

სუხისმგებლობას მეცნიერების წინაშე. მეცნიერის აზრით, წარსულში ხსნას არ უნდა ვეძებდეთ, რადგან, „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“. ივ. ჯავახიშვილი ასახელებს ეგვიპტელებსა და ასურელებს, სპარსელებს, რომელთაც ბრწყინვალე წარსული ჰქონდათ, მაგრამ მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის „შესაბრალის“ მდგომარეობაში იყვნენ თავიანთი პოლიტიკური წონით საერთაშორისო ცხოვრებაში. დიდი მეცნიერი შეგვახსენებს, რომ ხალხს, რომელსაც წარსულში განვითარების უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, ყოველთვის შეუძლია შეითვისოს ბრწყინვალე კულტურა და განათლებულ ერთა შორის საპატიო ადგილი დაიკავოს.

ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ „თუ წარსულში რაიმე ნაკლი გვექონდა, ამას დამალვა კი არა, გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს“. ამგვარად, მამულიშვილობა, უპირველეს ყოვლისა, მკვლევრისაგან ჭეშმარიტებასა და პირუთვნელობას მოითხოვს.

მოკლედ გვინდა შევხვთ 1877 წელს „ტიფლისსკი ვესტნიკში“ (№№209, 210, 243-246, 248, 249) გამოქვეყნებულ იაკობ გოგებაშვილის ნარკვევს – „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“. აქ მწერალი იხილავს მუჰაჯირობის პრობლემას აფხაზეთისათვის, აღნიშნავს, რომ რუსეთ-თურქეთის ომმა აფხაზეთი ფაქტობრივად დააცარიელა. აფხაზეთმა დატოვეს თავისი მიწა-წყალი და თურქეთში გადასახლდნენ. აქ თავი იჩინა რუსეთის ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელიც წინ გადაეღობა თავისუფალ ტერიტორიებზე ქართველი და აფხაზი მოსახლეობის დასახლებას. იაკობ გოგებაშვილი მეუფის რუსეთისდროინდელი აფხაზეთის ობიექტურ სურათს გადმოსცემს და ამ კუთხის დაცარიელების შემდეგ მიზანშეწონილად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ, მეგრელების ჩასახლებას. „თითქოს ძნელი არ უნდა იყოს – წერდა ი. გოგებაშვილი – კოლონიზატორების მიზიდვა ისეთ კუთხეში, რომელიც სამართლიანად არის განთქმული საუკეთესო ნაყოფიერებით და ბუნების იშვიათი სიმდიდრით... მაგრამ ერთი გარემოება მეტად აძნელებს დაცარიელებული აფხაზეთის წარმატებით დასახლებას. ეს არის მეტად ავთვისებიანი ჰავა, რაც შედეგია ამ მხარის კლიმატური პირობების რეალური ჩვენებით“ (ხაზს უსვამს ჭაობიან გარემოს და მისგან გამომდინარე ავადმყოფობებს – რ. მ.), ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთის ჰავას ვერ შეეგუებიან

არაქართველი ტომები და რომ აფხაზეთის დაცარიელებული ტერიტორიის დასახლების რაციონალურ კონტინენტს დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები, კერძოდ მეგრელები, წარმოადგენენ.

შეიძლება მწერლის მოსაზრებები გეოგრაფიულ-კლიმატური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება აფხაზეთის დიდი ნაწილის გაუვალი ტყეებითა და ჭაობებით დაფარვისა და ამ კუთხის კეთილმოწყობისა და ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გულგრილი დამოკიდებულების შესახებ.

ი. გოგებაშვილის ამ სტატიამ აფხაზეთში მეგრელთა დასახლების მიზანშეწონილობის შესახებ საწინააღმდეგო პასუხი გამოიწვია, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ (№207) დაიბეჭდა. სტატიის ავტორი, მაშინდელი სოხუმის ოკრუგის უფროსი ვედენსკი, მეგრელებს, რომელთაც სხვადასხვა ნაკლს მიაწერდა, თვლიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების უვარგის კანდიდატებად. ი. გოგებაშვილმა უპასუხა „კავკაზის“ პუბლიკაციას: „ძნელია არ დაეთანხმოს კაცი ჩვენს იმ მოსაზრებას, რომ მეგრელები, რომელთა მშობლიური კუთხე ყოველმხრივ ჰგავს აფხაზეთს, განსაკუთრებით კი კლიმატურად თითქმის იგივეა, და რომელთა ორგანიზმი სავსებით შეგუებულია ჭაობის ატმოსფეროს, წარმოადგენენ იმ ტომს, რომელსაც შეუძლია წარმატებით დასახლდეს შავი ზღვის უაღრესად არაჯანსაღ სანაპიროზე და არ გახდეს ჭაობის მხამით დაავადების მსხვერპლი“.

ი. გოგებაშვილმა გამოააშკარავა მოპასუხის რეალური ზრახვა, ფაქტობრივად რუსეთის ცარისტული პოლიტიკის აშკარა გამონატულება — აფხაზეთის კოლონიზაცია, რომლის მიზანი იყო „ზნეობრივი დამონება და იძულებითი გარუსება მეზობელი ტომებისა, ე. ი. „სამურზაყანოელებისა და მეგრელებისა“. ი. გოგებაშვილი დაასკვნდა, რომ მეგრელები სხვაზე უფრო კანონიერი მემკვიდრეები არიან გასახლებული აფხაზეთისა. იგი მიანიშნებს, რომ წინათ აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასაზღვრო მდინარე არა ენგური, არამედ კოდორი იყო, მაგრამ თურქების მიერ სტამბოლის აღებისა და ოსმალეთის შავ ზღვაზე გაძლიერების შემდეგ, თურქების მხარდაჭერით აფხაზეთმა მეგრელები განდევნეს ენგურს გადაღმა და მაშინდელი საქართველოს ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, იაკობ გოგებაშვილს აფხაზეთის დასახლება მეგრელებით ისტორიული სამართლიანობის აქტად მიაჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ი. გოგებაშვილის პასუხის შემდეგ ვედენსკი პირადად გამოცხადდა გაზეთის რედაქ-

ციაში და მიმართა რედაქტორს თავად ბებუთოვს: „ვისდებ კალამს და არამც თუ ერთ სიტყვასაც არ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ დღიდან მოსარჩლე შვეიქნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძვლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზეთში“.

აფხაზეთის საკითხი იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაწიერიდან არ გამქრალა. 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№108) გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი მასალის პასუხად ი. გოგებაშვილის „უსამართლო ბრალდება მესამოცე წლების მოღვაწეებზე“.

„ცნობის ფურცელი“ საკმაოდ უბოდიშოდ წერდა, რომ აფხაზეთის ვერანად ქცეული მხარე მთავრობას უნდოდა დაესახლებინაო. „ამ დროს ჩვენ გლუხ-კაცობას გულ-შემატკივარი ვინმე რომ ჰყოლოდა, მთელი ეს მშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ — ხაზს უსვამს წერილის ავტორი — მაშინ იმ საშვილიშვილო საქმისათვის თითქმის არავის მცირე ყურადღებაც არ მიუქცევია“.

ბუნებრივია, ამგვარ დაუსაბუთებელ ბრალდებას ი. გოგებაშვილი უპასუხოდ ვერ დატოვებდა. „ეს ბრალდება ნაყოფია სრული უცოდინარობისა“ — აცხადებს ი. გოგებაშვილი და მოჰყავს მოელი მისი ბრძოლის ამბები აფხაზეთში მეგრელების ჩასასახლებლად. თანაც უმატებს იმასაც, რომ ვედენსკის დამარცხების შემდეგ მის აზრს ძლიერი მოსარჩლე გამოუჩნდა ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის სახით, რომელსაც აფხაზეთის დასახლების საგანგებო პროექტი პეტერბურგში გაუგზავნია. მთავრობა ამ პროექტის მიღებასაც ფიქრობდა, რომ ეს ამბავი შეუტყვია კატკოვს, რომელსაც „საარაკო გავლენა ჰქონდა მთელს რუსეთზე“ და საქმე უკუღმა დატრიალებულა.

„ცნობის ფურცელი“ კატკოვის ცოდვებს ქართველ მოღვაწეთა დაუდევრობას აბრალებდა. ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ასეთი უსამართლობა გარდაუვალია „ყოველის ყმაწვილი ლიტერატორისათვის, რომელიც საჭიროდ არ სთვლის, შეიტყოს და გაიცნოს, რა უკეთებიათ და რისთვის უბრძოლნიათ იმათ, რომელნიც მასზედ ადრე გამოსულან საზოგადო ასპარეზზე“.

იაკობ გოგებაშვილი შემდგომშიც დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთის მდგომარეობას. იგი სწუხდა, რომ ამ ლამაზ კუთხეში პოლიტიკანობა ბატონობდა. 1907 წელს გაზეთ „წყაროში“ (№26) მან გამოაქვეყნა საგანგებო წერილი „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, სადაც გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ერთნი ცდილობენ სრულიად დააშორონ აფხაზები ქართველობას, მეორენი იცავენ აფხაზე-

ბისა და ქართველების ისტორიულ კავშირს. პირველნი, მწერლის დაკვირვებით, ქმნიან ფაქტებს და მათი ძალით უნდათ ლელო გაიტანონ. მეორენი მხოლოდ ბუზღუნებენ, წერენ წერილებს გაზუთებში, საქმით კი არაფერს აკეთებენ. ი. გოგებაშვილი ამ უკანასკნელთა მიმართ ამბობდა, რომ მათ „დავიწყებით ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ უკუღმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წაღმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით“.

მეტად საგულისხმოა, რომ იაკობ გოგებაშვილი აფხაზებში განათლების შეტანას მოითხოვს აუცილებლად. მას მაგალითად მოაქვს ოსებისა და სომხების მიერ დედა ენის მშობლიურ ენაზე გამოცემა, ქართული მოთხრობების თარგმნა და გავრცელება. მწერალი მხარს უჭერდა აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას. იგი თვლიდა, რომ თუ შეგნებული აფხაზები გაიცნობდნენ თავისი სამშობლოს წარსულს, დარწმუნდებოდნენ, რომ აფხაზეთი კეთილდღეობით მოფენილი იყო მაშინ, როცა საქართველოსთან იყო შეკავშირებული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით, ეკონომიკითა და ღვთისმსახურებით. ი. გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ახლაც მხოლოდ ქართველებთან მტკიცე კავშირი გამართავდა წელში აფხაზეთს, ზურგს გაუმაგრებდა, ძალას და ღონეს მისცემდა და კარგი მომავლის იმედით აღავსებდა.

იაკობ გოგებაშვილმა 1907 წელს გაზეთ „ზაკავკასიეში“ (№236) გამოაქვეყნა წერილი „აფხაზეთის შესახებ“. აქ მწერალი ილაშქრებს იმ კორესპონდენტების წინააღმდეგ, რომლებიც მტრულად ეპყრობოდნენ აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, სადაც ღვთისმსახურება ქართულად სრულდებოდა და დამწერლობაც ქართული იყო. მაგრამ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ ქართულის მონათესავე დამოუკიდებელი ენაა და მას „უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“. ი. გოგებაშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ დიდად თანაუგრძნობდა უსამართლესი კირიონი აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. თვით ი. გოგებაშვილისთვისაც კი მოუთხოვია აფხაზური ენის სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა. მწერლის დასკვნა ასეთი იყო: „აფხაზთა გამოფხიზლებისა და კულტურულობის გზაზე მათი დადგომის წყალობით უწინდელი გა-

რკნული ერთიანობა ქართველებთან შეიცვლება შინაგანი სოლიდარობით და ინტენსიური ძმობით“.

როგორც დავინახეთ, აფხაზეთის ისტორიისა და საერთოდ აფხაზეთის პრობლემა ძალზე აქტიურად იდგა ი. გოგებაშვილის შემოქმედებაში.

ცალკე უნდა შევხვთ იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი ისტორიისადმი. მწერალს აწუსებდა ქართული ეკლესიის ბედი. იგი, ცხადია, აქტიურად არ იკვლევს ეკლესიის ისტორიას, მაგრამ გამოთქმული აქვს მეტად საინტერესო მოსაზრებები. მწერალი განსაკუთრებულად ეხება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიურობის საკითხს. ქართული ეკლესიის ისტორიაში ი. გოგებაშვილი გამოჰყოფს სამ მთავარ პერიოდს: ანტიოქიურს, ნაციონალურსა და რუსულს. მწერლის განმარტებით, პირველი — ანტიოქიური პერიოდი ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებდა, როცა ქართული ეკლესიის მეთაური ინიშნებოდა ანტიოქიის პატრიარქების მიერ. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, ქართულმა ეკლესიამ ავტონომია მიიღო, შემოღებულ იქნა კათალიკოსობა. ამ ხანას ი. გოგებაშვილი ჩინოვნიკურ ავტონომიას უწოდებს, რადგან ანტიოქიის პატრიარქმა დაიტოვა კათალიკოსის ხელდასხმის უფლება. მეექვსე საუკუნეში, ადარნასეს დროს პირველად იქნა ეკლესიის სათავეში დაყენებული არჩეული კათალიკოსი. ბუნებრივია, იგი ეროვნებით ქართველი იყო. ამ პერიოდიდან ანტიოქიური პერიოდი შეცვალა ნაციონალურმა, ე. ი. ჩინოვნიკურ-უწყებრივი — არჩევნებითმა. ი. გოგებაშვილმა ეს პერიოდი დაყო ორ ქვეპერიოდად: ავტონომიური ანუ კათალიკოსური პერიოდი და ავტოკეფალიური ანუ პატრიარქის პერიოდი. პირველი მათგანი მერვე საუკუნემდე გრძელდება, აქედან მოკიდებული მეორე პერიოდი იწყება. ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურის ოფიციალური რეზიდენცია არის მცხეთა, ამიტომ ხშირად იგი ატარებს მცხეთის პატრიარქის ტიტულსაც.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალია დადასტურებული იყო ჯერ ადგილობრივი, ანტიოქიის, ხოლო შემდეგ მსოფლიო მეექვსე კრების მიერ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ანტიოქიის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქების ტოლად ითვლებოდა მცხეთის პატრიარქიც. ი. გოგებაშვილი საქართველოს დაშლილობისდროინდელ ეკლესიურ სტრუქტურასაც ეხება.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსული პერიოდი იმით აღინიშნა, რომ გაუქმ-



და ავტოკეფალიური ქართული ეკლესია და 1811 წლიდან შეიქმნა საეპარქოსო. 1819 წლიდან საქართველოს ეპარქოსად ქართველი არ დანიშნულა. ი. გოგებაშვილი 1887 წელს გაზეთ „სოვერემენნი იზვესტიაში“ (№14) აქვეყნებს წერილს — „ცელილები საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში“, სადაც აღშფოთებით წერს ცარიზმის თავაშვებული მოქმედების შესახებ. საქართველოს ორ ეპარქიას — სამეგრელოსა და გურიას — აეკრძალათ იყოლიონ საკუთარი ეპისკოპოსები. ამით ეს ორი ეპარქია გაუქმდა. ი. გოგებაშვილი აკეთებს მეტად საინტერესო ექსკურსს, როდესაც საქართველოს ეკლესია რუსულ სინოდს დაუმორჩილეს, მასში 24 ეპარქია იყო: ქართლში — ცხრა (მცხეთის, თბილისის, სამთავროს, ურბნისის, წილკნის, რუისის, სამთავისის, ნიქოზეთისა და ახტალის), კახეთში — ხუთი (ალავერდის, ბოდბის, რუსთავის, ნინოწმინდისა და ნეკრესის), იმერეთში — ხუთი (გელათის, ქუთაისის, ხონის, რაჭის, ნიკორწმინდის), სამეგრელოში — სამი (ჭყონდიდის, ცაგერისა და ცაიშის), გურიაში — ერთი (ჯუმათის) და ახალციხეში — ერთი (აკიის). ეპარქიასმა თეოფილაქტე რუსანოვმა ეპარქიათა დიდი ნაწილი გააუქმა. არც სხვა ეპარქიებსმა დააკლეს ხელი და ხუთიოდე ეპარქიაღა დარჩა მთელს საქართველოში.

ი. გოგებაშვილი სვამს საკითხს ეპარქიათა აღდგენისა და რეორგანიზაციის შესახებ, რაც ძნელი შესასრულებელი იყო იმ დროს.

იაკობ გოგებაშვილი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ისტორიის მარადიულობის თაობაზე. მას, სრულიად მართებულად, ისტორია მიაჩნია პირუთენელ შემფასებლად ამა თუ იმ მოვლენისა და ის დიდი თვისებაცა აქვს, რომ შურისძიება იცის. 1907 წელს გაზეთ „ისარში“ (№197) მწერალმა დაბეჭდა პატარა წერილი „შურისძიება ისტორიისა“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობით გამოწვეული აღშფოთებაა გამოხატული. „შეუდარებელი, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ — წერს ი. გოგებაშვილი, — საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მიეცემთ, მასაც საშინლად დაეამცირებთ და მის სწავლასაც აღმოვფხვრითო და გაეაქრობთო“... „ნამდვილად კი — დაასკვნის ი. გოგებაშვილი — სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმზურვალესი სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოპოვნა იგი კიდით-კიდედ, და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუ-

ნოებად: ჯვარცმულის ჯალათნი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხენო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე“.

რა თქმა უნდა, ი. გოგებაშვილმა სწორი განაჩენი გამოუტანა იმდროინდელ ქართველ საზოგადოებას, როცა მძიმე სენით შეპყრობილად გამოაცხადა იგი. ამ სენის მორჩენის წყაროდ იმ დიდ ნაკლთა აღიარება მოითხოვა, რაც საქართველოს „საზოგადოებრივ ორგანიზმს“ გააჩნდა და ერს სიკვდილს უმზადებდა.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიულ თემას იაკობ გოგებაშვილის მწერლურ შემოქმედებაში. მისი ისტორიული მოთხრობები „ქართლის ცხოვრების“ ან ხალხური გადმოცემების, ან კიდევ ცალკეულ ავტორთა (პოტო, დუბროვინი, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ცაგარელი და სხვ.) ნაშრომების საფუძველზეა შექმნილი. „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „სამინელი სასჯელი მოღალატისა“ და სხვ. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა, მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს გადმოგვცემენ მხატვრულად. ეს ჭეშმარიტად დიდი საზრდო იყო ყმაწვილთათვის. სწორედ გარდასულ დღეთა გმირულ მაგალითებზე უნდა აღზრდილიყო მომავალი თაობა. ამასთანავე ავიც უნდა შეეცნო მას (სწორედ ამ პათოსითაა დაწერილი საჩინო ბარათაშვილის შურისძიება ყორღანაშვილზე). ერთი სიტყვით, ეს მოთხრობები ღრმა ისტორიზმითაა გამსჭვალული და ნათელ კვალს სტოვებს ახალგაზრდაზე.

ამგვარად, ისტორია იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მწერლური შემოქმედებისათვის ძირითადი მასაზრდოებელი ძარღვია. ეს მისი სამყაროა, ცხოვრებაა. მწერალი ღრმადაა ჩამწვდარი ჭეშმარიტი ისტორიის უდიდესი მნიშვნელობის საიდუმლოს და მეტად საინტერესო ზოგად დასკვნებსაც გვთავაზობს, რასაც თავის მხრივ ისტორიის თეორიისთვის აქვს მნიშვნელობა.

იაკობ გოგებაშვილის ისტორიზმით გაჯერებულმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ და მწერლურმა შემოქმედებამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა მხატვრული ლიტერატურის განსაკუთრებულ ყურადღებას. მსოფლიოს სხვადასხვა დროის ლიტერატურა იცნობს არაერთ ქმნილებას, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ლიტერატურულიც. ყველა ეპოქის ჭეშმარიტ მწერალს ნათლად ესმოდა ისტორიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ალექსანდრე პუშკინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ „გარდასულის პატივისცემა — ეს განასხვავებს განათლებულს ველურისაგან“. მსოფლიო კლასიკა წარმოუდგენელია თვინიერ ისტორიისა. ისტორია, ერთი მხრივ, იყო ის ცხოველი სული, რომელიც კეთილად ანაყოფიერებდა კლასიკოსთა შემოქმედებას და უყალიბებდა მსოფლმხედველობას; მეორე მხრივ, თვით დიდი მწერლები გვევლინებიან ჭეშმარიტ ისტორიკოსებად, რომლებმაც ხელოვნების ენაზე აამეტყველეს გარდასული ჟამის ცალკეული ფურცლები. ბუნებრივია, ისტორიის პრობლემებისადმი გულგრილნი არც ქართული ლიტერატურის კლასიკოსები დარჩენილან. სწრაფვა საქართველოს წარსულის შესწავლისა, ამასთან, ისტორიული სინამდვილის მხატვრული ფერებით გადმოცემა ყოველთვის იყო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა. თავიანთ შემოქმედებაში ისტორიის ღრმა ცოდნა და მისდამი დიდი პატივისცემა გამოამჟღავნეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

წარსულის ამსახველი ნაწარმოების საჭიროება და მნიშვნელობა ჩვენს დროშიც დიდია. გაცხოველდა ინტერესი ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიული წარსულისადმი. ამის კვალობაზე განვითარდა ისტორიული სინამდვილის მხატვრულად ასახვის უმაღლესი უნარი — ისტორიული რომანი.

ქართული ისტორიული რომანისტიკა დიდად არის დავალებული გამოჩენილი ქართველი მწერლის — კონსტანტინე გამსახურდიასაგან. „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“ აღიარებული ისტორიული რომანებია.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტანტინე გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში ფართოდ უხსნის კარს მწერლური ფანტაზიის ნაყოფს, გამონაგონ სიტუაციებს. ეს საკვებით სწორი მინიშნებაა, ოღონდ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ნაწარმოებში შეტანილი მწერლისეული ელემენტი ხელს უწყობს ეპოქის სულის მთელი სიგრძე-სიგანით გადმო-

ცემას, ისტორიული სიმართლის ღრმად გახსნა-წარმოსახვას. ამ მხრივ მეტად საგულისხმო ნაწარმოებია „დიდოსტატის მარჯვენა“. რომანში მეთერთმეტე საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის საქართველოა აღწერილი. ეს ეპოქა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში. ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა მეათე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის დროშის ქვეშ. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მთელმა სიძშიძემ „ქართველთა მეფის“ დავით კურაპალატის მხრებზე გადაიარა. მას მტკიცედ ედგა მხარში ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე და მისი მძლავრი დასი.

მეათე საუკუნის 80-90-იან წლებში ფაქტობრივად ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია და მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. ქვეყნის გაერთიანება მეყსეულად როდი მომხდარა, ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა: ჯერ დასავლეთი საქართველო („აფხაზთა სამეფო“) შიდა ქართლთან ერთად გაერთიანდა, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მას შეუერთდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს უდიდესი ნაწილი. ეს გაერთიანება ზოგიერთი ქართული სამთავროს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის შედეგად აღმოცენდა და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალ ეტაპს მოასწავებდა — ფაქტობრივად ეს იყო გზა ცენტრალიზებული ტიპის მონარქიის შექმნისაკენ.

სოციალური თვალსაზრისით ეს ეტაპი დაემთხვა საქართველოში ადრინდელ ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამთავრებას და ქვეყანა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა. ამრიგად, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში თან დაემთხვა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას.

ამ პროცესს, ბუნებრივია, თავისი მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდაზნაურთა ერთი ნაწილი და საქართველოს კვლესიის რეაქციული ფრთა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ და აქეზებდნენ უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, თურქ-სულჩუკები). პირველთ (დიდგვაროვან აზნაურებს, სამღვდელოების ერთ ნაწილს) თავიანთი მდგომარეობისა და გავლენის დაკარგვა-შეზღუდვა აწუხებდათ, ხოლო მეორეთ (ბიზანტია, თურქ-სულჩუკები) საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება.

მეფესა და დიდგვაროვანებს შორის უთანხმოებამ ჯერ კიდევ ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) დროს იჩინა თავი და შემდგომ პერიოდში გიორგი I-ის მეფობის (1014-1027 წწ.) ხანაში უფრო გაძლიერდა, ამასთან, ბიზანტიასთან ურთიერთობაც გამწვავდა. ეს უკანასკნელი არავითარ ხერხსა და ღონეს არ იშურებდა თავისი

უფლებების შესანარჩუნებლად (ერთი მხრივ, გიორგი მეფეს ეცილებოდა ოდინდელ ქართულ მიწებს, ცდილობდა დიდაზნაურთა მოსყიდვასა და გადაბირებას, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მეფე „მატიყსა“ და „წყალობას“ არ აკლებდა).

ყველა ეს მოვლენა მეტად საინტერესოდ აისახა „დიდოსტატის მარჯვენაში“. ზედმიწევნით მცოდნე ამ ეპოქისა, კონსტანტინე გამსახურდია მთელი სიღრმით ჩასწვდა მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში მიმდინარე პროცესებს და არაჩვეულებრივი სიზუსტით გადმოსცა ეპოქის სული. ეს ეპოქა კი ეტაპობრივად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობამდე სწვდება და ამიტომ მწერალი სრულიად ბუნებრივად იყენებს XI-XII საუკუნის წყაროთა („მატიანე ქართლისა“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და სხვ.) მონაცემებს მის მიერ აღებული ეპოქის ყველა მხარის გამოსახატავად.

პირველი, რასაც კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანში მიაქცია ყურადღება, შინაპოლიტიკური ბრძოლებია, მწვავე შეხლაშემოხლა მეფესა და დიდგვაროვანებს შორის, მეფესა და ეკლესიას შორის. პირისპირ დგანან, ერთი მხრივ, ქვეყნის გაერთიანებისა და ძლიერებისათვის მებრძოლი ჭაბუკი მეფე გიორგი პირველი, ხოლო, მეორე მხრივ, სეპარატიზმის მოსურნე დიდგვაროვანი ფეოდალები (თალაგვა კოლონკელიძე, მამამზე ერისთავი, ტოხაისძე და სხვ.). ზოგჯერ „ცალ კერძ“ რომ მეფე დგას, მოწინააღმდეგე მხარეს — მელქისედეკ კათალიკოსი.

აი, როგორ გადმოგვცემს კონსტანტინე გამსახურდია დიდ შინაურ წინააღმდეგობებს გიორგი პირველის სიტყვებით:

„ დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ... ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას სარდლობა...“

ოღითგანვე ასე მოგედგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გეყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვაეები“.

ეს სინამდვილის ჭეშმარიტი მხატვრული ასახვაა. მოვიგონოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: ვინაითგან ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგანვე თქსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქდნენ და დიდება ჰოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე და საქმენი აწ ხილულნი“ („ცხოვრება მე-

ფეთ-მეფისა დავითისი“, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 359).

შინაური აშლილობა მტრის წისკვილზე ასხამდა წყალს და ეს უკანასკნელიც მარჯვედ ითბობდა ხელს ქართველთა შუღლზე. ვერ შეჰკუებია ამას მეფის ამბოხი სული და ბრახით ამბობს იგი: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს, ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი, გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინალამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატენილი ჭირი“.

მწერალმა შესანიშნავად წარმოაჩინა, რომ ცალკეულ ფეოდალთა წინააღმდეგობების მოსპობა მეტად რთული საქმეა. თვით ფეოდალიზმის ბუნებაა წინააღმდეგობრივი. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ისტორია. კონსტანტინე გამსახურდია თალაგვა კოლონკელიძის სახის დახატვისას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსებს იშველიებს. კერძოდ, მემატიანე მეფის ორგული და მოღალატე ლიპარიტ ბაღვაშის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ იგი ისევე არ გამოსწორდება, როგორც „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325). გაეხსენოთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ის ადგილი, სადაც კოლონკელიძის შეპყრობის ცდაა გადმოცემული: „ზვიად სპასალარს გაუხარდა, მისი წინათქმა რომ აუხდა. როგორც გიორგის, ისე მელქისედეკს, სჯეროდათ: არ გასწორდებო კუდი ძაღლისა, არც კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას“.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ „დიდოსტატის მარჯვენაში“ დახატული შინაპოლიტიკური ბრძოლების სურათი არა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის მოვლენებს აირეკლავს, არამედ დამახასიათებელია მთელი მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებისათვისაც: ვფიქრობთ, მეთორმეტე საუკუნის ისტორიული წყაროების მოხმობით მწერალმა (თუმცა იგი ასცდა აღებული პერიოდის ჩარჩოებს) სრულყოფილად მოახერხა ეპოქის სულის, იმ დროის სოციალური ვითარების გადმოცემა.

აქ ერთი საინტერესო მომენტისაც უნდა გაესვას ხაზი, მწერალმა მკითხველის თვალსაწიერზე გამოიტანა მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემა. მთიელთა მოძრაობა მოცემულ პერიოდში მიმართული იყო ქვეყნის ინტენსიური ფეოდალიზაციისა და ქრისტიანი-

ზაციის (რაც თავისი გავლენის სფეროში მთასაც ითრევდა და თავისი არსით პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს ატარებდა) წინააღმდეგ. გამსახურდიასეული თალაგვა კოლონკელიძე თუ მამამზე ერისთავი საქართველოს მთის წარმომადგენლები არიან. ისინი ფორმალურად კი აღიარებენ სიუზერენის (მეფის) უზენაესობას, მაგრამ მზად არიან, პირველი შესაძლებლობისთანავე დაუპირისპირდნენ მას.

საქართველოს ისტორიამ იცის მეცამეტე საუკუნის ათიან წლებში ფსოველებისა და დიდოელების გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს დიდი აჯანყება იყო, რომელიც სამ თვეს გაგრძელდა და სამეფო ხელისუფლების ძალების აქტიური ჩარევით იქნა ძლეული.

ჩავეხედოთ ნაწარმოებებს: „კვეტარის ერისთავს თალაგვა კოლონკელიძეს ძალით უთაყვანებია ფხოველნი და დიდონი, მათ აჰყოლიან ტურძუკნი და ღაღღაი და ის თემები, რომელნიც ტილიჭამიათა მეზობლად ბინადრობდნენ მაშინ“.

რომანისეული თალაგვა და მამამზე, მათთან ერთად მთელი მოჯანყე მთა, რეალურად წარმოდგენილი სურათია იმდროინდელი სოციალური სინამდვილისა.

ასე რომ, ფონი, რომელზეც რომანი იშლება, ისტორიული ვითარების მართებული ასახვაა, წარსულის სწორი ინტერპრეტაცია და ჭეშმარიტი ისტორიზმის ნათელი გამოვლინებაა.

საგულისხმოა თვით მწერლის აზრი იმის შესახებ, თუ რატომ გაამახვილა მან ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე შინაკლასობრივ, პოლიტიკურ ბრძოლებზე. კონსტანტინე გამსახურდია თავისი რომანის ბოლოთქმაში აღნიშნავს:

„ზოგს ეგ უკვირდა: რად არ აესახე გარეპოლიტიკური ომები „დიდოსტატის მარჯვენაში“, ან რად დაეუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბობებათა ჩაქრობის მომენტებს?“

უნდა ვაღიარო, ეგ შეგნებულად მაქვს ჩადენილი. შინაპოლიტიკური ვითარებანი სწევებენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიოს ისტორია ამის მოწმეა თავად.

არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა.

შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა“.

მწერლის პოზიცია სრულიად ნათელია. კონცეფციურად იგი ისტორიზმის მტკიცე მიმდევარია. და ამ არსებითად სწორ ისტორიულ ფონზე კონსტანტინე გამსახურდია წარმატებით ახერხებს გადმოსცეს მეტად ამაღლებელი ტრაგიკული თავგადასავალი სვეტიცხოვლის ტაძრის ამგები კონსტანტინე არსაკიძისა.

იმისათვის, რომ მთელი სიღიადით ეჩვენებინა კონსტანტინე არსაკიძის შემოქმედებითი გმირობა, მწერალმა მას დაუპირისპირა ფარსმან სპარსი. ეს მწერლის ფანტაზიით შექმნილი გმირია და, როგორც თავად ავტორი ამბობს, „წინაპარია საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილი უსამშობლო კონდოტიერებისა... დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უბრინციო და გაყიდული, უსამშობლო კაცია“ („დიდოსტატის მარჯვენა“, ბოლოთქმა). ვარსკვლავთმრიცხველი და ალქიმიკოსი, მკურნალი და იარაღ-საჭურვლის ოსტატი, ხუროთმოძღვარი და ჯადოქარი ფარსმანი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონეა, მაგრამ ყოველივე ეს სრულიად უშედეგოა იმ კაცის ხელში, რომელსაც მამულის გრძნობა არ გააჩნია და რომლისთვისაც არც იმასა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის და რას ემსახურება. მისმა ბოროტებითა და მზაკვრობით დამახინჯებულმა სულმა ვერაფერი შექმნა საშვილიშილო. მწერალმა ფარსმანს მიანიშნებინა არსაკიძისათვის: „ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლევად მოაჩვენო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ამქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს“.

კონსტანტინე გამსახურდიამ თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის სიტყვები მოიშველია ფარსმან სპარსის „შესამკობად“ და „სახითა ბარბაროსი და სჯულითა ტარტაროზი“ უწოდა მას („სჯულითა ბარბაროზს და ქცევითა ტარტაროზს“ უწოდებს მემატთანე მოღალატე მეჭურჭლეუთხუცესის ნაცვალს).

ფარსმანი ხელმოცარული გადაეგო ამ ქვეყნიდან, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი სვეტიცხოველი დარჩა როგორც წარმავლობასთან მებრძოლი უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა.

ამგვარად, ფარსმანის სახემ (როგორც ანტითეზამ) დიდი როლი შეასრულა კონსტანტინე არსაკიძის (თეზა) ბუნების, მისი შემოქმედებისა და თუ ბედის სრულყოფილ წარმოჩენაში.

კონსტანტინე გამსახურდია მეტად საინტერესოდ მოგვითხრობს გიორგი პირველის შესახებ. ეს ისტორიული პიროვნება მას ოსტატურად ჰყავს დახატული ეპოქის სირთულე-წინააღმდეგობათა გან-



მასახიერებელ ზორცმესხმულ მხატვრულ სახედ. „დიდოსტატის მარჯვენაში“ პირუთენელი მემატიანის სიზუსტიითაა მოთხრობილი გიორგის თავდადებული ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. „მატიანე ქართლისა“ საქართველოს მეფეს ასე ახასიათებს: „ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უზორცო“. გიორგი პირველი თავგამოდებით ებრძოდა მომხდურ მტერს, ყოველმხრივ ცდილობდა, წინ აღსდგომოდა ბიზანტიის აგრესიულ ზრახვებს: „ბასილ კეისარს ეს უნდა, ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამღი პირში სული მიღვას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“.

საგულისხმოა მომაკვდავი მეფის ბოლო სიტყვები: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებულია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც. კეისარს ვებრძოდი და მეშინოდა ზვიარის ფესვებისა; გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატინა“.

რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზვიად ერისთავს, რომელიც საქართველოს მეფის უერთგულესი პირია და მისი თანამდგომია მოღალატეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მწერალი დიდი სიმპათიით გვიხატავს მას. აი, მისი სახე მეფესთან ერთ-ერთი დარბაზობის დროს: „თავმოდრეკილი იდგა ზვიად სპასალარი, წარბშეუხრელად ისმენდა მამამზის სიტყვებს და აგურის იატაკს დასწერებოდა რაღაც უცნაურ ფიქრში წასული. უზარმაზარი ხმლის ვადას მოსჭიდებოდა მისი ფაჩუნური მარჯვენა (ყველანი უხმლოდ იდგნენ გარშემო, მხოლოდ მას ერტყა დარბაზობის დროს ფოლადის ჯავარდენი)“.

ზვიად ერისთავი ცნობილი ისტორიული პირია, გიორგი I-ის თანამებრძოლი. მას იხსენიებს „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძე. ზვიადმა წამოასვენა ტაოში გარდაცვლილი ბაგრატ III-ის (გიორგი I-ის მამის) ცხედარი და ბედიას დაკრძალა: „... და წარმოიღო გუამი მისი ზკადმან ერისთავთერისთავმან, და დამარხა ბედიას“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283). გიორგი I-მა სწორედ ზვიადი გააგზავნა ბასიანს ბასილ კეისართან მოსალაპარაკებლად, „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს: „გიორგი მეფემან წარავლინა ზვიად ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რაჟთამცა ზავის მოპყრობითა მცირედ-ხანს დაიმჭირვა ადგილსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287). სუმბატ დავითის ძე ამატებს: „და დაი-

ლაშქრა ზეადმანცა ამიერ კიდესა ბასიანიასა“ (ქართლის ცხოვრება, I, 384).

ზეიადი ბოლომდე ერთგული და მტკიცედ დასაყრდენი ძალაა სამეფო ხელისუფლებისათვის. ასეთია იგი ისტორიულად, ასე დახატა მწერალმაც.

დიდი სიყვარულითაა გამოხატული შორენას სახე. კდემამოსილება, დამატყვევებელი სილამაზე, ზნეობრივი სისპეტაკე, რაინდული სული – აი, თვისებები, რომლითაც შორენა შეამკო მწერალმა. ეს სახე კონსტანტინე გამსახურდიას პოეტური ფანტაზიის შესანიშნავი ნაყოფია. თვით სახელი შორენა აქამდე სხვაგან არსად გვხვდება (მაგრამ როგორ ჰგავს იგი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულ ბორენას).

თალაგვა და მამამზეც არ იცის ჩვენმა ისტორიულმა წყაროებმა, თუმცა უამრავი ისტორიულ-ცხოვრებისეული პროტოტიპი მოექვეება მათ: ბაღვაშები, ტბელები, ძამელები, აბულეთისძეები – ყველა მოღალატე ფეოდალის თვისებები გააერთიანეს ამ პერსონაჟებმა.

თვით კოლონკელიძეთა ფეოდალური საგვარეულო გიორგი პირველის შემდეგროინდელია. იგი მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს. ამ გვარიდან ორი პიროვნებაა ცნობილი. ესენია პერეთის ერისთავები: ვარდანი (გიორგი III-ის დროს) და საღირი (თამარის დროს). გამოთქმულია მოსაზრება კოლონკელიძეთა გვარის სოფ. კოლონკეთის (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით მდ. მეჯუდას ხეობაში იყო) სახელწოდებიდან მომდინარეობის შესახებ (დ. მუსხელიშვილი, კოლონკელიძენი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, გვ. 589).

კვეტერის ციხე-ქალაქი (და არა საერისთავო) წყაროებში XI ს-ის შუა წლებიდან (ე. ი. რომანში აღწერილი ამბების შემდეგ) იხსენიება. იგი კახეთის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი მიიჩნევს, რომ კვეტერა VIII საუკუნეშიც უნდა არსებულიყო (ამ მოსაზრებას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებენ).

კონსტანტინე გამსახურდია საინტერესოდ გადმოგვცემს პურობისა და ნადიმის რიტუალს სამეფო კარზე. ეს რიტუალი ისეა აღწერილ-დახატული, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (ქართული სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ძეგლი, XIV საუკუნე).

მწერალს სწორად აქვს მინიშნებული, რომ მეფესთან დიდებულთა დარბაზობის დროს მხოლოდ სპასალარს არტყია წელზე ხმალი. იგი, როგორც სამხედრო პირი, ამ უფლებით სარგებლობდა, ვიდრე ფეხზე იდგა.

ნაწარმოები გვამცნობს:

„ღამე შემოუსწრო ნადიმს. მებაშხალეთ მაშხლები აანთეს. მკეჭურჭლეთ სამაშხლე ქონი და ალყა შემოზიდეს დარბაზში“.

ახლა ვნახოთ, რას გვაუწყებს „ხელმწიფის კარის გარიგების“ მე-17 მუხლი:

„თუ პურობას ღამე შემოესწრას, სანთელი სასანთლითა და მისითა ნატიითა თავ-თავის საფარეშოთა არის და ფარეშოთა უხუცესი მიიღებს, წამოაყენებს და თავ-თავის ადგილს ჩასდებს თაზირთა წინა. და სუფრასა ზედა მაშხალის ასანთები ალყა ქონითა ანუ სელითა იქნების...“ და ა. შ.

ეს შედარებით ვრცელი ციტატა იმისთვის მოგვაქვს, რომ მკითხველს ვაჩვენოთ, თუ რაოდენ ჩადრმავებულია მწერალი ისტორიულ წყაროებში, რათა ეპოქისათვის დამახასიათებელი სურათი უჩვენებინა.

მთელი სისრულით არის გადმოცემული რომანში გიორგი პირველის ტრაგიკული ბედი. მწერალი დაწვრილებით არ განიხილავს, მაგრამ მაინც ვგრძობთ მეფის ბელუკულმართობას, ერთგვარ შებოჭილობას (ეს, თავის მხრივ, ისტორიულად განპირობებული იყო პერეთ-კახეთის გამოყოფით. შირიმნის ბრძოლაში დამარცხებით; სამხრეთის პროვინციების დაკარგვით და ბაგრატ უფლისწულის მძევლად გაგზავნით).

არც ის არის შემთხვევითი, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ მძაფრი ექსპრესიით დახატა მეფის დაკრძალვა:

„როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰქროდა.“

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცდა სიმართლე მისი უთავჯამო და ბობოქარი ცხოვრების გამო.

როცა მოტირალები, დიდებულები და მოსიერენი წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცმა მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

„არც სიკვდილში ჰქონიაო გიორგი მეფეს ბედი“.

ტრაგიკულად დასრულდა რომანის მთავარი გმირების ცხოვრება. კონსტანტინე გამსახურდიამ ბრწყინვალედ დახატა ღრმა წინააღმდეგობებითა და ცხოვრებისეული სირთულეებით აღსავსე ეპოქა, მისი სულისშემხუთველი სოციალური გარემო; ამ ფონზე კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა დიდი რაინდობა, თავგანწირულება, ზნეობრივი სისპეტაკე და შემოქმედებითი წვა ისტორიული რომანის გმი-

რებისა, რომელთა ამბოხი სულისა და შემართების, სიყვარულისა და სიძულვილის, შემოქმედებისა და ბრძოლის მტკიცე საფუძვლიანი ჭეშმარიტი ისტორიული სინამდვილეა.

ისტორია სისხლხორცეულია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისათვის. იგი მისი აღიარებისა და წარმატების უდიდესი საწინდარიც არის.

# სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო

## სამნციკლოპედიო მუშაობის წარსული, აწმყო და მომავალი

„ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგელნი, უბაღონი და ცუდნი. არა თუ კიცხვეისათვის აღძიწერია, რათა საჭირდღად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე“.

სულხან-საბა ორბელიანი

ქართული ხალხის ისტორიულმა წარმატებებმა და კულტურულმა წინსვლამ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის არსებობის წანამძღვრები შექმნა. და აი, 60-იან წლებში ჩვენში გაიშალა მუშაობა ქართული ენციკლოპედიის გამოსაცემად. ენციკლოპედია, ყველა კულტურულ მიღწევასთან ერთად, ჩვენი ერის მაღალგანვითარებულობის ახალი მაჩვენებელია. ის ერები, რომელთაც ტრადიციულად ენციკლოპედიის გამოცემის დიდი წარსული აქვთ, ეროვნული უნივერსიტეტების გვერდით განიხილავენ მის მნიშვნელობას და ამაყობენ თავიანთი ენციკლოპედიური საქმიანობის ტრადიციებით.

საქართველოს სინამდვილეში ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემა მეტად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა.

## ორიოდე სიტყვა ქართული მნციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიიდან

„მე სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილი იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა“. — ავტორი ამ სიტყვებისა, გამოჩენილი

ქართული ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ამ ორი საუკუნის წინ ჩიოდა, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა“. ამ შემთხვევაში ჩვენ ეს მომენტი გვაინტერესებს (საერთოდ ს. ორბელიანის მოღვაწეობაზე საგანგებოდ შეეჩერდებით ქვემოთ). რაკი საბას დროს ასეთი ლექსიკონი აღარ არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძნელბედობის ჟამს დაიკარგა და ვეღარ მოაღწია. მართლაც, თუ გავადევნებთ თვალს ქართული ლიტერატურის განვითარებას, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრე ნაირფეროვანი ჟანრებით და მეცნიერული დარგებით. ჩვენში დამწერლობის ჩასახვის უმაღლესი შეიქმნა ქრისტიანული მწერლობის დარგები – ბიბლიოლოგია, ჰიმნოგრაფია და აგიოგრაფია. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიოგრაფიას, პოლემიკას, კანონიკასა და ფილოსოფიას. ეს თავისთავად მოასწავებდა ქართველ მწიგნობართა ზოგადი თუ სპეციალური აზრის სიფართოვეს. ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის სიმრავლემ თავის მხრივ განაპირობა აუცილებელი არსებობა ისეთი დამხმარე მეცნიერული დარგებისა, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, მიეცათ მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა მათთვის უცნობ სხვადასხვა სამეცნიერო ცნებაზე.

საისტორიო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მსახურული მწერლობის განსაკუთრებული აყვავება ხდება XI-XIII საუკუნეებში. ეს არის პერიოდი, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები: გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, ლეონტი მროველი, იოანე შავთელი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე და სხვ. კულტურულ ასპარეზზე ასეთი დიდი მოღვაწეების გამოსვლამ ახალი ძვრები მოიტანა, ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ პროგრესს. შეიქმნა ლიტერატურული სკოლები, დაიწერა სასწავლო სახელმძღვანელოები, შექმნილია თარგმანისა და კომენტარების შედგენის მეთოდები, ფილოსოფიური სტილი და ტერმინები, დაწესდა სახოტბო და ეპიკური პოეზიის ნორმები. ხსენებულმა მოღვაწეებმა ახალი ჰუმანური იდეები დაუდეს საფუძვლად თავიანთ საქმიანობას და მათმა შემოქმედებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ქართული მწერლობისა და მეცნიერების ამ აყვავების პერიოდში ახალი შთაგონებით, ცხოველი ძალით დაიწყო ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული კვლევა. უდიდეს როლს ამ მხრივ ასრულებენ ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის სალიტერატურო სკოლები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად ლექსიკოლოგიურ მუშაობასაც ეწევიან. ამ პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თუ

საისტორიო-აგიოგრაფიულ თხზულებებს თან ერთვოდა ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები, სადაც მკითხველი იგებდა როგორც უცხოური ცნებების, ტერმინების, ასევე საკუთარ გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა მნიშვნელობებს. ამგვარი განმარტება-კომენტარები საკმაოდ უხვად გვხვდება ევრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შრომებში. ამ მხრივ საინტერესოა კონსტანტინე (ეგნატე) დიაკონის (IX ს.) მიერ ბერძნულად თარგმნილი თხზულება: „სიტყვა ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმინდისა ნიკიფორუსისა“ (გელათური მეტაფრასი №2, გვ. 172-205), რომელსაც ერთვის ისტორიული და მითოლოგიური სახელების კომენტარები. აღსანიშნავია ასევე ევრემ მცირის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ზღაპრობანი ელენთანა“, რომელშიც შეკრებილია ძველი ბერძნული მითოლოგიური სახელები და ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი და განმარტებანი, რაც ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს მითოლოგიურ მოვლენებსა და ფილოსოფიურ ცნებებზე.

ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულმა „დოღმატიკონმა“, იოანე პეტრიწის „პროკლე დიალოხოსის კავშირთა კომენტარებმა“, ნემესიოს ემესელისა და ამონიოს ერმისის ფილოსოფიურ-ლოგიკურ თხზულებათა ქართულმა თარგმანებმა. შემორჩენილია თარგმნილ ლექსიკონთა ფრაგმენტები. მაგალითად, „წმინდათა და ღრმთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთ-შემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაი ლექსიკონისაი“.<sup>1</sup> აქ 121 უცხო სიტყვაა განმარტებული. ჩვენი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებული ვარაუდია გამოთქმული, რომ ამგვარი ლექსიკონები სხვაც იქნებოდა ქართულ ენაზე. ზოგი ცნობით, სამეფო ბიბლიოთეკაში ყოფილა სხვადასხვა ლექსიკონი, რომლებშიც შეიძლება იმდენად ამა თუ იმ სადავო სიტყვის მნიშვნელობის გაგება.

ქართული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ახალ აღმავლობას განიცდის სულხან-საბა ორბელიანის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით. ეს ფაქტობრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. სულხან-საბა ორბელიანმა გიგანტური შრომა გასწია თავისი

<sup>1</sup> ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 267.

<sup>2</sup> ა. ლლონტი, ნარკვევები, 1955, გვ. 111-112.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, III, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1963, გვ. 305-306.

„ქართული ლექსიკონის“ შესაქმნელად. „რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდით, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე. და რომელნიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე, რომელნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დაეწერე“. ს. ს. ორბელიანს გამოუყენებია ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური და რუსული ლიტერატურა („გარნა რაოდენ ძალ-მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გაღმოვიღე“). მეცნიერს დიდი ამოცანა დაუსახავს თავისი შრომისათვის — იგი უნდა ყოფილიყო იმ ლექსიკონის შემცველი, რომელიც ადრე ჰქონიათ ქართველებს და ჟამთა ძნელბედობის გამო დაკარგულა; ამ ნაშრომით უნდა შეესწავლათ „ენა ქართული, შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონია. მასში, გარდა წმინდა ენობრივი საკითხებისა, განმარტებულია მნიშვნელოვანი საენციკლოპედიო მასალაც — მეცნიერული ცნებები, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და საკუთარი სახელები, უცხო სიტყვები და გამოთქმები და სხვ. სულხან-საბას კარგად ესმოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის შექმნა და სამზოვზე გამოტანა ბევრ დაბრკოლებასთან იქნებოდა დაკავშირებული. გამოჩნდებოდნენ ალბათ ისეთნიც, რომლებიც გაჰკილავენენ მეცნიერების ნაღვალს. შემთხვევითი არ არის, რომ თვით საბაც ვარაუდობდა ამგვარ შეზღვერას მისი ლექსიკონთან: „ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილნი უყვარან. მრავალნი სხვანი წერილნი არიან საღვთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ იგი იკითხნენ“<sup>1</sup>.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებაში. საკითხების სიმრავლემ და სიფართოვემ, ჭეშმარიტმა ენციკლოპედიურობამ ეს ბრწყინვალე ნაშრომი დღემდე მნიშვნელოვან სამაგიდო წიგნად აქცია, წიგნად, რომელსაც ფართოდ იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

XVIII-XIX საუკუნეებში ლექსიკოლოგიური მუშაობა კვლავ გრძელდება. გამოჩნდნენ მწიგნობარნი, რომლებიც ავრცობენ და აზუსტებენ „ქართულ ლექსიკონს“. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი პოეტისა და მწიგნობრის დავით რექტორის საქმიანობა, რო-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1966, გვ. 28.



მელმაც XVIII საუკუნის მიწურულს გადაწერა „ქართული ლექსიკონი“ და შეავსო ახალი, ენციკლოპედიური მნიშვნელობის მასალით.<sup>1</sup> მეტად მნიშვნელოვანია იოანე ბატონიშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი, როგორც გამოკვლეულია, საბა ორბელიანის ნაშრომს ემყარება; თან ავსებს მას ახალი ლექსიკური მასალით, იძლევა ცალკეული სიტყვობრივი ერთეულების მკაფიო გრამატიკულ დახასიათებასა და მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებას. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ენციკლოპედიური ნაშრომების შედგენის სერიოზული ცდები.

XIX საუკუნის დასაწყისში იქმნება ფრიად მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ნაშრომი — იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. უპირველეს ყოვლისა, ეს ძეგლი ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოებია. ამასთან, ეს არის დიალოგის ფორმით დაწერილი ენციკლოპედიური სიტყვარი. „კალმასობის“ მთავარი გმირი იონა ხელაშვილი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გზად მას ხვდებიან ადამიანები, რომელთაც მჭევრმეტყველურად აცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგს, ისტორიულ ამბებს, ქართველ მოღვაწეებს და სხვ. ამგვარად, „კალმასობაში“ წარმოდგენილია მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგი — ისტორია, ფილოსოფია, საღმრთო რჯული, ლიტერატურათმცოდნეობა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა და სხვ. ავტორი სარგებლობს როგორც ქართული, ისე რუსული და უცხოური წყაროებით. იოანე ბატონიშვილმა თავის ენციკლოპედიურ ნამოღვაწარს საფუძვლად დაუდო ეპოქის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური იდეები და ამ დროის შესაფერისი ღრმა მეცნიერული ცოდნა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 1823 წელს პეტერბურგში ქართულად გამოქვეყნდა „ენციკლოპედია ანუ შუკრებილება ზნეობითა სწავლათა ჰაზრთანი, და განსჯანი სხვათა და სხვათა ნივთათთვის. დათხზული და აღსხმული ანბანთა ზედა და ფრანციცულისა წერილთაგან რუსულსა ზედა გარდმოღებული კოლლეჟსკის ასსესორის იოანე პრიკლონსკის მიერ. ზოლო რუსულისა ენისაგან ქართულსა ზედა ითარგმნა ტიტულარნი სოვეტნი-

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრომები, I, 1936, გვ. 310-332.

<sup>2</sup> ა. ღლონტი, ფილოლოგიური ნარკვევები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 286.

კის გიორგი ჩუგუნოვის მიერ“. ეს წიგნი სულ 159 გვერდს შეიცავს (თანაც მცირე ფორმატისაა).

XIX საუკუნის მიწურულს რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადებისა და გამოცემის თაოსნად გამოდის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი, რომლის რედაქციითაც 1898-1899 წლებში გამოქვეყნდა ოთხი წიგნი: „სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“. აღნიშნულ ოთხ წიგნში მოცემულია მასალები მხოლოდ A-დან I-მდე. ეს დიდი საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ცხოვრების წინსვლა, მეცნიერების დონის ამაღლება და კულტურის განვითარება ჩვენი საუკუნის დასაწყისში ახალი ძალით აყენებს ენციკლოპედიის გამოცემის საკითხს. სწორედ ამ სამოცდაათიოდე წლის წინ ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათავეში უდგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე სწავლულეები: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი.

„საქართველოს ენციკლოპედიის“ გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ: ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიანიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვ.

შედეგნილ იქნა დაახლოებითი პროგრამაც. ენციკლოპედიის გამოცემა გათვალისწინებული იყო ათ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში, რომელიც საქართველოს ისტორიას ეთმობოდა, უნდა განხილულიყო საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის წყაროები, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ისტორია. მეორე განყოფილება მთლიანად საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს ეძღვნებოდა; შემდეგ უნდა განხილულიყო საქართველოს მოსახლეობა, მისი ეკონომიკური მდგომარეობა, სხვა ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია, ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერილიყო საქართველოს ქალაქები და დასახლებული პუნქტები,

ცენტრალური დაწესებულებების, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფ-  
ლო მმართველობის ორგანოები.

ცალკე განყოფილებაში განიხილებოდა სხვა ენათა ოჯახში ქარ-  
თული ენის ადგილის განსაზღვრის საკითხი, ქართული ენის განვი-  
თარების ისტორია, ქართული ენის გრამატიკა, ენციკლოპედიაში  
ასევე სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქართული ლიტერატურის  
ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, ბეჭდვისა და თანა-  
მედროვე ლიტერატურული პროცესის პრობლემებს. შემდეგ აისახე-  
ბოდა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხები.

საქართველოს ენციკლოპედიის მეათე, უკანასკნელ მონაკვეთში  
განიხილებოდა ქართველთა სამართლებრივი მდგომარეობა, ყოფა,  
ზნე-ჩვეულებები, ქართველთა ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან,  
ქართველი ქალი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სხვა აქ-  
ტუალური და თავისი მნიშვნელობით ყურადსაღები მოვლენა თუ  
საკითხი საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრე-  
ბიდან.

საქართველოს ენციკლოპედიის ზემოთ მოცემულ პროგრამაში  
ბევრი ისეთი საკითხია გათვალისწინებული, რომელნიც გარკვეულ  
წარმოდგენას გვაძლევენ იმდროინდელი ქართული მეცნიერების გან-  
ვითარების დონეზე.

მაშინდელმა პირობებმა საშუალება არ მისცა ჩვენს სახელოვან  
სწავლულებს და მათ თანამოაზრეებს, ენციკლოპედიის გამოცემის  
პატრიოტული საქმე განეხორციელებინათ.

## მეციკლოპედიური საქმიანობა

### XX საუკუნეში

XX საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ენციკ-  
ლოპედიურ-ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაზე. 1927 წელს გამო-  
დის იუსტინე აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ სალიტე-  
რატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო და უცხო სიტყვათა და ტერ-  
მინთა ჩართვით (ნაწ. I).

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის მიერ  
სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება ამიერკავკასიის ენციკლოპე-  
დიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკავშირო კპ ამიერკავკა-  
სიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენი-  
ლება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა ცალ-ცალკე ყოფილიყო გა-

მოცემული ენციკლოპედიები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კკ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნეს „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია. მთავარ რედაქტორად დამტკიცდა მალაქია ტოროშელიძე, მოადგილედ – კარლო ორაგველიძე, სწავლულ მდივნად – სიმონ ყაუხჩიშვილი. კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ: ნიკო მარი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ხაჭაპურიძე, სანდრო ეული, ერმილე ბელია, სილიბისტრო თოდრია და სხვ.

სარედაქციო კოლეგიამ ფართო საორგანიზაციო მუშაობა გაშალა. დღემდე შემორჩენილი საარქივო მასალა გვიჩვენებს ენციკლოპედიის სწავლული მდივნის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დიდ შემოქმედებით საქმიანობას. იგი საგანგებოდ იქნა მივლინებული ხარკოვში, მოსკოვსა და ლენინგრადში ენციკლოპედიის გამოცემის საკითხების გასაცნობად. მასვე დაევალა სალექსიკონო და საენციკლოპედიო ლიტერატურის შეძენა. სწორედ ს. ყაუხჩიშვილის მიერ მოპოვებული გამოცდილება დაედო საფუძვლად ენციკლოპედიური საქმიანობის დაწყებას.

სარედაქციო მუშაობის დაწყებისას პირველ რიგში ჩამოყალიბდა სიტყვანის განყოფილება, რომელსაც უნდა შეედგინა სრული სია იმ სიტყვა-ტერმინებისა (ანიდან ჰაემდე), რომლებზედაც უნდა დაწერილიყო წერილები. საფუძვლად აღებულ იქნა „მალაია სოვეტსკაია ენციკლოპედია“, რომლის სიტყვანი მთლიანად იქნა გაქართულებული სარედაქციო აპარატის საშუალებით. და უკვე 1933 წლისათვის მზად იყო 32.000 სიტყვისაგან შემდგარი სიტყვანი. ამის გარდა, ცალკე დარგების მიხედვით სპეციალურად შეიქმნა ამიერკავკასიისა და საქართველოს სინამდვილის შესახებ არსებული ტერმინების სიტყვანი (ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა და სხვ.). ამ სპეციალური სიტყვანის შესადგენად რედაქციამ მოიწვია სათანადო სპეციალისტები – მეცნიერები (ასამდე კაცი). მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ მომზადდა გამოცემის მთლიანი სიტყვანი, რომელიც 50.000 სიტყვა-ტერმინს შეიცავდა.

1933 წელს, სიტყვანის შედგენის შემდეგ, რედაქციას დაუწყია სტატიების მომზადება პირველ სამ ასოზე (ა, ბ, გ), რომელმაც შეადგინა რიცხვით – 6044, ნიშნთა რაოდენობით კი – 6 648

850.<sup>1</sup> 1933 წლის ბოლოს, რედაქციას შეუწყვეტია სამ ასოზე სტატიების მომზადება და დაუწყია ა-ზე დაწერილი სტატიების დამუშავება-მონტაჟი. ეს სამუშაო, როგორც ჩანს, საკმაოდ ინტენსიურად ჩატარდა და 1934 წლის პირველ თვეებში ანის ტომი გაუმზადებით დასაბეჭდად.

სტატიების დამუშავება-მომზადების პარალელურად ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია მუშაობდა გეოგრაფიული რუკების შედგენის მეტად შრომატევად საქმეზე. სულ პირველ ასოზე 60 რუკა იყო მოსამზადებელი (აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის, ამიერკავკასიის, აზერბაიჯანის, აფხაზეთის, აჭარის, ადიგენის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვ.). 1933-34 წწ. რუკების უმრავლესობა მომზადებული ყოფილა, ამასთან, ბევრი რუკა ფერადი იყო (5-6 ფერში), ნაწილი კი ტექსტშივე მიდიოდა შავ-თეთრი ფერით. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ დროის ენციკლოპედიისტების დამსახურება რუკების მომზადების საქმეში. მანამდე გამოცემული რუკები ზოგადი იყო, გადმოქართულებული ძველი რუსული რუკების მიხედვით. ამჯერად კი ამიერკავკასიისა და საქართველოს რუკები მომზადდა ადგილობრივი (ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამმართველოს) მასალების მიხედვით. საერთაშორისო რუკები „დიდ საბჭოთა“ და „მცირე საბჭოთა“ ენციკლოპედიებში დაბეჭდილი მასალის მიხედვით დამზადდა. მნიშვნელოვანი საქმე იყო ქართულად გეოგრაფიული ნომენკლატურის დადგენა. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულად მსოფლიო რუკების დამზადებისა (ერთადერთი იყო 1927 წელს გამოცემული „ნახევარსფეროები“) და ნომენკლატურაც (50.000 სახელწოდებისგან შემდგარი) ენციკლოპედიის წყალობით დამუშავდა, რაც განათლების სახალხო კომისარიატსაც გამოუყენებია სასკოლო რუკების დამზადებისას.

ამგვარად, 1934 წელს უკვე მზად იყო დასაბეჭდად პირველი ტომის სტატიები (გარდა რამდენიმე სტატიისა, რომელთათვისაც უკანასკნელი მასალები მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო). იმის გამო, რომ ბეჭდვისათვის საჭირო ქალაქში უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, შეუძლებელი გახდა მასალის გადაცემა სტამბაში. ქალაქი მიუღიათ მხოლოდ 1934 წლის აპრილში, ისიც 3 ტონა, ნაცვლად პირველი ტომისათვის საჭირო 18 ტონისა. ბეჭდვის შეფერხებამ რედაქცია იძულებული გახდა შეენელებინა მუშაობა, შეემცი-

<sup>1</sup> იხ. ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის ანგარიში 1933-36 წწ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის არქივი).

რებიანა შტატები. მუშაობა მხოლოდ ანის დანაკლის სტატებზე მიმდინარეობდა. სხვა ასობზე მუშაობას, როგორც ჩანს, აზრი არ ჰქონდა, რადგან ბეჭდვის საკითხი გადაუწყვეტელი იყო და არ იყო გამორიცხული, რომ სტატები დაძველებულიყო და ხელახლა გასაკეთებელი გამხდარიყო. გარკვეული შეფერხება იყო რუკების ბეჭდვის საქმეშიც.

საბეჭდი ქალაქი რედაქციას მხოლოდ 1935 წლის გაზაფხულზე მიუღია. ამის შემდეგ დაუწყიათ მასალის აწყობა (1935 წლის ზაფხული). აქ, როგორც ირკვევა, თავი იჩინა იმ სირთულემ, რომ ენციკლოპედიის წყობა ხდებოდა პეტიტით. მანამდე საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი წიგნი პეტიტით დაბეჭდილიყო და, ბუნებრივია, სტამბას არ ექნებოდა შრიფტის სრული კომპლექტი. ამიტომ რამდენიმე თვე ახალი შრიფტის ჩამოსხმას დასჭირდა. ჩამოსხმა 5 სახის შრიფტი: ქართული პეტიტი, მისივე შავი და აკადემიური, რუსული პეტიტი და ევროპული პეტიტი.

1936 წლის სექტემბრისათვის აწყობილი იყო 17 თაბახის ოდენობის მასალა, აქედან 11 თაბახი უკვე დაბეჭდილი იყო მთელი ტირაჟის ოდენობით. მუშაობის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა სხვადასხვა მიზეზის გამო. საჭირო გახდა მთელი მასალის ხელახალი საფუძვლიანი გადამუშავება და გასინჯვა. ენციკლოპედიაზე მუშაობას გარკვეულად შეუშალა ხელი მეორე მსოფლიო ომმაც.

დღემდე შემორჩა მთელი რიგი მასალებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო ენციკლოპედიაში შესატანად. აგრეთვე მაკეტის სახით დაბეჭდილი რამდენიმე თაბახი. ქსე-ის სამეცნიერო რედაქციამ დიდი სიამოვნებით გამოიყენა საარქივო მასალა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ფურცლებზე მკითხველს მიაწოდა ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სიმონ ჯანაშიასა და სხვა აწ განსვენებულ ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა წერილები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება.

\* \* \*

ენციკლოპედიის გამოცემის სირთულის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა. ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ქვის კოდვასთანაც კია შედარებული. ფრანგი ჰუმანისტი ჟოზეფ ჟიუსტ სკალიგერი (1540-1609) ჯერ კიდევ XVI საუკუნის მეორე ნახევარში წერდა:

თუ მისჯილი აქვს ვინმეს მტანჯველი შრომა  
და ელოდება ბეჩავს ტანჯვა-წვალება,  
ნუ დაავალებ მჭკლდლის უროთი კვერვას,  
ნურც მაღაროში მადნის ძნელ შოპოებას...  
დე, შეადგინოს მან ლექსიკონი და ეს შრომა  
ყველა სახის ტანჯვა-წამებას გაუტოლდება.

გარკვეული სიძნელე-სირთულეები ჩანს ქართულ ლექსიკოლოგ-  
თა მოღვაწეობაშიც. არ არის შემთხვევითი სულხან-საბა ორბელიან-  
ნის სიტყვები: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბო-  
როტნი, საქებელნი და საძაგელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ  
კიცხევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად  
იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე“.

სწორედ მრავალგვარ სირთულე-სიძნელეთა გამო ვერ მოხერხდა  
ჩვენში ბოლო დრომდე ენციკლოპედიის გამოცემა. 60-იან წლებ-  
ში კვლავ დადგა დღის წესრიგში ეროვნული ენციკ-  
ლოპედიების გამოცემის საკითხი. 1965 წელს მიღებულ  
იქნა დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში ენციკლოპედიების  
გამოცემის შესახებ.

ენციკლოპედია, ბუნებრივია, თავისი დანიშნულებით შორს  
სცილდება საცნობარო ლიტერატურის ჩარჩოებს. იგი უფრო მასშ-  
ტაბური და მნიშვნელოვანი გამოცემაა.

მეტად რთული ამოცანა დაისახა ქართული ენციკლოპედიის  
მთავარი სამეცნიერო რედაქციის (მთავარი სარედაქციო კოლეგია,  
რედაქტორები, ავტორები) წინაშე. დადგა საკითხები, რომლებიც  
უკავშირდება მეცნიერული ცოდნის ზოგადსაკაცობრიო სისტემაში  
ამ გამოცემის სპეციფიკური როლისა და ადგილის პოვნასა და გან-  
საზღვრას და მსოფლიო კულტურის მიღწეულ დონესთან მათი მი-  
მართების გარკვევას. ეს თავის მხრივ ზომიერების გრძნობის აუცი-  
ლებლობასთან ერთად მოითხოვს იმ მიჯნის მტკიცედ დაცვასაც,  
სადაც ერთიანდება ეროვნული, რეგიონული და ინტერნაციონალური  
წარსული და თანამედროვეობა, აღწერა და ანალიზი, პარტიულობა  
და ობიექტურობა, ისტორიული და ლოგიკური, ძირითადი და არა-  
ძირითადი პოლიტიკა, მეცნიერება, იდეოლოგია და კულტურა.

ენციკლოპედია მეცნიერული, კულტურული, ზნეობრივი და პო-  
ლიტიკური შემეცნებაა ეპოქისა; ამასთან, არა საერთოდ, არამედ  
კონკრეტულად გამოცემის თანადროული ეპოქისა. ამიტომ მან ადა-  
მიანთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების თა-  
ნამედროვე დონის ძირითადი შედეგების გადმოცემა უნდა შეუთანხ-

მოს ისტორიული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე კაცობრიობის მიღწევათა გადმოცემას.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენციკლოპედია მაღალ მეცნიერულ-მეთოდურ და პოლიტიკურ დონეზეა გამოცემული. იგი არ ჩამოუვარდება თანამედროვე ენციკლოპედიურ სტანდარტებს. ამდენად თვით გამოცემულ კოლექტივზე კეთილი მაღლიერების სიტყვის თქმა არ უნდა დავიშუროთ. ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთელი კოლექტივი: ათი დარგობრივი და ოთხი ფუნქციური რედაქცია, რედაქტორები, რედაქციათა ხელმძღვანელები, კორექტორები, სხვა რგოლები მაღალკვალიფიციურ მტკიცე კოლექტივს წარმოადგენდნენ და ჭეშმარიტად შესწევთ უნარი, რესპუბლიკაში ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ლიტერატურის გამოცემა მთლიანად იღონ თავს.

აქვე არ შეიძლება მაღლიერებით არ ვახსენოთ პოლიგრაფისტები, რომელთაც ფაქტობრივად მოუხდათ მათთვის სრულიად უჩვეულო (შრიფტის გარნიტური, მაკეტი, ფორმატი, ფორმათა სიმრავლე, ბეჭდვის სპეციფიკა, ტირაჟი და სხვ.) წიგნზე მუშაობა; წიგნზე, რომლის მსგავსი, მისი ყველა პარამეტრისა და კომპონენტის გათვალისწინებით, ადრე ჩვენში არ გამოცემულა.

ენციკლოპედიის გამოცემას დიდი ამაგი დასდო მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაში გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. ცალკე უნდა აღინიშნოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტებისა და უმაღლესი სკოლების, განსაკუთრებით უნივერსიტეტის კათედრათა აქტიური მონაწილეობა ენციკლოპედიის გამოცემაში.

ყოველი ტომის გამოსვლა ფართოდ აღინიშნებოდა პრესაში, ამდენად მათზე საგანგებოდ შეჩერების აუცილებლობა ამჯერად აღარ არის. თორმეტტომეულის თერთმეტი ტომი, როგორც წესი, ანბანურ პრინციპზეა შედგენილი; სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“ (ორ წიგნად ქართულ და რუსულ ენებზე) თემატურადაა მასალა განლაგებული (ეს ფაქტობრივად პირველი ქართული ენციკლოპედიური გამოცემაა, რომელშიც თავმოყრილი და სისტემატიზებულია ძირითადი ცნობები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ).

გამოცემა ძნელად და რთულად ხორციელდებოდა. გზადაგზა ხდებოდა ტერმინოლოგიის დადგენა, ენციკლოპედიურ გამოცემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის მოგვარება. რა თქმა უნდა,



პირველი ტომი განსაკუთრებით ძნელად „დაიბადა“. ბუნებრივია, სიხარულიც განსაკუთრებული იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენციკლოპედია თავისი მაღალი მეცნიერული დონით, ინფორმაციულობით, ილუსტრაციებით, ლოკონიური სტილით გვერდით დაუდგა სხვა პირველხარისხოვან ენციკლოპედიურ გამოცემებს. ეს ფაქტი ოფიციალურადაც აღინიშნა – ქსე-ის I ტომი წიგნის ხელოვნების საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემიით დაჯილდოვდა...

პირველი ტომის დედანი სტამბაში 1973 წლის 30 აპრილს გაიგზავნა, სასიგნალო ცალი კი მხოლოდ 1975 წლის 15 ოქტომბერს იქნა მიღებული. იმხანად ერევანში გაიმართა ენციკლოპედისტთა თათბირი და ძღვნად ქსე-ის ტომი იქნა ჩატანილი. აკადემიკოსმა ვიქტორ ამბარცუმიანმა, რომელიც მაშინ სომხეთის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი იყო (პირველი ტომის გამოცემის შემდეგ მან ამ თანამდებობაზე უარი თქვა და საზოგადოებრივ საწყისებზე დარჩა სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ), ვერ დამალა თავისი აღფრთოვანება. იგი სხდომაზე დაგვიანებით მოვიდა, ისარგებლა მასპინძლის უფლებით, სხდომის მსვლელობა შეაჩერა, ქართული ენციკლოპედია მაღლა შემართა და მისი გამოცემა მიულოცა ქართველ კოლეგებს (ვ. ამბარცუმიანი თბილისშია დაბადებული და ქართულსაც კარგად ფლობს). მაღალი შეფასება მისცა ამ ტომს და თავისიანებს მიმართა – აი, ვის უნდა მიუბაძოთ, თანაც ხუმრობით დასძინა: „ქსე-ის ტომი იმიტომაცაა კარგი, რომ სტატია „ამბარცუმიანი“ სწორედ აქ არისო (სომხურში ეს გვარი გამოითქმის „ჰამბარცუმიანად“ და შესაბამისად სხვა ტომშია მოთავსებული).

პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემისას პირველ ენციკლოპედისტებს დიდ დახმარებას უწევდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატიომიანი ფუნდამენტური გამოცემის სამეცნიერო-მეთოდური მონაპოვარი. რედაქცია, ბუნებრივია, ხშირად მიმართავდა სხვადასხვა საბჭოურ და უცხოურ ენციკლოპედიებსაც, აფასებდა და აჯერებდა მათთან სათანადო მასალას. რედაქციის კოლექტივს გარკვეული მოცულობით მოუხდა გაუთვალისწინებელი სამუშაოს შესრულება. ამგვარი სამუშაო აუცილებელი იყო, როცა პირველად მზადდება უნიკალური ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედია. აქ რედაქციის კოლექტივის გამოუცდელობა არაფერ შუაშია. უფრო მეტად მეცნიერების ზოგიერთი დარგის მოუმზადებლობა იჩენდა თავს, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე პასუხის გაცემისას. ამ მხრივ ენციკლოპედიამ კეთილის-

მყოფელი გავლენა იქონია ცალკეული მეცნიერული საკითხების წამოწვევისა და გაშუქების დაჩქარების თვალსაზრისით (ქართული ენციკლოპედია, ისე როგორც თითქმის ყველა ენციკლოპედია, ვერ ასცდა ზოგიერთ ხარვეზს, რაზედაც შეჩერება არ მიგვაჩნია ახლა საჭიროდ).

ინფორმაციულობის თვალსაწიერი განსაკუთრებულად დიდია ქართულ ენციკლოპედიაში. არც ერთ სხვა გამოცემაში, მათ შორის დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ერთ ტომში 4000 ტერმინზე მეტი არ მოიპოვება. ქართული ენციკლოპედიის თითოეულ ტომში საშუალოდ 6000 ტერმინია, 6 მილიონი სასტამბო ნიშანი, დაახლოებით 1300-1400 შიდა სატექსტო ილუსტრაცია, აგრეთვე შავ-თეთრი ღრმა ბეჭდვის და ფერადი ოფსეტური და მაღალი ბეჭდვის ილუსტრაციები. ერთი სიტყვით იგი თანამედროვე ტიპის მაღალი კლასის ენციკლოპედიაა. ქართულმა ენციკლოპედიამ უცხოელ მკითხველსაც უნდა გასცეს პასუხი საკითხთა მთელ რიგზე. სამწუხაროდ, ისეთი სოლიდური და ტრადიციული გამოცემები, როგორცაა ინგლისური „ბრიტანიკა“, ამერიკული „ამერიკანა“, ფრანგული „ლარუსი“, გერმანული „ბროკჰაუზი“, იტალიური „იტალიანა“, „ისლამის“ ენციკლოპედიები, რომელთაც მოცემული ინფორმაციის ობიექტურობის დიდი პრეტენზიები აქვთ, საქართველოსთან დაკავშირებულ ბევრ მოვლენას საკმაოდ დამახინჯებულად გადმოგვცემენ.

ქართული ენციკლოპედია თავისი განუზომელი პრაქტიკული და ნიშნულებით კეთილ და ჭკვიან მრჩეველად მოვევლინა ჩვენს ხალხს; ნათლად დაამტკიცა, რომ იგი საქართველოს, ქართველი ხალხის გონების, გულისა და მარჯვენის ნახელავია, მისი შემოქმედებითი ენერჯისა და ნიჭის საბუთია.

# „ქართლის ცხოვრების“

## მარიამ დედოფლის ნუსხის

### მ. თაყაიშვილისეული მარბინალიები

ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივი მამულიშვილური ღვაწლი დღესდღეობით საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. ამ დიდი მამულიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს წყარომცოდნეობის პრობლემებს. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შესწავლილი და მასზე არ შეეჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის წყარომცოდნეობითი მოღვაწეობის მეცნიერულ თვალსაწიერში მოექცა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“. თავის მხრივ „ქართლის ცხოვრებას“ მეტად საინტერესო თავგადასავალი აქვს. იგი საუკუნეთა განმავლობაში სწორდებოდა, ახლდებოდა, ივსებოდა, ერთი სიტყვით, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. „ქართლის ცხოვრება“ სრული სახით 1849 წელს გამოსცა აკადემიკოსმა მარია ბროსემ (რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა). ამასთან, პირველი წიგნი (ტომი ორ წიგნად იქნა გამოცემული) ქართული ტექსტი იყო, მეორე კი ფრანგული თარგმანი. ამ უკანასკნელის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი (შემდგომში ბროსემ კიდევ ორი ტომი გამოსცა ფრანგულად) ჩვენი ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში, ალბათ ზედმეტია. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა შეიტანეს XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თხზულებები (ისინი, მართალია, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არ შესულა, მაგრამ XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მაინც მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია). ამ გამოცემათა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაქცევის გამო ზაქარია ჭიჭინაძემ ხელახლა დაბეჭდა პირველი ტომი 1897 წელს, მეორე 1913 წელს.

მ. ბროსესეული გამოცემიდან 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ აკადემიურად გამოიცა „ქართლის ცხოვრება“ (ტ. I, 1955 წ., ტ. II, 1959 წ., ტ. IV, 1973 წ.), რომლის ტექსტი დაადგინა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. მ. ბროსეს განკარგულებაში რედაქტორთა მიერ გადამუშავებული და შევსებული მეთვრამეტე საუკუნის სამი ხელნაწერი იყო. შემდგომ პერიოდში მეთვრამეტე საუკუნის ათიოდე ნუსხა გახ-

და ცნობილი და, რაც მთავარია, აღმოჩნდა მეთხუთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა ტექსტის შემცველი ოთხი ხელნაწერი.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძვირფასესია მარიამ დედოფლისეული ნუსხა (მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერი), რომელიც 1884 წელს აღმოაჩინა დიმიტრი ბაქრაძემ, ხოლო 1906 წელს გამოიკა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. მარიამისეული ნუსხა არსებითად განსხვავდება მ. ბროსესეული „ქართლის ცხოვრებისაგან“. მეთვრამეტე საუკუნის ნუსხებისაგან (თეიმურაზისეული, რუმინანცვეისეული და ე. წ. ბროსესეული, რომელიც ფაქტობრივად ფალავანდიშვილისეული ნუსხის პირია) განსხვავებით, „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავს:

სუმბატ დავითის ძის თხზულებას – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. იგი არც ერთ მანამდე ცნობილ ხელნაწერში არ მოიპოვება.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებას – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მ. ბროსესეულ გამოცემაში თამარ მეფის ისტორია განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რაც, მკვლევართა აზრით, ვახტანგის სწავლულ კაცთა ნახელავი უნდა იყოს.

ნიშანდობლივია, რომ მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავდა ისტორიას მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნემდე, რაც მიანიშნებს, რომ 1633-1646 წლებში, როდესაც ეს ნუსხაა გადაწერილი, „ქართლის ცხოვრებაში“ მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია არ მოიპოვებოდა (ს. ყაუხჩიშვილი).

ერთი სიტყვით, 1906 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა ფართო საზოგადოებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. წიგნი მეცნიერის მიერ სათანადოდაა კომენტირებული და ძვირფასი მასალაა როგორც ისტორიკოსების, ისე საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ამ წიგნის გამოცემიდან თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ეგზემპლარი, რომელშიც, როგორც ჩანს, წლების მანძილზე გარკვეული კომენტარი (ჩასწორება, დამატება, ზოგიერთ საკითხზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება და სხვ.) თვით დიდ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს უკეთებია. ეს მეტად განსაკუთრებული ფასეული წიგნი ჩვენ გადმოგვცა გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ალექსანდრე ლლონტმა. თან სათანადო ბარათით გვაცნობა: „ეს უნიკალური წიგნი („ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ვარიანტის ე. თაყაიშვილისეული გამოცემა) ნახევარი საუკუნის წინათ მაქვს შეძენილი (მართლაც, წიგნის სუბ-

კონტრტიტულზე ძველი წარწერაა — „ალ. ღლონტი, 16.XI.36 წ., ტფილისი, შვეიციხე სალდათის ბაზარზე — რ. მ.), საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდი (ახლაც ვიყენებ!). გვიან მივაქციე ყურადღება, რომ წიგნის გვერდებზე ფანქრით გაკეთებული იყო მარგინალიები. თავდაპირველად არ დავინტერესებულვარ მარგინალიების ავტორის ვინაობის გაგებით. მე მხოლოდ ტექსტის ენობრივი მხარე მინტერესებდა, როცა რამდენიმე მინაწერს ახლოს გავეცანი, თვალში მომხვდა ექვთიმე თაყაიშვილის ხელი... გადავწყვიტე, ტექსტი ვარლამ ღონღუასათვის მეჩვენებინა... გაიხარა, დიდხანს ფურცლა. დავუტოვე. ერთი კვირის შემდეგ მითხრა, ძვირფასი მინაწერია, ამაზე სტატიას მოვამზადებ, ექვთიმეს რუღუნება არ დავუკარგოთ... ვარლამი მაშინ სხვა უფრო სასწრაფო საქმეებით ყოფილა დაკავებული და ჩაჯდომა ვერ მოუხერხებია. შემდეგ ავად გახდა და გარდაიცვალა კიდევ. წიგნი კი მის ბიბლიოთეკაში დარჩენილა. როცა ბიბლიოთეკა ისტორიის ინსტიტუტს გადაეცა, აღწერისას ეს წიგნი უნახავთ და პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

პროფ. ალ. ღლონტი გულწრფელად წერს: „მჯერა, ამ მასალას რალაც მნიშვნელობა ექნება. მერე-და ის ექვთიმეს ხელიდანაა გამოსული. ექვთიმე ხომ ექვთიმე იყო. არც ერთი მისი სტრიქონი არ უნდა დაიკარგოს, საყოველთაოდ უნდა გამოჩნდეს“. რასაკვირველია, სწორი შენიშვნაა. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა დეტალი, თუკი ეს შესაძლებელია, სათანადო შესწავლის შემდეგ უნდა გამოჩნდეს.

წინამდებარე წიგნის მრავალი გვერდი (იგი საერთოდ 994 გვერდს შეიცავს) ექვთიმე თაყაიშვილის კომენტარებითაა დაფარული. მხედველობაში გვაქვს არა თავდაპირველი წიგნისმიერი ბეჭდური კომენტარები, არამედ შემდეგ, დროთა განმავლობაში ძირითადად ფანქრით გაკეთებული მინაწერები. ეს მინაწერები სხვადასხვა ხასიათისაა. მათი დიდი ნაწილი კორექტურულ შეცდომებს აფიქსირებს და ასწორებს, ზოგი კი ტექსტს, ზოგიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ვარიანტთან შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნებს გვაცნობს. არის მინაწერები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ტექსტში მოცემული ცალკეული ტერმინებისა თუ მოთხრობილი მოვლენების მნიშვნელობაზე. ყველა მათგანის მოტანა ან განხილვა, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ბევრი მინიშნება, რასაკვირველია, სრულიად დამოუკიდებლად, უკვე გათვალისწინებულია ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში.

ამ წერილის მიზანია, მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნაზე გაამახვი-  
ლოს ყურადღება. ფრიად ყურადსაღებია დაკვირვება წიგნის მე-  
გვერდზე: აქ ფანქრითაა გახაზული ტექსტში „ტფილისითგან“ და  
არეზე არის წარწერა „მოხსენიება თბილისისა ასე აღრე“. ესაა  
ლეონტი მროველის თხზულების („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“)  
ის ნაწილი, სადაც ქართლის ამბებია მოთხრობილი... „ამბავი ქართ-  
ლისა და ნათესავის მათის ვიდრე დღეთა ჩუენთამდე...“ ამ თავში  
ტფილისი ნახსენებია შემდეგ კონტექსტში: „ხოლო მცხეთოს, რო-  
მელი: უგმირე: იყო: ძმათა: ესე: დარჩა: საყოფელთა: მამისა მათისა-  
თა: ქართლოსისათა: რომელსა: აწ ქქიან: არმაზი: და: მანვე: აღა-  
შენა: ქალაქი: შესაკრებელსა: შორის: მტკურისა: და: არაგვისათა:  
და: უწოდა: სახელი: თუსი: მცხეთა: და: დაიპყრა: ქუეყანა: ტფილი-  
სითგან: და: არაგვითგან: და: სავლით: ვიდრე: ზღუამდე: სპერისა“.<sup>1</sup>

ტფილისი სხვა კონტექსტშიც მოიხსენიება: „... და: ეპყრა: ქუე-  
ყანა: არაგვითგან: და: ტფილისითგან: ვიდრე: ტასის: კარამდე.“<sup>2</sup> ან  
„ განვიდა: (ფარნავაზ - რ. მ.) და: ნადირობდა: მარტო და: დევ-  
ნა: უყო: ირემთა: ველსა: დილომისასა: და ივლტოდეს: ირემნი,  
ღრღალთა: შინა: ტფილისისათა.“<sup>3</sup> ან „ერთი: გაგზავნა: ხუნანისა:  
ევად: და მისცა: ბურდუჯის: მდინარითგან: ვიდრე ტფილისამდე“...<sup>4</sup>  
და ა. შ.

როგორც ვხედავთ, „თბილისი“ მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენს  
წელთაღრიცხვამდე. ტრადიცია და შესაბამისად ჩვენი ისტორიოგრა-  
ფიაც თბილისის გადღეაქალაქებასა და თვით სახელწოდებასაც ვახ-  
ტანგ გორგასალს უკავშირებს. ამას მიუთითებს თბილისის დაარსე-  
ბის შესახებ ცნობილი ლეგენდაც (აქ არსებული თბილი წყლების  
გამო), სადაც სახელის დარქმევის ამბავიცაა მოთხრობილი, სა-  
ქართველოს დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობის შესახებ

<sup>1</sup> შდრ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 9: „ხოლო მცხეთოს, რომელი უგ-  
მირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა,  
რომელსა აწ ქქიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის  
მტკურისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თუსი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა  
ტფილისითგან და არაგვითგან დასავლით, ვიდრე ზღუამდე სპერისა“.

<sup>2</sup> შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 10.

<sup>3</sup> შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 21: „განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო,  
და დევნა უყო ირემთა ველთა დილომისასა, და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა  
(ნაპრალი - რ. მ.) შინა ტფილისისათა“.

<sup>4</sup> შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 24: „მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად,  
და მისცა ბურდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე...“

სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ტოპონიმი თბილისი წარმოდგა ადამიანის საკუთარი სახელისაგან „ოობელ“ (თუბალ, თობალ — ასე ერქვა „ბიბლიის“ გენეალოგიის თანახმად, ნოეს უმცროსი ვაჟის იაფეტის შვილს). ეს აზრი გატარებულია ქართველი კათოლიკების მიერ შედგენილ „საყოველთაო ისტორიაში“, რომლის მიხედვით „ქართველები იაფეტის მეხუთე შვილის თობალისაგან მომდინარეობდნენ, სადაც თობალი დადგა, ეწოდა თობალისი, ან თბილისი“. ამგვარ ახსნას მხარს უჭერდა პროფ. ლ. მელიქსეთბეგი. პროფესორებმა შ. მესხიამ და დ. გერიტიშვილმა ეს მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნიეს. ეს ეჭვი საფუძვლიანი იყო. ტოპონიმი თბილისი ტფილისის სახით დამოწმებულია ევსტათი მცხეთელისა (VI ს.) და აბო თბილელის (VIII ს.) წამების წიგნებში. „ქართლის მოქცევის“ წიგნში, რომლის უძველესი ტექსტი ცნობილ შატბერდის კრებულშია დაცული (გადაწერილია X ს-ში), სადაც ტფილისი დაპირისპირებულია ძველ დედაქალაქ მცხეთასთან.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სახელწოდება თბილისი იმ თბილი წყაროებიდან მომდინარეობს, რომლებიც უხვადაა ქალაქში და რომლებზედაც აბანოები იყო გამართული. ასე მიაჩნდა ჯერ კიდევ ამ საუკუნენახევრის წინათ უ. კლაპროთს. ამავე აზრს ეთანხმებოდნენ: პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. გორიანევი, ი. ჯავახიშვილი, კ. პანი, ს. კაკაბაძე და სხვ. ა. შანიძე მტკიცედ ასაბუთებს, რომ სიტყვა ტფილ-ი, რომელიც საფუძვლად უდევს საქართველოს დედაქალაქის სახელს, ძირეული სიტყვაა, რომელსაც შესატყვისი მოეპოვება ჭანურ-მგვრულსა და სვანურში. აქედან გავრცელდა თბილისის სახელწოდება მთელ დედამიწაზე (მაგ. ბერძნული ტიფილის, რუსული Тифлис, ევროპულ ენებში Tiflis).<sup>1</sup>

დღესდღეობით სადაო არ არის, რომ თბილისის ტერიტორია გადედაქალაქებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე იყო დასახლებული. ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური მასალა, რომელიც თვალნათლივ უჩვენებს, რომ აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო მოსახლეობა, საკმაოდ განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და ვაჭრობით. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით სახელიც გადედაქალაქებამდე იყო დარქმეული. ე. თაყაიშვილის მითითებაც

<sup>1</sup> შტრ. ვ. ივანოვის სტატიას ("След светносных" жур. "Техника-молодежи", №8, 1977). იხ. აგრეთვე, რ. შეტრჯელი, თბილისის ეტიმოლოგიას საკითხები, შეცნირება და ტექნიკა, თბ., 1978, №7.

თვით წყაროზე ხაზგასმით („მოხსენიება თბილისისა ასე ადრე“) არ არის შემთხვევითი და საკითხის შესახებ არსებული მოსაზრების განხილვა-გადახედვას მოითხოვს. ფაქტია, რომ სახელწოდება „თბილისი“ ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აქ დედაქალაქი დაარსდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო გამოცემის 50-ე გვერდზე მოთხრობილია: „ მირიან: მეფემან: უფროსადლა: კმატა: კეთილის ყოფა: საქართუელოსა: და: მოიყვანა: ცოლი: საბერძნეთითა: პონტოთ: ასული: ოლილოტოსისი: სახელით: ნანა“. აქ, როგორც ვხედავთ, საუბარია ქართლის მეფის მირიანის (IV ს.) მიერ ცოლად ნანას შერთვის შესახებ. ამ სტრიქონების გასწვრივ ე. თაყაიშვილს არეზე წაუწერია – „საქართველო“. მართლაც, ამ ტერმინის ხმარება IV საუკუნეში რამდენადმე უჩვეულოა და მეცნიერის მიერ მასზე ყურადღების გამახვილება სრულიად კანონზომიერია. სხვა ნუსხებში იგი არ გვხვდება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოშულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო მირიან მეფემან კმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოთ, ასული ოლილოტოსისა სახელით ნანა“<sup>1</sup>. ე. ი. აქ ჩვენ „საქართველოს“ ხსენებას ვერ ვხვდებით. ბროსესეულ ნუსხაში (ეს ნუსხა გადაწერილია ფლავიანდიშვილისეულიდან 1839 წელს და წარმოადგენს მ. ბროსეს სამუშაო ეგზემპლარს.)<sup>2</sup> თეიმურაზისეულსა და ბარათაშვილისეულ ნუსხებში არის მოცემული ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის ვრცელი ისტორია. ეს ნაკვეთი „სწავლულ კაცებს“ მთლიანად ჩაურთავთ „ქართლის ცხოვრებაში“. სწორედ ამ ჩანართში ვკითხულობთ: „და შემდგომად ამალღებისა უფლებისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღმრთისა მშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა (ხაზგასმა ჩემია – რ. მ.)“<sup>3</sup>. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტერმინი „საქართველო“ არ გამოხატავს მის სრულ შინაარსს. საქართველო ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ წარმოიქმნა (X ს. II ნახევარი – XI ს. დასაწყისი) და მისი სრულყოფილი მნიშვნელობაც აქედან მოდის. ესაა პერიოდი, როცა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ერთეული (ქართლი, კახეთი, პერეთი, ტაო-კლარჯეთი, დასავლეთი საქართველო) ერთ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 66.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 051-052 (ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა).

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.



მოლიან ორგანიზმად გაერთიანდა, ერთი სამეფო ხელისუფლებისა და მეფის (ბაგრატ III) მეთაურობით თვით სრულიად საქართველოს მეფე გახდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“. რაც შეეხება ტერმინ საქართველოს ადრე მოხსენიებას, მას ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, მირიანი ქართლის მეფეა. ქართლი ქართვების ქვეყანაა და გასაკვირი არაფერია, რომ მას საქართველო უწოდონ. ისტორიულ საქართველოში გარკვეულ პერიოდში ქართვები დომინირებენ და ამ სახელის გავრცელებაც არ არის შემთხვევითი (გავიხსენოთ, რომ IX ს-ის დასაწყისში აშოტ I-ის მიერ საფუძველჩაყრილი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა შავშეთ-კლარჯეთს, აჭარას, ნიგალს, სამცხეს, ჯავახეთსა და არტაანს, ქართველთა სამეფოს სახელწოდებას ატარებდა).

ამგვარად, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არუხე წაწერილი „საქართველო“ მიგვანიშნებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში მოცემული ეს ტერმინი კონკრეტული შინაარსისა და განსხვავდება შემდგომდროინდელი საქართველოს მნიშვნელობისაგან.

30-ე გვერდი: „ მოვიდეს: მოციქულნი: ურიათა: იერუსალემს: ურიათა: თანა: მცხეთელთა: ვითარმედ: იგი: რომლისათჳს: მოვიდეს მოგუნი: და შეწირეს: ძღვენი: აღზრდილარს: და: იტყჳს: იგი თავსა: თჳსსა: ძედ: ღვთისა: აწ: წარგვივლენია: ჩუენ: ყოველთა: ურიათა: თანა: რათა: მოვიდენ: მეცნიერნი: სჯულისანი: და: განეიკითხოთ: და განეპრჭოთ: მის: ზედა: და: აწ: თქუენისა: სჯულისა: მეცნიერნი: წარმოვიდენ: და: წარვიდეს: მანდით: ელიომ: მცხეთელი: და: ლონგიოზ: კარსნელი:“ ქვემოთ სქოლიოში ე. თაყაიშვილი მიანიშნებს, რომ ელიომ-ის ნაცვლად ტექსტში უნდა იყოს ელიოზი, ლონგიოზის ნაცვლად — ლონგინოზი; რომ „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეულ ნუსხაში წერია „ქალაქსა ნიკოფისისასა“ (ეს შენიშვნა იმის გამოა, რომ მის მიერ გამოცემულ მარიამისეულ ნუსხაში წერია „ქართლისა ნიკოფისასა“). ამის შემდეგ კი ფანქრითაა მინაწერი 1. „აქ ნახე დამატება ვახტანგისი — ქ. ც. გვ. 39. „რათა სჯული მამათა ჩვენთა... 41 გვერდამდის“ მართლაც ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლადაა მოთხრობილი ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსელის მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის მოტანის ამბავი. აქ დამატებითი შენიშვნის არსი ისაა, რომ სამომავლოდ გამოცემის დონე უფრო მაღალი ყოფილიყო, მასში ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინების გზით. საერთოდ, ფანქრით

დამატებით მიწერილი შენიშვნები რომ დროულად გაკეთებულიყო და ასე გამოქვეყნებულიყო წიგნში, იგი უფრო სრული იქნებოდა და ბევრად მოიგებდა.

ე. თაყაიშვილი მეტად საგულისხმო შენიშვნას აკეთებს 190-ე გვერდზე, სადაც ლაპარაკია, რომ „კეისარმან: აღასრულა: თხოვა: მათი: და: მოსცა: მეფედ: დისწული: მარდატიისი: ვახტანგის-ძისა: ბერძნისა: ცოლისა: რომელსა: ერქუა გუარამ: რომელი: მთავრობდა: კლარჯეთს: ამას: გუარამს: მისცა: კეისარმან: კურატ: პალატობა: და: წარგზავნა: მცხეთას“... აქ არეზე ფანქრითაა ე. თაყაიშვილის მინაწერი: „არ არის ბაგრატიონად ნახსენები“. ეს არსებითი ხასიათის შენიშვნაა, რადგან გუარამი მართლაც ბაგრატიონია და მისი მოუხსენებლობა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში აღნიშვნას იმსახურებს. ვნახოთ იგივე მონაკვეთი ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“. „მაშინ კეისარმა აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატიისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ზოლო ესე გუარამ იყო დედით ზოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატიონნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი. ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას“.<sup>1</sup> გუარამის ბაგრატიონობის შესახებ ცნობა ჩანართია და ყველა ნუსხაში მოიპოვება, გარდა ანასეული, ჭალაშვილისეული და მაჩაბლისეული (მარიამისეულზე ზემოთ უკვე ვთქვით) ნუსხებისა: ბუნებრივია, საჭირო იყო ამ ფაქტის აღნუსხვა და ე. თაყაიშვილის ფანქრით მინაწერიც მას ემსახურება.

197-ე გვერდის არეზე მეცნიერს ფანქრით გამოუტანია თეიმურაზისეულ ნუსხასთან შედარებული ვარიანტები: მაგ: „არა<sup>1</sup>: ისმინა: კეისარმან: ვედრება<sup>2</sup> მისი: და: წარიხუნა<sup>3</sup> ზოლო: ამის: ადარნასეს: ზე: გარდაიცულნეს: სამნი: ქათალიკოზნი:<sup>4</sup> იოვანე:<sup>5</sup> ბაბილა: და: თაბორნ:<sup>6</sup> მოკუდა: ადარნასე: და: დადგა: ძე: მისი: სტეფანოზ: ინდექსები ე. თაყაიშვილის ხელით ფანქრითაა დასმული და თითოეულ ამ სიტყვაზე აკეთებს განმარტებებს: 1. თეიმურაზისეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ „არათ“, 2. „ვედრება „(ესეც თეიმურაზისეული ნუსხიდან); 3. „თეიმურაზისეული უმატებს თანა(თა“), ე. ი. წარიხუნა თანა“ და ა. შ.); 4. თეიმურაზისეული უმატებს „მეთოთხმეტე კათალიკოზი“, 5. თეიმურაზისეულშია „იე“, 6. თეიმურაზისეულში ამ ორი სიტყვის მაგიერ არის „დაბორი“.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218.

ე. თაყაიშვილი გარკვეულ კომენტარს აკეთებს გიორგი I-ის შვილის მცირეწლოვანი ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით („ვითარ: უკუე: მოიწია: წინაშე: მამისა: თყისა: გ ი მეფისა: სახლად: მათდა? იხილეს მშობელთა: მისთა: შვილთა: მსგავსი: განუცდელისა: და: მიუთხრობელისა: სიკეთისა: მისსათყს: შუეძლებელ: არს: კაცთაგან: მითხრობა: იხილეს: რა განიხარეს: სიხარულითა: მიუთხრობელითა: შეწირეს მადლობა: ღთისა: მიმართ: იყო: ქორანიკონი: მას: ჟამსა ს-მ-ე“), აღნიშნავს, რომ ამ ადგილას ბროსესეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემოტანილია თეიმურაზისეული ნუსხიდან ცნობები მელქისედეკ კათალიკოზის საბერძნეთში, კონსტანტინე მეფესთან გამგზავრების შესახებ, სადაც მელქისედეკი უხვად დაუსაჩუქრებიათ. მელქისედეკს შეუძენია სვეტიცხოვლისათვის სოფლები. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები ამოღებულია მცხეთის სიგელიდან. მეცნიერი არ დაუკმაყოფილებია ამ მცირე განმარტებას და შემდეგ ფანქრით აგრძელებს: „ტექსტის ხელი ამ შემატებისა სრულიად იგივეა, რაც მთელი წიგნისა და მერმე არ არის მიმატებული. და არც დატოვებული ადგილზეა მერმე დაწერილი“. ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მინაწერი, ნათელს ჰფენს ბროსესეულ ნუსხაში (ეს ნუსხა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1839 წელსაა გადაწერილი. „ცხოვრება საქართველომსა ვახტანგის მიერ. სვიმონ ტაბიძისაგან გადაწერილი კნიაზ ფალავანდოვისა დედაენით გამო 1839“) ზოგიერთი ფაქტის მოტანის გზებსა და ასაბუთებს მათი ამ ნუსხისათვის ორგანულობას.

257-ე გვერდზე №9 შენიშვნაში (სქოლიო) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „აქ დაბეჭდილს „ქართლის ცხოვრებაში“ შემოტანილია ვრცელი ტექსტი სვეტიცხოვლისათვის, რომელნიც ბაგრატ მეფეს დაუმტკიცებია. ცნობები ეკუთვნის მცხეთის გუჯარს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ“. შემდეგ მეცნიერი ფანქრის მინაწერით აზუსტებს: „ეს ნაწილი გუჯარისა დაწერილია ტექსტისავე ხელით და ახალი სტრიქონითაც არ იწყება თ-ში (ე. ი. თეიმურაზისეულ ნუსხაში – რ. მ.)“. როგორც ვხედავთ, ეს ზემო შენიშვნის ანალოგიურია და განმარტებაც შესაბამისია.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხელით მიწერილი შენიშვნებიდან მოვიტანთ კიდევ რამდენიმეს. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ იქ, სადაც ლაპარაკია დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალებაზე (გვ. 334): „და მადლითა: ღვით: ქმნულთა: ზედა: მუნლა: ყუნა: მისთანა: მეუფებდა: უხრწნელითა: და ბრწყინვალითა: გვირგვინითა: და: პორფირითა: შემკული: სადა: იგი: აწ: მკუიდრ: არს:

და: იქცევის: ნათელსა: შინა: ო თისასა: რამეთუ: იყო: მაშინ: თუე: იანვარი - კ დ: - და: დღე: შაბათი: ოდეს: ქორანიკონი: იყო: ტმ ე, ხოლო: წელიწადნი: მისნი: შობითგანნი მ: ხოლო მეფობდა: ოცდა თოთხმეტ: წელ:“ ე. თაყაიშვილი სქოლიოში განმარტავს, რომ ქორანიკონი ტმ ე, მარიამისეულის გარდა დამოწმებულია ჯანაშვილისეულ ნუსხაში. თუ ძირითად ნუსხებში დავითის ასაკი ორმოცდაცამეტი წლით განისაზღვრება („ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი“),<sup>1</sup> ჯანაშვილის ვარიანტში მითითებული „სამეოც და ერთი“ (ესეც ხელით აქვს მიწერილი ე. თაყაიშვილს). უფრო არსებითია მეცნიერის მიერ სქოლიოში ხელით მიწერილი განმარტება დავით IV აღმაშენებლის მეფობის წლების რაოდენობასთან დაკავშირებით. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“. როგორც ზემოთ მოვიტანეთ, წერია: „ხოლო მეფობდა ოცდა თოთხმეტ წელ“. მეცნიერს აქ ინდექსი გაუკეთებია და სქოლიოშიც დაუმატებია: „ჯან. ვარ: ოცდაათექვსმეტ წელ“. მართლაც, დავით IV აღმაშენებელი გამეფდა 1089 წელს, გარდაიცვალა 1125 წელს. ე. ი. იმეფა 1125-1089=36 წელი. ს. ყაუხჩიშვილისეული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი სწორედ ამას ადასტურებს: „რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქორანიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობდა ოცდათექვსმეტ წელ“.<sup>2</sup>

განსაკუთრებულად უხვადაა შენიშვნები წიგნის იმ ნაწილის მიმართ, სადაც დაბეჭდილია სუმბატ დავითის ძის თხზულება: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. სათაურის გასწვრივ არეზე ე. თაყაიშვილს მიუწერია „იხ. დ. კარიჭაშვილი, ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი? „ძვ. საქ.“ ტ. I, გვ. 36-41“. ამ ნაშრომის პირველი გვერდიდანვე მეცნიერი არსებითი ხასიათის შენიშვნებსა და განმარტებებს აკეთებს, ამასთან, ასწორებს დაშვებულ შეცდომებსაც, საქმე ისაა, რომ თხზულების სათაური მოცემულია მთლიანად, სრულად: „ცხოვრება: და უწყება: ბაგრატიონიანთა: ჩუენ: ქართველთა: მეფეთასა: თუ: სადათ: მოიწივნეს: ამას ქუეყანასა: იგი-

<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 362-363.

ნი: ანუ: რომლით: ჟამითგან: უპყრის: მათ: მეფობა: ქართლისა: რომელი: აღწერა: სუმბატ: ძემან: დავითისმან? ექვთიმე თაყაიშვილი მიმოიხილავს ამ სათაურს, მის ცალკეულ ნაწილებზე აკეთებს შესაბამის ინდექსებს და განმარტავს. ასე მაგალითად: „ცხოვრება და უწყება“ – პირველი ინდექსით სქოლიოში მითითებულია, რომ თეიმურაზის ვარიანტში არის „ცხოვრება და უწყებაჲ“. „ბაგრატიონინათა“-ს შესახებ გამოცემული გვამცნობს, რომ „თეიმურაზის ვარიანტში“ „ბაგრატიონთა“ წერია. საქმე ისაა, რომ შემდეგი დაკვირვების შედეგად არ აღმოჩნდა განმარტება სწორი და ე. თაყაიშვილს „სიტყვა“ „თეიმურაზის“ ფანქრით გადაუშლია და დაუტოვებია „ვარიანტში“ – ბაგრატიონთა, როგორც ჩანს, მეცნიერს აშკარა უზუსტობა შეუმჩნევია თავისი გამოცემული წიგნის ამ გვერდზე №3 ინდექსის ქვეშ განმარტებაში. აქ განმარტებულია სათაურში მოცემული „თუ სადათ მოიწივნეს“ – „თეიმურაზის ვარიანტში: თუ სადით მიეწივნეს“. ე. თაყაიშვილს ეს სტრიქონი მთლიანად გადაუშლია ფანქრით და ფანქრითვე გვერდით მიუწერია: „ესეა, როგორც მარიამისაში“.

როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერის შემოქმედებითი პროცესი არ სრულდება წიგნის გამოცემაზე. იგი გამოცემულზეც თავაულებლად, ძალხვდ სკრუპულოზურად მუშაობს, გამოწველილვით კითხულობს, ადარებს და ასწორებს ტექსტებს. ე. თაყაიშვილის მინაწერები მეცნიერის სამუშაო პროცესის ნათელი მაჩვენებელია და მიუთითებს მის მაძიებლურ ბუნებაზე, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და მიღწეულით დაუკმაყოფილებელ ხასიათზე.

ნიშანდობლივია, რომ წიგნის 338-ე გვერდზე სქოლიოში წაშლილია ფანქრით ოთხი განმარტება და იქვე აქვს მიწერილი სწორი შეფასებები. კერძოდ: ორგან შეცდომით, უზუსტოდაა მოტანილი განმარტება და მეცნიერი ასწორებს მას. აქვე მიუთითებს, რომ თეიმურაზის ვარიანტში ორი სიტყვის მაგიერ: სიენიეთს: ასპურაგანს, მერმე მიმატებულია: მოკუდა კათალიკოზი სვიმონ და დაჯდა კათალიკოზად სამოელ. შემდეგ მეცნიერს ფანქრით მიუწერია: „ეს სიტყვები სტრიქონ ზვეილამ არის ჩამატებული. არშიაზე ამ სტრიქონს უწერია ხუცურად: კზ ი მეცხრე“ (კათალიკოსი მეცხრე – რ. მ.).

339-ე გვერდზე, სადაც გადმოცემულია გუარამის ქართლის ერისთავად დანიშვნა, საგანგებო ნიშანი აქვს გაკეთებული და მეცნიერი განმარტავს (ზედა არშიაზე არის მინაწერი ფანქრით): „თავიდან დაწყებული აქამდის ტექსტი თეიმურაზის ვარიანტში შე-

წყვეტილია. თეიმურაზი აქ უმატებს სათაურს: მეოცდაათცხრამეტე გუარამ კურაპალატი ქართლისა ბაგრატიონი: ეს გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესაენი არიან ამა გუარამ კურაპალატისანი“<sup>1</sup>.

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერის თხზულების ტექსტში გუარამი ბაგრატიონის გვარის მოუხსენიებლად იყო დასახელებული და ამის თაობაზე არეზე გააკეთა მინაწერი. ამჯერად ასევე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მეცნიერმა ამ პიროვნებისა და მისი მეფობის გადმოცემასთან. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილი უპირატესად თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან შედარების შედეგებს მიაწერს ფანქრით, სხვა მხრივ, შედარება-ანალიზისა და სხვადასხვა ვარიანტებთან საფუძვლიანი შეჯერების დიდი კვალი აშკარად ამჩნია გამოცემას და სწორედ ამითაა ღირებული იგი.

ექვთიმე თაყაიშვილის დამახსურებაა ისიც, რომ მან ვრცლად მიმოიხილა „ქართლის ცხოვრების“ ის ნუსხები, რომლებიც „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მუშაობის შედეგად იქნა მიღებული, ე. წ. ვახტანგისეული ნუსხები და დაადგინა:

მოცემულ ნუსხებს ახასიათებთ: ტექსტის დაყოფა თავებად, ძველი ტექსტის დამახინჯებული ადგილების შესწორება-შეკსება; დემეტრე I-ისა და დავით V დემეტრეს ძის ისტორიის ჩართვა, ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვაობა; „ქართლის ცხოვრების“ შეკსება XIV-XVII საუკუნეთა ისტორიით.

გამოკვლევა, რომელშიც ზემოხსენებული საკითხებია მოცემული, ე. თაყაიშვილმა 1906 წელს დაწერა (Описание II, გვ. 34-114). იმ დროს ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციის მხოლოდ ერთი ნუსხა — მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ იყო ცნობილი და ამდენად „მეცნიერ კაცთა“ მუშაობის შედეგების შეფასება ამ ნუსხასთან შედარებით ხდებოდა. ამასთან, რაც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდგდროინდელ ნუსხებში მოიპოვებოდა და მარიამისეულ ნუსხებში არ იყო, ის მიიჩნეოს „მეცნიერ კაცთა“ მიერ შეტანილ დამატებად და შესწორებად.<sup>2</sup> როგორც ცნობილია, შემდეგ კიდევ სამი ნუსხა აღმოჩნდა, რომლებშიც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციითაა

<sup>1</sup> შტრ. სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 374.

<sup>2</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 025.

წარმოდგენილი. ესენია: ანასეული (1913 წ.), ჭალაშვილისეული (1923 წ.) და მანაბლისეული (1942 წ.) ნუსხები, რომელთა გამომზეურებამ ნათელი გახადა, რომ შესწორებათა და დამატებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოიპოვებოდა და „მეცნიერი კაცების“ ხელი მათ არ შეხებიათ.

დავუბრუნდეთ ექვთიმე თაყაიშვილის მარგინალიებს. 339-ე-340-ე გვერდებზე არსებული ტექსტის („და: იყო: მას: ჟამსა: მცხეთის:

კ`ზი: სამოელ: და: ამის: ზე: ტფილისისა: მკედრთა: ეკლესიისა: გუბად: იწყეს: რომლისა: ნახევარსა: ყოველი ერი: აშენებდა: და: ნახევარსა: ერთი: ვინმე: დედაკაცი:“ (გასწვრივ ფანქრითაა მინაწერი: თ. (თეიმურაზი – რ. მ.) უმატებს: და ამანვე კურაპალატმანცა განაახ-

ლა საფუძველი ტფილისის სიონისა: რ. ნთესენი მირიან მეფისა

მორწმუნისაი. ყ`ნივე ეკლესიათა მაშენებლნი იყნეს“. რა თქმა უნდა, ამ დამატებით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მოცემული მონაკვეთი უფრო სრულყოფილად წარმოდგება. 340-ე გვერდზე, სადაც წერია „და: ჰრქუა: ჰერეკლე: მეფისა:“ ე. თაყაიშვილს საჭიროდ მიაჩნია თეიმურაზის ტექსტის მოტანაც: და იქვე ფანქრით სქოლიოს ქვემოთ მიაწერს: „თ-ში (თეიმურაზისეულში – რ. მ.) ამ ოთხი სიტყვის მაგიერ: „აგინა ერეკლე მეფესა და ჰრქვა“. იქვე, სადაც ვარაზ გაგელზეა ლაპარაკი, ე. თაყაიშვილი ფანქრით სვამს ინდექსს და სქოლიოში მოაქვს ადგილი თეიმურაზის ნუსხის ტექსტიდან: „წნელ სცა ჰერაკლემ ერისთავსა ვარაზს გაგელს“. ეს ამბავი მარიამისეულ ნუსხაში არაა შეტანილი. მეტად საგულისხმოა მინაწერი 342 გვერდის არეზე: „სიტყვებიდან: და კათალიკოზი იყო მცხეთის ბართლომე (გვ. 340)“. აქამდე ცალკე ტექსტი არ არის თეიმურაზისეულში მსგავსი სუმბატისა, არამედ შესულია სუმბატის და ქარ. ცხ-ბის ტექსტი ერთმანეთში, როგორც სხვა ვარიანტებში“. აქ კომენტარი ზედმეტია. იმავე გვერდზე, არეზე ვკითხულობთ: „სიტყვებიდან: და დაჯდა ტფილის ცხოვრებად, აქამდე არის ჩაყრებული თეიმურაზისეულში“. ამავე არეზე კიდევაა კონკრეტული მითითებები სხვადასხვა ნუსხათა ტექსტებში არსებული სხვაობის შესახებ.

344-ე გვერდზე იქ, სადაც არაბთა შემოსევაზეა ლაპარაკი, ე. თაყაიშვილი საჭიროდ თვლის, დაამატოს ტექსტი თეიმურაზისეული ვარიანტიდან „თ. (თეიმურაზი – რ. მ.) უმატებს: და მისსა

შ დ მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაქით და დაიპყრა სომხეთი, ქართლი და პერეთი“). 346-ე გვერდის არეზე ე. თაყაიშვილი სხვადასხვა ტექსტების შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნას გვაცნობს: „სიტყვებიდან: და იწყებს ძიებად (გვ. 242) აქამდე (ე. ი. 346-ე გვერდამდე არსებული ტექსტი – რ. მ.) შეტანილი ყველა ქარ. ც-ბის ვარიანტებში და თ-ში (თეიმურაზისეულში – რ. მ.)“ მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ მოყოლებული ტექსტიდან: „და: იყუნეს: ძენი: უხუცესისა: მის: ძმისა: მათისა: აშოტის: ძისა: ადარნასესნი“: არსებული ცნობები მარტო თეიმურაზის ვარიანტშია. ამას თეიმურაზისეულ ნუსხაში წინ მიუძღვის ადარნასეს ისტორია, თუმცა სათაური ადარნასეს მეფობისა არ არის თეიმურაზისეულში. აქ, როგორც ე. თაყაიშვილი წერს, ტექსტი იწყება ფრაზის შემდეგ: „და მოკლა ადარნასე ძე იოანესი და დაიპყრა აფხაზეთი. ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვედით ღმერთმა ოდეს წარუმართა ბაგრატს აშოტ კურაპალატის ძესა ხელმწიფება მათი“ (ბრჭყალები ჩვენ შემოგვაქვს, იგი ე. თაყაიშვილს არ უწერია – რ. მ.) იქვე (346-ე გვერდის სქოლიოს ქვემოთ) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: სიტყვებიდან „ხოლო რაჟამს სრულ ასაკ“ აქამდე არის თ-ს (თეიმურაზის – რ. მ.) ვარიანტში, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ჩამატებითა და ადგილების შეცვლით (გვ. 125 recto). ვფიქრობთ, ამ მინაწერების მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეცნიერი თავის დაკვირვება-შემეცნებას, შენიშვნებს შემდეგ გვერდებზედაც უხვად გვაწვდის თავისუფალ არეებზე მინაწერების სახით. 352-ე გვერდზე, სადაც მოცემულია ფრაზა, „ესე: ბაგრატ: მეფე: იქმნა: აფხაზეთს: და: მისთვის: გურგენს მეფეთ მეფობა“. აქ ინდექსია გაკეთებული და ე. თაყაიშვილის სქოლიოში განმარტავს: „თეიმურაზისეულ ვარიანტში უმატებს: „ეწოდა“. მართლაც ამ სიტყვის გარეშე დაუმთავრებელია აზრი. ამ სიტყვით კი „გურგენს მეფედ-მეფობა ეწოდა“, იგი ნათელია. უკვე მოგვიანებით ე. თაყაიშვილს „ეწოდოს“ წინ სქოლიოში ფანქრით ჩაუმატებია „მეფობაჲ“, ხოლო „ეწოდოს“ შემდეგ „(137 verso)“. ამასთან „მეფედ-მეფობა“-სთვის ინდექსი (ჯვარი) დაუსვამს ფანქრით და სქოლიოშიც მიუწერია „აქ თ-ს ვარ. (თეიმურაზის ვარიანტი – რ. მ.) მიმატებულ ფურცლებზე წერს: ს ჩნ პლსვე სიტყსა ზა მოვიდეთ. ხ ბაგრატ ძე დემეტრესი და სხვა“.

ე. თაყაიშვილი 353-ე გვერდზე ფრაზასთან: „მოისრნეს: ყოველნი: სიკუდილითა: პატიმრობასა: შინა“: ფანქრით ჯვარსა სვამსა და



სქოლიოს ქვემოთ ფანქრითვე აკეთებს წარწერას „თ. (თეიმურაზისეული) აქ უმატებს: ხ. ჩნ ჰლსავე სიტყვასა ზა მოვიდეთ რ. ეს კდ გამოვიდა ყითა სპითა და თსითა“... მეცნიერის ყველა შენიშვნა არსებითი ხასიათისაა და მათი გათვალისწინების საჭიროება უდავოა. ჩვენ უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ბევრი რამ ე. თაყაიშვილისაგან დამოუკიდებლად შესწავლილ-შეჯერებული აქვს ს. ყაუხჩიშვილს და „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურ გამოცემაში გათვალისწინებულია, ამასთან, მიგვაჩნია, რომ ე. თაყაიშვილის მარგინალიები დეტალურადაა შესასწავლი. ეს კიდევ ბევრ სიახლეს შეიტანს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცოდნაში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მეცნიერის მინაწერები მნიშვნელოვანწილად ამდიდრებენ მისსავე გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“.

მოვიტანოთ კიდევ ე. თაყაიშვილისეულ ორიოდ მარგინალიას. 356-ე გვერდზე, ფრაზის „ხოლო: ღმერთმან: ბასილის: დიდად: შეშინებულსავე: პატივ: სცა:“ შემდეგ მეცნიერი სათანადო ნიშანს სვამს და არეზე ფანქრით მინაწერში გვაუწყებს, რომ აქ თეიმურაზისეულ ნუსხაში ჩამატებულია: „და მოკლა წარვიზი ქსიფე და გადგეს რნი მირთულ იყნეს. ხ. ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვაზისა რ შეიტყუეს ციხესა ყნივე ერთნი მისად მომდგომელნი შეიცვეს ციხესა შა და ილასანოსთა სისხლისთს ფოკას ძისა“. ამავე გვერდზე გიორგი I-ისა და ბასილი კეისრის კონფლიქტის ამბავია მოთხრობილი და კერძოდ აღნიშნულია „ხოლო: თვით: გიორგი: მეფე: უკანა: ისრე: განვიდა: ზავად: წადური: ლაშქრითა: დიდითა: და ძლიერითა: გარნა: ორკერძოვე: მზაკუარნი: იგი: აზნაურნი: არა: მიეშურნეს: გიორგის: ყოვად: ზვისა:“ სიტყვა „ძლიერითა“-სთან ე. თაყაიშვილს ფანქრით ინდექსი აქვს დანიშნული, არეზე კი წერს: „უმ. (თეიმურაზისეული უმატებს — რ. მ.): და განიზრახვიდა ესრეთ უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან იქმნას ასრეთ. და უკეთუ ინებოს ომი გნვემზადნეთ მისთს. ხ რ მელთა არაჲ უნდა ყოფად მშვიდობისა იწყეს განმზადებად ბრძოლად“.

ე. თაყაიშვილს მეტად საინტერესო დაკვირვებები აქვს მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ტექსტზეც. იგი აჯერებს მას ვახტანგისეულ ნუსხასთან, წარმოაჩენს დამთხვევებს თუ განსხვავებებს.

469-ე გვერდზე შამქორის ბრძოლის შეფასებაა მოთხრობილი. ფრაზასთან „მოვიდეს: შანქურელნი: და: მთართვეს: კლიტენი:“ ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტი უმატებს: „აღება შანქურისა და წინა მოგებება ვედრებით განსჯილთა“. მეც-

ნიერს მიაჩნია (ეს მსჯელობა ფანქრითაა დაწერილი), რომ ეს ან სათაურად ყოფილა, ან არშიაზე წერებულა შენიშვნად და გადამწერს ტექსტში შეუტანია. ანალოგიური შენიშვნაა გაკეთებული 481-ე გვერდზე. აქ ზაქარია და ივანე მხარგრძელთა შესახებაა მოთხრობილი. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტში მიმატებულია: ამირ სპასალარისა და იე მსასურთუხუცესი და იე კახის შესარჩლება (ფ. 232) და ფიქრობს, რომ ეს ან სათაური ყოფილა, ან არშიაზე იქნებოდა შენიშვნა და გადამწერს ტექსტში შეუტანია. იოანე კახელი ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელი ნაკლებად ატყვია ჟამთააღმწერლის თხზულებას. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია დამატებები. დამატება I — აპოკრიფიული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს; დამატება II — გაგრძელებანი „ქართლის ცხოვრებისა“; დამატება III — ვარიანტები თეიმურაზის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისა მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან. აქედან მარგინალიების თვალსაზრისით გამორჩეულია მეორე დამატება: „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებანი. ეს გაგრძელებები, როგორც ე. თაყაიშვილი გვაუწყებს: „იბეჭდება მეგრელიის ვარიანტის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში, თავისივე ნიშნებით. რაც მეგრელიის ვარიანტს აკლია ბოლოში, ვაკვებთ ბარათაშვილის ვარიანტიდან“ (გვ. 850). ამასთან, სქოლიოებში ნაჩვენებია ის სხვაობანი, რაც ბარათაშვილისეულ ხელნაწერსა და ბროსეს გამოცემაშია. წარწერები ე. თაყაიშვილის ხელით მელნითაა შესრულებული. 855-ე გვერდზე, იქ, სადაც ნათქვამია: „აღესრულა დავით და დაჯდა მის წილ ძე მისი გიორგი“, მეცნიერს ნიშანი დაუსვამს ქვემოთ და მიუწერია: „თავიდან აქამდე სრულებით არ არის ჯანაშვილის ხელნაწერში“. იმავე გვერდზე, სადაც წერია: „დღესა ერთსა შეკრბეს ვანად მისსა, მიუვლინდეს და ეტყოდეს“, ე. თაყაიშვილი აკეთებს შენიშვნას, რომ აქედან აკლია ჯანაშვილის ხელნაწერს. აქ შემდგომაცაა მითითებული ტექსტები, რომლებიც აკლია ჯანაშვილისეულ ნუსხას (გვ. 857). 887-ე გვერდზე აღნიშნულია: „ოდეს ლანგთემური მოვიდა, და მაშინ შეინახეს დიდოეთს ძე ბაგრატიისა და ძმა გიორგისა დავით (ლაპარაკია XIV საუკუნის მიწურულში თემურ-ლენგის შემოსევების დროს ბაგრატი მეფის ძის დავითის შესახებ — რ. მ.)“. ე. თაყაიშვილს მელნით გაუკეთებია ჩამატების ნიშანი და სქოლიოს ქვემოთ მიუწერია: „ჯან ვარ-ში (ჯანაშვილისეულ ვარიანტში — რ. მ.): და ხანსა რაოდენსამე მოკუდა მეფე

გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით ქრისტეს აქეთ: ჩტნე.“

ე. თაყაიშვილს არც „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელება („სახელითა ღ ისათა ისათა: აწ ვიწყით ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა.“) დაუტოვებია უყურადღებოდ. ეს ტექსტიც შეუდარებია მეცნიერს ჯანაშვილისეული ნუსხისათვის ძირითადად და შემჩნეული სხვაობანი, რაც მიზანშეწონილად მიუჩნევია, მელნით მიუწერია. ის ჩამატებები, რასაც ე. თაყაიშვილი აკეთებს, არსებითა და აესებს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს. 895-ე გვერდზე მოთხრობილია: „და მოვიდა კონსტანტინე თათართათ ყაენისაგან შეწყალებული: მას უკანის მძლევექმნა სულთანსა იალუბს, დაიყრა პატრონობა“. ე. თაყაიშვილი მიაწერს, რომ ეს ამბავი არ არის ჯანაშვილისეულ ნუსხაში. ამ უკანასკნელში ასეა: „ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატიისა: დაჯდა მის წილ ძე მისი კონსტანტინე ქრისტეს აქეთ ჩყთა: ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით“. 903-ე გვერდზე ისევ ჯანაშვილისეული ნუსხიდან მოაქვს მეცნიერს ტექსტი: „ესე მეფე კონსტანტინე იყო ძე ბაგრატიისი; და იმეფა ამანცა კეთილად, ვა ცხოვრება მისი მოგვითხრობს და მოკუდა კონსტანტინე მეფე ქრისტეს აქეთ: ჩყდ: და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე: ქრისტეს აქეთ ჩყ: და მას ჟამსა იყო კ ზი დავით და მოკუდა: და დაჯდა ნიკოლოზ:“

ერთი ფრიად საგულისხმო მარგინალია გაუკეთებია მეცნიერს 962-ე გვერდზე, იქ, სადაც მოთხრობილია მანუჩარ დადიანისა და მისი ძის ლეონის შესახებ, ფრაზის „ამას ჟამსა შინა მოკუდა ცოლი დადიანისა ნესტან დარეჯან. და შეირთო ასული ათაბაგისა თამარ“. შემდეგ, როგორც ე. თაყაიშვილი სქოლიოში მიუთითებს, ბართაშვილის ვარიანტში ცარიელი ადგილია დატოვებული. არეზე კი მეცნიერი მიაწერს: „აქ უნდა თავდებოდეს დედანი მესხური დავითნისა“.

ექვთიმე თაყაიშვილისეულ დაკვირვება-შენიშვნების მეტ მაგალითს აღარ მოვიტანთ. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ დიდი მეცნიერის მუშაობის ფართო მასშტაბები წყაროთმცოდნეობაში, მისი ფართო ერუდიცია, სიღრმე, სიფრთხილე აზრის გამოთქმისას. მის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ვარიანტის ჩვენს ხელთ არსებული ეგზემპლარი გამომცემლის მიერ წაკითხულია უდიდესი გულისყურით, კრიტიკულად. ჩანს, რომ მეცნიერი მასზე მუშაობას კვლავ აგრძელებდა. ე. თაყაიშვილის მარგინალიები მრა-

ვალმხრივია: ეხებიან წიგნის შინაარსობრივ მხარეს, ამდიდრებენ მასალებით, სხვადასხვა ნუსხებიდან ზოგ შენიშვნას უარყოფენ (უზუსტობა გამოვლენილია შემდგომი შესწავლა-დაკვირვებისა და სხვა ტექსტებთან შეჯერების შედეგად), ზოგს აზუსტებენ, აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა მოვლენაზე. ერთი სიტყვით, ე. თაყაიშვილის ამ მინაწერებს არსებითი მნიშვნელობა აქვს და დიდი მეცნიერის შემოქმედებით ცხოვრებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, წარმოაჩენენ მას, როგორც დიდ პიროვნებას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულსა და მეტის მომთხოვნს.

ექვთიმე თაყაიშვილის მოწამეობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მოქალაქეობრივი გმირობა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. დღესდღეობით სათანადოდაა დაფასებული დიდი მეცნიერის ღვაწლი. მის მეცნიერულ ნაშრომებს თუ საზოგადოებრივ საქმიანობას ფართოდ ეცნობა ჩვენი ხალხი. წინამდებარე ნარკვევში მოტანილი მასალა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ექვთიმე თაყაიშვილის დიდ მეცნიერულ ღირსება-თვისებებს და მიგვაჩნია, რომ მის შესახებ არც ერთი უმნიშვნელო ფაქტი თუ მოვლენა შეუსწავლელ-გამოუმზურებელი არ უნდა დარჩეს. მარგინალიები, შეიძლება ითქვას, წიგნის არეებზე გაკეთებული უბრალო წარწერებია, მაგრამ, როცა დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ხელიდანაა გამოსული, მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

(დავით აღმაშენებელი და კატრე პირველი)

პარალელური ბიოგრაფიების ჟანრი ისტორიოგრაფიაში პლუტარქემ დაამკვიდრა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. „ბიო პარალელო“ — ძველი ბერძენი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერასთან ერთად გადმოსცემს მისი ბადალი რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიას და მკითხველს აძლევს საშუალებას, ერთმანეთს შეუდაროს ეს ორი ისტორიული პირი. ასე მაგალითად, თეზევსის ბიოგრაფიის გვერდით აღწერილია რომულუსის ცხოვრება. ასევე დაწყვილებულია სოლონი — პუბლიკოლა, პერიკლე — ფაბიუს მაქსიმუსი, ალკიბიადე — გაიუს მარციუსი (კორიოლანუსი), კიმონი — ლუკულუსი, აგესილაე — კომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი — იულიუს კეისარი, დემოსთენე — ციცერონი და სხვ. პლუტარქეს ნაშრომს უდიდესი გამოძახილი ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში, მისი განვითარების ბევრ ეტაპზე. რენესანსის ეპოქაში, თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს გატაცებით კითხულობდნენ „პარალელურ ბიოგრაფიებს“. შექსპირი და რასინი უხვად დაეწაფნენ პლუტარქესეულ თემებს. აღფრთოვანებული იყვნენ ამ ნაწარმოებით ვოლტერი, რუსო, ბელინსკი, პლუტარქეს ძველი ქართული მწერლობაც კარგად იცნობდა.

ამჯერად ჩვენი მიზანია გავიხსენოთ ეს ჟანრი და წარმოვაჩინოთ პარალელურად ორი ისტორიული მოღვაწე — დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი. 600 წელი აშორებს ერთ მეფეს მეორე მეფისაგან, ერთ ეპოქას მეორე ეპოქისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მეტად საინტერესოდ ემსგავსება ერთმანეთს ამ ორი ძველი ხალხის ისტორიაში. უმთავრესი ის არის, რომ სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია საქართველომ, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა განსაკუთრებულ სიძლიერეს; ერთიცა და მეორე სახელმწიფოც სწორედ ზემოხსენებულ მეფეთა მოღვაწეობის დროს იქცნენ ცენტრალიზებულ ქვეყნებად. ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლებაც, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცენტრალი-

ზებული სამეფო ხელისუფლება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი გვაუწყებს: „ და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლი ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.<sup>1</sup>

ასევე ფართოა რუსეთის საზღვრები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. აშკარად ჩანს ქვეყნის სიძლიერე პეტრე პირველის ერთ სიგელში: „Божиею поспешествующею милостию мы, пресветлейший да державнейший великий государь, царь и великий князь Петр Алексеевич, всеа Великия и Малыя и Белья России, самодержец московский, киевский, владимерский, новгородский, царь казанский, царь астраханский, царь сибирский, государь псковский да великий князь смоленский, тверский, ёгорский, пермский...“<sup>2</sup> და სხვ.

სწორედ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა რუსეთი ბალტიის ნაპირებზე და მოიპოვა უმოკლესი სავაჭრო გზა ევროპასთან.

აი, ყოველივე ამისთვის, არსებითი მსგავსებისათვის მიმოვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის 600-წლოვანი ინტერვალის მქონე მოღვაწეობას.

---

<sup>1</sup> ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1065, გვ. 19.

<sup>2</sup> Полномочная грамота И. Х. Урбиху и австрийскому императору Карлу VI, Письма и бумаги императора Петра Великого, т. XII, 1975, стр. 217.

„დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა,  
რანთა, კახთა და სომეხთა“

დავით აღმაშენებლის სამეფო  
ტიტული (ზედწერილი დავითის  
მონეტაზე, წარწერა მის  
ოქროს ჯვარზე).

”Божию милостию мы, Петр  
Первый царь и самодержец все-  
российский, и прочая, и прочая,  
и прочая“.

პეტრე პირველის  
სამეფო ტიტული.

ამთავითვე მოვიტანთ რამდენიმე ქრონოლოგიურ ფაქტს. დავით აღმაშენებელი დაიბადა 1072/3 წელს, 600 წლის შემდეგ 1672 წლის 30 მაისს დაიბადა პეტრე პირველი. XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი მეფედ იწოდებოდა და ნომინალურად სახელმწიფოს თანამმართველის უფლებები ჰქონდა. 600 წლის შემდეგ 1682 წლიდან პეტრე პირველიც ნომინალურად შეუდგა ქვეყნის მართვას. 1089 წელს დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა. 600 წლის შემდეგ 1689 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფაქტობრივი ერთმმართველი შეიქნა. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. 600 წლის შემდეგ 1625 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა პეტრე პირველი.

ახლა კი ამ მეტად საინტერესო დამთხვევებს მიღმა უფრო ღრმად გადავიხედოთ საქართველოსა და რუსეთის წარსულში.

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდემის ტომების – სელჩუკების გამოჩენა იყო. სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები მხნედ ებრძოდნენ მომხედურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეიდებინათ. სელჩუკთა შემოსევები დიდ ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მტრები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი... მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი“. ასეთი უბედურება საქართველოს არასოდეს ენახა. სელჩუკები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარეები იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად დიდი მოძალებისა, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე – გიორგი II (1072-1089 წწ.) სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა, თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მშვიდობიანობა მაინც არ ჩანდა – მომთაბარე თურქების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი ჩანს მეფის თანამმართველად. დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ 1085 წლის მინაწერში იგი უკვე მეფედ და სევასტოსად იხსენიება: „დაესრულა საწელიწადოჲ საწი-

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 318-319.



ნასწარმეტყველოა წესსა, ზედა ბერძულსა, ახალთაგმნილი წ<sup>ა</sup>სა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წ<sup>ა</sup> ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლაერისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვითთ-გურგ<sup>ა</sup>ნოსანთა ჩუენტა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა<sup>1</sup>. ბუნებრივია, ქვეყანას განაგებდა მეფეთა მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად სამეფოს მართვის ნომინალური უფლებები მის მცირეწლოვან შვილსაც კჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული — გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი — შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი.

\* \* \*

რა მდგომარეობაა XVII საუკუნის რუსეთში? რუსეთი უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმის ობიექტადაა ქცეული. მას არ გააჩნია არც მოსახერხებელი საზღვაო ნავსადგურები, არც განვითარებული მრეწველობა, არც გაწვრთნილი არმია და ფლოტი. რუსეთის სახელმწიფო ძალზე ნელა ვითარდებოდა. 60-70-იან წლებში რუსეთს აშკარა საფრთხე შეექმნა თურქეთის მხრიდან. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც მარჯვენა ნაპირის უკრაინის გეტმანი დოროშენკო თურქეთის მხარეზე გადავიდა, პრეტენზია განაცხადა მთელს უკრაინაზე. ერთი სიტყვით, რუსეთს სჭირდებოდა ქმედითი ღონისძიებების გატარება თურქეთის წინააღმდეგ, საერთოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება...

1672 წლის 30 მაისს კრემლის ტაძართა ზარებმა მოსახლეობას უფლისწულის დაბადება აუწყა. ეს უფლისწული პეტრე გახლდათ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შვილი. პეტრე 42 წლის ალექსი მიხეილის ძეს შეეძინა 21 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინასთან ქორწინების შემდეგ. ვაჟის შეძენა სასიხარულო იყო მეფისათვის იმიტომაც, რომ პირველ ცოლთან მარია ილიას ასულ მილოსლავსკაიასთან შეძენელი ხუთი ვაჟიდან — სამი

<sup>1</sup> თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 232.

მცირეწლოვანი გარდაიცვალა, თვედორე და ივანე კი ავადმყოფები იყვნენ. პეტრეს დაბადება ზარ-ზეიმით აღინიშნა. ოთხი წლისაღ არ იყო იგი, რომ ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა და მისი ადგილი 1676 წელს თვედორემ დაიკავა. უფრო სწორად, იგი ბოიარებმა ხელით გამოიტანეს და მეფედ გამოაცხადეს. 1682 წელს თვედორე ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებია. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ივანე, ან პეტრე. ერთსაც და მეორესაც თავიანთი მომხრეები ჰყავდათ. ივანეს მხარს უჭერდნენ ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის ნათესავები, რომელთაც სათავეში უდგა ბოიარი ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკი. ამ დაჯგუფებაში დიდ როლს თამაშობდა მეფის ასული სოფიო — ენერგიული და უფლებისმოყვარე ქალი, რომელიც თვითონ ოცნებობდა სამეფო გვირგვინზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, როგორც უფროსს, ივანეს ეკუთვნოდა ტახტი, პატრიარქის წინადადებით მეფედ პეტრე გამოაცხადეს და რევენტად დედამისი ნატალია ნარიშკინა დაუნიშნეს. ეს უკანასკნელი, როგორც მისი თანამედროვე თავადი ბორის ივანეს ძე კურაკინი გადმოგვცემს, იყო "Доброго темпераменту, доброжелательного, токмо не была ни прилежная и не искусная в делах и ума легкого".

სასახლის კარზე საქმის ვითარება იმგვარად წავიდა, რომ სტრელცთა მოთხოვნით სახელმწიფოს მართვა ორივე ძმას — პეტრეს და ივანეს დაეკისრათ, მათივე დაჟინებით ძმების მცირეწლოვანების პერიოდში სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი მეფის ასული სოფიო გახდა. ამდენად 1682 წლიდან 7 წლის მანძილზე პეტრე მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა რუსეთის მეფედ.

## ბამეშება

XI ს-ის 70-80-იან წლებში ძლიერდებიან მეფის მოწინააღმდეგე ძალები — აღინიშნება საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლები. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითების გზას ადგა. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას დაერთო სტიქიური უბედურებანი — მთელი წლის განმავლობაში დიდ მიწისძვრები ყოფილა და მრავალი ადამიანიც უმსხვერპლია. ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ სამეფო კარი და თვით საქართველო

ველოს მეფე გიორგი II ცოდეილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდნენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა“).

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, გარკვეული ზეწოლის შედეგად, მოხდა ცვლილება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II 1089 წელს გადადგა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა. „ბუნელსა უკუნსა შინა, — გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი, — იწყო აღმოცინსკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თუთ სამეოცდამეათურამეტემან შეილმან ამის დავითისმან დავით“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 323-324).

მძიმე მემკვიდრეობა ზედა წილად თექვსმეტი წლის დავითს — სელჩუკებისაგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოხრებული იყო ქართლი და თქნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“.

ქვეყნის მოსალონიერებლად გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო.

\* \* \*

როგორ მიდიოდა პეტრეს ცხოვრება 7 წლის მანძილზე — მისი ნომინალური მმართველობის დროს? იგი დედასთან — დედოფალ ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად სოფლებში — ვორობიოვოში, კოლომენსკოესა და პრეობრაჟენსკოეში. სასახლის კარზე პეტრეს, ისე როგორც მის ძმას ივანეს, მხოლოდ დეკორატიული როლი ჰქონდათ განკუთვნილი: ესწრებოდნენ სხვადასხვა ზეიმებს, ელჩების მიღებას, მონაწილეობდნენ საეკლესიო

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 323.

ცერემონიალებში. ძმებისათვის ორადგილიანი სამეფო ტახტი დაამზადეს. ქვეყანას ფაქტობრივად სოფიო განაგებდა.

პეტრეს 17 წელიც არ შესრულებოდა, რომ დედამისმა მისი დაქორწინება გადაწყვიტა. ნატალია ნარიშკინას ვარაუდით, ქორწინების შემდგომ სრულწლოვან და სრულფასოვან მეფეს მისი დის მეურვეობა აღარ დასჭირდებოდა და პრეობრაჟენსკოედან კრემლის პალატებში გადასახლდებოდა.

დედამ თვითონ შეურჩია შვილს საცოლე ევდოკია ლოპუხინა, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ლამაზი ყოფილა ("лицом изрядная, токомо ума посреднего и правом несходного своему супругу").

ურთიერთობა პრეობრაჟენსკოეში მყოფ პეტრესა და კრემლს დაპატრონებულ სოფიოს შორის თანდათან მწვევდებოდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ოფიციალურ აქტებში დაიწვეს სოფიოს მოხსენიება ("Благодарной царевны и великой княжны Софьи Алексеевны"). სოფიო აშკარად ამზადებდა სასახლის გადატრიალებას იმ მიზნით, რომ პეტრესათვის მეფობის უფლებები აეყარა. 1689 წლის 7 აგვისტოს ღამით პეტრე იძულებული გახდა დაეტოვებინა პრეობრაჟენსკოე და სერგი-სამების მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. პეტრეს გაქცევამ განგაში გამოიწვია მოსკოვში. სოფიო ამაოდ შეეცადა შერიგებას ძმასთან. ვერც პატრიარქის დამოციქულებამ მოაგვარა საქმე, რადგან ეს უკანასკნელი პეტრეს დიდ პატივს სცემდა და მასთან დარჩა. სოფიოს მომხრეები გაიფანტნენ, პეტრეს ირგვლივ კი თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა ჯარებმა. პეტრე და მისი მომხრეები მდგომარეობის ბატონ-პატრონები შეიქნენ. მეფე მოსკოვისკენ გამოემართა. მას მიწაზე განრთხმული ეგებებოდნენ ერთ დროს სოფიოს მომხრე სტრელეცები და შეწყალებას სთხოვდნენ. პეტრემ ადრიანად გამოუგზავნა წერილი ივანეს სოფიოს ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ: "Срамно, государь, при нашем совершенном возрасте тому заторному лицу государством владеть мимо нас".

ამგვარად, პეტრე 1689 წელს 17 წლის ასაკში ქვეყნის ფაქტობრივი ერთმმართველი გახდა.

ორივე პიროვნებას, დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს თანამედროვენი აგვიწერენ, როგორც ახოვანი აგებულებისა და კეთილი შესახედაობის მამაკაცებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი წერის ობიექტს მთელი სისრულით აღწერს, წარმოგვიდგენს როგორც დიდი ფიზიკური ძალის მქონე ძლიერ პიროვნებას, ძლიერს ხასიათითაც. დავით იყო „შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა, გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა, მადლიერი ხეღვითა, საზარელი ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლებლობითა...“ (ცხოვრება, მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360). ასევე საინტერესოა გელათის ფრესკა დავითის პორტრეტით: ახოვან მამაკაცს „უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა“ ხელში ტაძრის მაკეტი უჭირავს. ამგვარად ჰყავთ წარმოსახული დავითი თანამედროვეებს.

პეტრე პირველის აღნაგობის შესახებ ცნობები უხვად არის დაცული თანამედროვეთა (მათ შორის უცხოელთა) მოგონებებში. ჯერ კიდევ სრულიად ყრმა პეტრე აღწერა შვედეთის საელჩოს მდივანმა 1683 წლის ერთ-ერთი მიღების დროს: „Лицо у него открытое, красивое, молодая кровь играла в нем, как только обращались к нему с речью“.

თერთმეტი წლის პეტრე თავისი სიმაღლითა და განვითარებით 16 წლის ჭაბუკის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

პოლანდიაში მიმავალი პეტრე პირველი შეხვდა ბრანდენბურგის კურფიურსტის მეუღლეს სოფია შარლოტას და მის დედას. დედაშვილმა დაგვიტოვეს პეტრეს საინტერესო აღწერილობა (იგი ამ დროს 25 წლისა იყო):

„Царь очень высокого роста, лицо его очень красиво, он очень струен“.

აი კიდევ ერთი თანამედროვის მიერ აღწერილი მეფის პორტრეტი:

„Царь Петр Алексеевич был высокого роста, скорее худощавый, чем полный; волосы у него были густые, короткие, темно-каштанового цвета, глаза большие, черные с длинными

რესნიცაში, პოტ ხორიშეი ფორმე, ნო ნიჟნეი გუბე ნემიოგო ისპორჩენიე; ვერეჟიე ლიეცე პრეკრასოე, ს პერვოე ვზგლედე ვნიუშეიე უეჟიენიე“ (ციტირებულო გეეკეს ნ. პეველენკოს წიგნიდენ „პეტრ პერვოი“, 1976, გვ. 58).

როგორც ერთი მეფე, ისე მეორე შრომასა და ბრძოლაში პირად მგაგალითებს იძლეოდნენ. როცა დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს მეფის საქველმოქმედო საქმიანობაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი გლახაკებს უწყალობებდა ხოლმე „თესთა ხელითა“ ნამოღვაწარს: „და ამას — აღნიშნავს ისტორიკოსი — არა თუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თესთა ნადირებულისა. რომელთაგანი თესსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“ („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, გვ. 353).

რაც შეეხება პეტრე პირველს, მისთვის ხელსაქმე და ხელოსნობა ბავშვობის წლებიდან იყო დიდი გატაცება. კალატოზობა, დურგლობა, მჭედლობა — პეტრეს ძალზე იტაცებდა ეს დარგები. უკვე სრულწლოვან მეფეს კარგად სცოდნია 12 სახის ხელობა. განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა ცულით მუშაობა და სახარატო საქმე. პეტრე ამყობდა კიდევ თავისი შრომით; ბრანდენბურგის კურფიურსტის მეუღლის სოფია შარლოტას დედა იგონებდა:

„... Он нам сказал, что сам работает над постройкой кораблей, показал свои руки да заставил потрогать мозоли, образовавшиеся на них от работы“.

სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, დიდმა ფიზიკურმა ძალამ და სიმტკიცემ, ამასთან როგორც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ისე XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში შექმნილმა საშინაო მდგომარეობამ და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა ერთ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის, ხოლო მეორე შემთხვევაში პეტრე პირველის მოღვაწეობის ხასიათი.

## პირველი ღონისძიებები

პირველი პერიოდები დავით აღმაშენებლისა, თუ პეტრე პირველის მეფობისა აღსავსე იყო შინაპოლიტიკური ბრძოლებით. საქართველო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ისე როგორც ექვსი საუ-

კუნის შემდეგდროინდელი რუსეთი, შინაკლასობრივი ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა.

რა სახის იყო დავით აღმაშენებლის პირველი ღონისძიებები?

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი XI საუკუნის დასასრულის საქართველოს მდგომარეობა და იოვალისწინებდა კიდევ იმ წინააღმდეგობებს, რომელიც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას წინ ეღობებოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები შემოეკრიბა. დავით აღმაშენებელმაც ამით დაიწყო: შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარმა თავი მოუყარა ერთგულ მხედართა რაზმებს და თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს. მეფემ წვრილ-წვრილი გამარჯვებების წყალობით სელჩუკები თანდათან აპყარა ქართლიდან. ამით კი ქართველ ხალხში გარდუვალი გამარჯვებისა და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა; მტრის შიშით მთაში გახიზნულ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას, ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა მეფისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალებს.

დავით აღმაშენებელმა შეიპყრო 1193 წელს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ამ უკანასკნელმა ცოდვები მოინანია და მეფემაც გაათავისუფლა იგი, თანაც ფეოდალის ყველა ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა — „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325). საქართველოს მეფე როცა დარწმუნებულია, რომ ლიპარიტის მორჯულება არ შეიძლებოდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, კვლავ შეუპყრია და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდევ ეს ქედმაღალი ფეოდალი. ამ აქტის შემდეგ კლდეკარის საერისთავომ კიდევ რამდენიმე ხანს იარსება; სათავეში მას ლიპარიტის ძე რატი ედგა. ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული და ნანდვილვე

ნაშობი იქედნესი“ – ასეთი მწარე სიტყვებით „ამკობს“ ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულობა იხილა, ბაღვაშთა გვარიდან მომდინარე, მას ისლა დარჩენოდა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. ეს უკიდურესი ზომა საერისთავოს გაუქმება იყო. 1103 წელს დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა და საქართველოს სამეფოს შემოუერთა. 1099 წელს საქართველოს მეფემ სელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და ამით სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა.

1104 წელს დავით აღმაშენებელმა ადგილობრივ დიდებულთა აქტიური მხარდაჭერის წყალობით კახეთი და ჰერეთი შემოიერთა.

საქართველოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტნავა სულთანს, რადგან ჰერეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთნოსთვის. სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოხელე, განძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებელთან შესაბრძოლებლად და მის ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. დავით აღმაშენებელი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუსში (ახლანდელ საინგილოში) 1104 წელს და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუსს ქმნა წყობანი დიდნი ხმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“). ისტორიკოსი აღტაცებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუსის ბრძოლაში: „არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი, შეუზახებდა ხმითა მალლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326).

დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა მოწინააღმდეგე ფეოდალები – ძაგან და მოღისტოს აბულეთისძეები. ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონი მისა-მიმართ თჳსებული და მღვიმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. ძაგანის გარდაცვალების შემდეგ კი მისი შთამომავლობა კარგავდა ყოველგვარ უფლებას ზემოაღნიშნულ ქონებაზე.

ამგვარად, დიდგვარიანი ფეოდალების აღვირახსნილობის ალაგმვით, სულჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტით, ჰერეთ-კახეთის შემოერთებით დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შექმნა ფართო



მასშტაბის ღონისძიებების ქმედითი გატარება — ეკონომიკური ხა-  
სიათისა იქნებოდა, თუ პოლიტიკურისა.

\* \* \*

ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, პეტრე პირველს მოუხდა  
ოპოზიციურ ძალებთან შებრძოლება. იგი სრულიად განსხვავდებოდა  
მისი წინამორბედი მეფეებისაგან. სიახლე ყველა საქმეში, ბრძოლა  
რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის,  
— აი რა იყო პეტრე პირველის საზრუნავი. თავამოდებული ბრძო-  
ლა იმისათვის, რომ რუსეთს ჰქონოდა ზღვაზე გასასვლელი, პეტ-  
რესთვის პირველ მოთხოვნილებად გადაიქცა. ევროპის ბევრ ქვეყა-  
ნაში იმოგზაურა რუსეთის მეფემ, ეცნობოდა გემთმშენებლობასა თუ  
სხვა საკითხებს. იგი დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბ-  
რუნდა სამშობლოში და ძლიერმა მეფემ მორჩილი თაყვანისცემის  
გუნებაზე დააყენა ბოიარები. საოცარი ფაქტი მოხდა მეფის რეზი-  
დენციაში — პრეობრაჟენსკოეში, როცა ბოიარები პეტრეს სანახავად  
მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ახლად დაბრუნებულ მეფეს, ამ  
უკანასკნელმა მაკრატელი მოითხოვა და საკუთარი ხელით მოჰკვე-  
ცა ბოიარებს წვერი. პირველი მსხვერპლი ბოიარი შეინი გახდა.  
წვერს გამოეთხოვა თავადი რომოდანოვსკიც. შემდგომში უკვე ამ  
მოვალეობას მეფის მასხარა ასრულებდა.

პეტრემ წვერის მოკვეცა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყ-  
ვანა — მოითხოვა, მოეღს მოსახლეობას გაეპარსა წვერი. წვერის  
ტარების უფლება მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის გზით  
შეიძლებოდა. მდიდარ ვაჭრებს წვერი წელიწადში 100 მანეთი უჯ-  
დებოდათ, აზნაურობასა და ჩინოვნიკებს — 60 მანეთი, სხვა მოქა-  
ლაქეები 30 მანეთს იხდიდნენ. გლეხები ქალაქში ყოველი შესვლა-  
გამოსვლისას თითო კაპიკს იხდიდნენ.

პეტრე პირველმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მისი მოწინააღმდე-  
გე სტრელეცების მოძებნა-დასჯას. სტრელეცები ჯერ კიდევ პეტ-  
რეს საზღვარგარეთ ყოფნის დროს აჯანყდნენ. სტრელეცთა მიზანი  
იყო პეტრეს მოკვლა და სოფიოს გამეფება, მაგრამ ისინი მწარედ  
დამარცხდნენ მეფის ერთგული ლაშქრის მიერ, აჯანყების მოთავეე-  
ბი დაისაჯნენ. პეტრე პირველმა როცა გაიგო ამ აჯანყების შესა-  
ხებ, თავად რომოდანოვსკის ვენიდან წერილი გამოუგზავნა:

"Мин Нег Кснй! Письмо твое, юня 17 день писанное, мне  
отдано, в котором пишешь, ваша милость, что семья Ивана

Михайловича растет, в чем прошу быть вас крепкими; а кроме сего ничем сей огонь угасить не можно.

Хотя zelo нам жаль нынешнего полезного дела, однако сей ради причины будем к вам так, как вы не чаете”.

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ პეტრეს თავისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა სტრელეცთა ბედი. მეფეს ისინი ადრიდანვე არ მოსდიოდა თვალში და უკვე გამარჯვებული ძლიერი პიროვნების ლაგამამოუდებელმა დაუოკებელმა დესპოტიზმმა უდიდესი რისხვა დაატენა სტრელეცთა პოლკებს. პეტრე პირველმა თვითონ აიღო ხელთ გამოძიების ხელმძღვანელობა, თუმცა მისთვის ნათელი იყო, რომ “Смерти они достойны и за одно провишность, что забуштовали и бились против Большого дома”

გამოძიებამ დაადასტურა, რომ სოფიო ალექსის ასული გარკვეულად იყო დაკავშირებული აჯანყებასთან. პეტრემ თვითონ დაჰკითხა ცხრა წლის უნახავი და, მაგრამ ამ აქტმა ვერაფრითარი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან უშუალო მამხილებელი საბუთი არ არსებობდა. ძიება ფორმალური ხასიათისა იყო. იგი არც კი დამთავრებულა, ისე დაიწყო სტრელეცთა დასჯა. მათ გადაუწყვიტეს სიკვდილი, როგორც „ქურდებს და მოღალატეებს, ფიცის გამტეხებსა და მოჯანყეებს“. საგულისხმოა, რომ სტრელეცთა სიკვდილით დასჯას თვით პეტრე პირველი ესწრებოდა, სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან და უცხოელ დიპლომატებთან ერთად. მეფის ძლიერი პიროვნება მთელი სიმკვეთრით წარმოისახა თანამედროვეთა წინაშე. პეტრე პირველმა მორჩილების გუნებაზე მოიყვანა აქა-იქ ჯერ კიდევ არსებული მოწინააღმდეგენი და შემდეგ დიდ რეფორმატორულ საქმიანობას შეუდგა.

## რეფორმატორული საქმიანობა

დავით აღმაშენებელმა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გატარებული პირველი ღონისძიებების შემდეგ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელება დაიწყო. დღის წესრიგში იდგა საქართველოს ეკლესიის საკითხი; ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, აგრეთვე სასულიერო პირების თავგასულობისა და თვით ეკლესიის სახელმწიფოსთან დაპირისპირების გამო, აუცილებელი იყო ღონისძიებების გატარება სასულიერო სფეროშიც. შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია მსხვილ ფეოდა-

ლურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა იგი XI საუკუნეში, როცა მის ხელში დიდძალმა მამულებმა მოიყარა თავი. უფრო მეტიც, ეკლესიამ შეუკალობა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა.

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა, ეკლესია სწორ გზაზე დაეყენებინა, მაგრამ ეკლესიაში არსებული უწესობანი მაინც ვერ მოსპო. საქართველოს სამეფოს წინაშე დასახული იყო ამოცანა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არისტოკრატias. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება იყო — „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327). ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით აღმაშენებელი კრებას დასწრებია, მაგრამ იგი აქ ყოფილა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.

კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა ზაზი გაატარა: განკვეთა უღირსი სამღვდლო პირები, მათ ნაცვლად ღირსეულები (დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ერთგულები) შეარჩია; განაწესა სასულიერო თანამდებობის დამკავებელთა წლოვანება, დაადგინა ხელდასხმის წესი, აკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩჩვილთა ქალ-ყმათა“, აგრეთვე ზოგი უწესობა, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და სასულიერო პირთა შორის.

როგორც ირკვევა, პირველი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები დავით აღმაშენებელს მკაცრ პირობებში ჰყოლია ჩაყენებული. საერთოდ, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში მთელი ეს დიდი საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფოზე ეკლესიის საზიანო გავლენის წინააღმდეგ. ამიერიდან დიდი ფეოდალები მღვდელმთავრების სახით ძლიერ მოკავშირეებს კარგავდნენ.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობის გაერთიანებას — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემოღებას.

მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო და მიწისმფლობელობისაგან შორს იდგა. სხვა დიდი ფეოდალებისაგან განსხვავებით, ვერ გამოიჩენდა „ხელის“ სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას. მწიგნობართუხუცესი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო

დამოკიდებული, ამიტომ იყო ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე.

დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შეაერთა ჭყონდიდულობასთან. მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის, ჭყონდიდულობის მატარებელიც გახდა. საქართველოს მეფეს მის მიერ შექმნილი ახალი ხელის მეოხებით შეეძლო ფართოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. სავარაუდოა, რომ ეს თანამდებობა რუის-ურბნისის კრების მომდევნო პერიოდში 1104-05 წწ. დაარსდა. დავითის ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, რომ ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325).

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება სამხედრო რეფორმის გატარებაც. მას ჯარში მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოუღია. მეფემ ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს, ლაშქრის მოქმედების სისწრაფისათვის გაამრავლა მხედრობა, ცხენოსანი რაზმები. ბრძოლის დროს ლაშქრის ხელმძღვანელობა ახალ ტაქტიკასა და სტრატეგიულ გეგმებს მიმართავდა. დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული ქართული ლაშქრის წყალობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა. სამხედრო რეფორმის შემდგომი ეტაპი იყო 1118-20 წწ. ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში და მათ ბაზაზე მუდმივი ლაშქრის გაძლიერება. დავით აღმაშენებლის ღრრინდელი ლაშქარი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართველთა ლაშქარი, „მონა სპა“ (მეფის თანმხლები ლაშქარი), ყივჩაყთა ლაშქარი, „როქის სპა“ (დაქირავებული ლაშქარი).

დავით აღმაშენებელმა ფულის კურსის განმტკიცების მიზნით გაატარა დიდმნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, მოაწესრიგა სამონეტო საქმე. რეფორმები გატარდა სამართლის დარგშიც, დაიხვეწა და გაუმჯობესდა მისი წარმოება. გარდამქმნელი მოღვაწეობა კულტურის სფეროსაც შეეხო.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები მასშტაბური იყო და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა.

მრავალმხრივი და ყოველმხრივმოქმედი იყო პეტრე პირველის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. საგულისხმოა, რომ რუსეთში მეთორამეტე საუკუნე ახლებურად დაიწყო. ახალი 1700 წელი იდღესასწაულეს არა პირველ სექტემბერს, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ პირველ იანვარს. ახალი წლის მესამე დღეს პეტრემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც რუსული ჩაცმულობა იცვლებოდა — ძველებური გრძელი კაბა, მოკლე „უნგრულმა კაფტანმა“ შეცვალა.

ბრძანებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიცემოდა. მათი ერთი ნაწილი მუდმივმოქმედი იყო და „გენერალური დანიშნულება“ ჰქონდა, ზოგიერთი კი მოკლევადიანი იყო. პეტრეს მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის წყალობით შეიცვალა სახელმწიფო დაწესებულებები — რუსეთში აბსოლუტური მონარქია დამკვიდრდა.

თუკი წინათ მეფე ბოიართა სათათბიროსთან ერთად მართავდა ქვეყანას, ახლა ეს ინსტიტუტი მოძველებულად გამოჩნდა და ნაცვლად დაარსდა ბიუროკრატიული დაწესებულებები, რომლებიც სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მეფეს. 1721 წელს სენატმა პეტრე პირველს იმპერატორის ტიტული მიანიჭა. მეფის უფლებათა განუსაზღვრელობა ნათლად ჩანს სამხედრო წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ „его величество есть самовластный монарх, который никому на свете о своих делах ответу дать не должен, но силу и власть имеет свои государства да земли, яко христианский государь, по своей воли и благомнению управлять“.

მონარქის აბსოლუტური უფლებიანობა საგანგებოდაა აღნიშნული სასულიერო რეგლამენტში:

„Император всероссийский есть монарх самодержавный и неограниченный. Повиноваться его верховной власти не только за страх, но и за совесть, сам бог повелевает“.

პეტრე პირველმა შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომელიც პირმშობაზე იყო დამყარებული. ამიერიდან ტახტის მემკვიდრის შერჩევა იმპერატორზე იყო დამოკიდებული (ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმაც 1125 წლის საანდერძო განკარგულებაში, წინააღმდეგ არსებული ტრადიციისა, შესაძლებლად დაუშვა უმცროსი შვილის გამეფება).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში სასამართლო რეფორმის გატარებას, რომლითაც

მთავრობა შეეცადა, ბურჟუაზიული იუსტიციისათვის დამახასიათებელი წესრიგი დაემყარებინა — ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხელისუფლება გაეცალკეებინა სასამართლოსაგან.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმების გატარებას. ფართო მასშტაბით წარმოებულმა გემთმშენებლობამ რუსეთის არმიას მეტად მნიშვნელოვანი სიძლიერე შეჰმატა. ჯარში გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა პირველხარისხოვანი სამხედრო არმია და საზღვაო ფლოტი. მეფის ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ მრეწველობის ზრდა და ვაჭრობის განვითარება უზრუნველყო. ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ — დიდმა გარდაქმნებმა დააჩქარეს ქვეყნის „ევროპიზაცია“.

## აღმავლობის გზაჯმ

XII საუკუნის პირველ მეოთხედში მასშტაბური სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. XII საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო თანამიმდევრული ბრძოლა ქალაქების შემოსაერთებლად. ჯერ სამშვილდე აიღეს (1110 წ.), 1115 წელს ქართველებმა სელჩუკებს რუსთავეც გამოჰგლიჯეს ხელიდან, 1117 წელს — გიში, 1118 წელს — ლორე.

საქართველოს სამეფო მთელი გულისყურით ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის — თბილისის შემოსაერთებლად. ეს ბრძოლა მოხდა 1121 წელს დიდგორთან და, როგორც ცნობილია, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. მუსლიმანურმა კოალიციამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1122 წელს თბილისი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა. დავით აღმაშენებელმა ბრძოლის მასშტაბები გაზარდა, რაც არსებითი მნიშვნელობის იყო, როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისათვის. ქართველთა და შირვანელთა ერთობლივმა ბრძოლამ უზრუნველყო შირვანის დამოუკიდებლობა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა შირვანი საქართველოს შემოუერთა. დავით აღმაშენებელმა ისარგებლა სომხეთის ჩრდილო რაიონებში გაჩაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლით და მტერს ხელიდან გამოსტაცა სომხეთის

ციხეები: გაგნი, ტერუნაკანი, ქვაჯანი, ნორაბერდი, მინასგომნი და ქალინჯაქარი. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისიკ აიღო.

ამგვარად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის მთელი ამიერკავკასია საქართველოს გარშემო გაერთიანდა.

გაერთიანებული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს წინსვლა მის კულტურაში გამოიხატა. დავით აღმაშენებელი თვითონ ფრიად განსწავლული ადამიანი იყო და ერის განათლებასა და დაწინაურებაზეც ფიქრობდა.

დავითმა 1106 წელს „ადგილსა ყოველად მშენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა“ ააგო ტაძარი, „ამაღლებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა“, განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა“, გელათში დაფუძნდა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა — გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესა მისსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330-331).

დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში შემოიკრიბა „კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თქსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადაოცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330).

გელათის აკადემია, როგორც ვარაუდობენ, დაარსებულია 1106-1110 წლებში (ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 14). იგი განვითარებული შუა საუკუნეების პირველი აკადემიაა, რომელიც შეიქმნა რეალური ინტელექტუალური მოთხოვნების ნიადაგზე და გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, გვ. 251). დაახლოებით ამ პერიოდში მოვიდნენ გელათში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძებრდცი: „ის ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე, რომელთა რიცხვიდან მან შეარჩია ორმოცი ახალგაზრდა და გაგზავნა საბერძნეთში ცოდნის მისაღებად. სამი ამთგანი შემდგომში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით“ (ვარდან ბარძებრდცი, მსოფლიო ისტორია, 1861 წ., გვ. 157. სომხურ ენა-

ზე). ბიზანტიაში ცოდნის მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნა, სამშობლოში, ხალხში კულტურის შეტანა მნიშვნელოვანი საქმე იყო. მუსლიმანი მწერლები იმასაც გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებელს ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნების მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტათთვის. იგი თურმე ნივთიერადაც ეხმარებოდა მათ და ხანგამოშვებით საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში განათლება და კულტურა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამის სიმაღლეზე იდგა.

\* \* \*

დიდი გარდაქმნები ახალ ამოცანებს აყენებდნენ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. პირველი დიდი საკითხი — ბრძოლა პოლონეთთან რუსეთისა და უკრაინის მიწებისათვის ნაწილობრივ გადაწყდა ანდრუსოვოს ხელშეკრულებით (1667 წ.) და „საუკუნო ზავით“ (1686 წ.); მეორე მნიშვნელოვანი საკითხი სამხრეთ რუსეთის მიწების დაბრუნება და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ასევე მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა რუსეთისათვის აზოვის შეერთებით (კონსტანტინოპოლის 1700 წლის ხელშეკრულება); მესამე დიდი საკითხი — შვედების მიერ რუსეთისგან მიტაცებული მიწებისა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვების საკითხი იყო. ამ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა განსაზღვრავდა XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს.

რუსეთის მოკავშირეებად გამოვიდნენ დანია, პოლონეთი და პრუსია; ეს ქვეყნები შვედეთის დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ. შეიქმნა ანტიშვედური კოალიცია. თურქეთთან ზავის დადების შემდეგ (1700 წ.) პეტრე პირველმა ბრძანება გასცა, რუსეთის ჯარს მახვილი ჩრდილოეთისაკენ მიემართა. 1700 წლის 16 სექტემბრიდან 19 ნოემბრამდე რუსეთის 34 ათასიანი არმია წარუმატებლად ცდილობდა ნარვის აღებას. აქ რუსებმა მარცხი განიცადეს და დიდი გაკვეთილი მიიღეს. ისტორიოგრაფიაში ოფიციალურადაა აღიარებული, რომ ნარვასთან მარცხი — ეს იყო გზა გამარჯვებისაკენ.

1702 წლიდან გარდატეხა დაიწყო ჩრდილოეთის ომში. პეტრემ პირველი დამარცხებები აგემა შვედებს. ამასთან იგი ამაგრებდა რუ-



სეთის ქალაქებს. რუსეთის არმია ისე გაძლიერდა, რომ მრისხანე ძალად იქცა. 1708 წლისათვის 135 ათას მებრძოლს ითვლიდა იგი. ეს იყო კარგად გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი, მტკიცე დისციპლინის მქონე შეიარაღებული არმია. პეტრე პირველმა დიდი გამარჯვება მოიპოვა პოლტავასთან 1709 წელს. კარლოს XII-მ მძიმე მარცხი განიცადა. შვედებმა ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს, სამი ათასამდე ტყვედ ჩაყარდა. პეტრე პირველმა ზემოთ აღნიშნა გამარჯვება, სადილად შვედი ტყვე-გენერლებიც მოიწვია და შესვა სამხედრო საქმეში თავისი მასწავლებლების სადღეგრძელო. როცა ჰკითხეს, თუ ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, პეტრემ უპასუხა: „თქვენ, ბატონო შვედებო!“

პოლტავის გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. პოლიტიკური თვალსაზრისითაც განუმეორებელი იყო იგი. რუსეთის ავტორიტეტი განუსაზღვრელად გაიზარდა საერთა-შორისო მასშტაბით. პეტრე პირველმა ახალ-ახალი წარმატებები ჩაწერა რუსეთის მატრიანეში.

პეტრე პირველის საგარეო პოლიტიკა ისტორიულად პროგრესული ხასიათისა იყო. გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განმტკიცდა რუსეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. შეიქმნა დამატებითი წანამძღვრები ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

პეტრე პირველმა დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმეს, ყოველმხრივ ახალისებდა მეცნიერების განვითარებას. 1701 წელს გამოვიდა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც შეიქმნა სანავიგაციო სკოლა. ამის შემდეგ საარტილერიო და საინჟინრო სკოლებიც დაარსდა. სპეციალისტთა მომზადების დაჩქარების მიზნით პეტრე ახალგაზრდა რუს აზნაურებს გზავნიდა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად. საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნებულთ თვითონ მეფე უტარებდა გამოცდას, თუ რამდენად აითვისეს ესა თუ ის საქმე.

ამ დროს მეცნიერების განვითარება, ბუნებრივია, პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. პეტრე პირველის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის აკადემიის შექმნა. 1724 წელს სენატმა საგანგებოდ განიხილა აკადემიის დებულება. აკადემია გაიხსნა 1725 წელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერების პროპაგანდასაც, რისთვისაც საგანგებო დაწესებულებებიც შეიქმნა.

ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და კულტურულად მაღალ დონეზე იდგა.

კიდევ ერთი დამთხვევა... როცა კვლავ საკრალური ციფრი 600 ურევია საქმეში: 1125 წლის იანვარში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, 1725 წლის იანვარში კი – პეტრე პირველი.

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მეფედ დემეტრე მტკიცდებოდა, ასევე ნაწილდებოდა მთელი მისი ქონება. ეს მომაკვდავი თვითმპყრობელი მეფის ნება იყო:

„ხოლო დრაჰკანი, კოსტანტი ცუატას და ჩემნი ლაღნი და თუალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემინწირავს. ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა...“

პეტრე პირველმა იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოება, მოითხოვა ქაღალდი, რომელზეც რამდენიმე გაურკვეველი სტრიქონი დაწერა. ამ სტრიქონებში გამოიჩინა მხოლოდ ორი სიტყვა: „Отдайте все“...

სიკვდილის წინ ქონების გაცემა, ეტყობა, დიდი ადამიანების ხვედრი იყო.

## POST SCRIPTUM

დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ექვსასწლოვან მანძილთან ერთად მასშტაბებიც განსხვავებული იყო. რუსეთის იმპერია თვალუწვდენ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და, ბუნებრივია, პეტრეს მიერ გატარებულ ღონისძიებათა მასშტაბები უფრო დიდი იყო. მნიშვნელობა კი ამ ორი მეფის მოღვაწეობისა თავიანთი ქვეყნებისათვის დაახლოებით ერთნაირი იყო.

საერთოდ, როცა დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის დადებით მხარეებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მეფის პოლიტიკა განაპირობებდა მოსახლეობის დიდ დაძაბვას. მთელი გარდაქმნები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, თუ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში, დიდგორისა და პოლტავის გამარჯვებებიც ხალხთა მასების კისერზე გადადიოდა.

გარდაქმნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველო წინა აზიისა და მასლობელ აღმოსავლეთში ცნობილ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოდ აქცია, პეტრე პირველისამ კი რუსეთი – ევროპის უდიდეს იმპერიად.

600 წელი... 600 არის რიცხვი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის. სწორედ 600-მა გადაგვაწყვეტინა ჩვენც ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ნარკვევის დაწერა.

„რანი ვიყავით, რანი ვართ...“ ილია ჭავჭავაძე და ისტორია	3
აკაკი წერეთელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება	22
იაკობ გოგებაშვილი და ისტორია	45
„დიდოსტატის“ ისტორიული ფონი	61
სიტყვის კონა ანუ ცოდნის საღარო	71
„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები	85
სხვაობა – 600 წელი (დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი)	103

გამომცემლობის რედაქტორი თამარ გაბელაია  
ტექნიკური რედაქტორი ბეჟან ასათიანი  
კორექტორი ქეთინო ხუჭუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.3.99  
საბეჭდი ქალაქი 60x84<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 6,68

ტირ. 500 შკე. 87

ფასი სახელშეკრულებო

**თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14**

**თბილისის უნივერსიტეტის სტამბა  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1**